“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№4 (307)
აპრილი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეექვსე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ლოლომონ მეორე

სულხან კუპრაშვილი
ისტორიის დოქტორი

(დასაწყ. წინა ნომერში)

იმერეთში ციხეები მრავლად იყო. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ ქუთაისის, შორაპნის, ბაღდათის და ცუცხვათის ციხეებს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ციხეებში, ხშირად, თურქული გარნიზონი იდგა და იმერეთში მათი ბატონობის ერთ-ერთ სერიოზულ დასაყრდენს წარმოადგენდა, სოლომონ I-მა, იმერეთიდან თურქთა განდევნის შემდეგ, ეს ციხეები დაანგრია. სოლომონ II-ის დროს, სამეფო ციხეებიდან მნიშნელოვანი იყო კვარას, მინდას, ვარციხის, ჭყვიშის, მუხურის, ჩხერის, ჭიდროთის და სხვ. ციხეები ჰქონდათ მსხვილ ფეოდალებსაც. მაგალითად, წულუკიძეებს ეკუთვნოდათ ნაგარევისა და ხოტევის, ჩიჯავაძეებს – საპაიჭაოს, წერეთლებს – ონისა და მოდინახეს, აგიაშვილებს – ტყაჩირის, იაშვილებს – სადმელის, ერისთავებს – სვერის, გელოვანებს – ტოლას და სხვა ციხეები.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირისა, იმერეთის სამეფო XVIII - XIX საუკუნეთა მიჯნაზე საკმაოდ ორგანიზებულ და ბრძოლისუნარიან სახელმწიფოს წარმოადგენდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებით რუსეთის იმპერიამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა ქართულ სახელმწიფოებრიობას. მთავარი ქართული სამეფოს გაუქმებით რუსეთს გზა გაეხსნა სამხრეთ კავკასიის დასაუფლებლად. სამხრეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკურ გეგმებში სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეზე გასვლის პერსპექტივა ისახებოდა.

XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იმერეთის სამეფო, სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. აშკარა გახდა ოსმალთა წინააღმდეგ სოლომონ პირველის თავდადებული ბრძოლის შედეგები. ოსმალეთი ამაოდ ცდილობდა გაენაღდებია ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატი, რომლითაც რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოზე და, კერძოდ, იმერეთის სამეფოზე სულტანის ბატონობას ცნობდა. ამ ბატონობის აღდგენა ოსმალეთმა ვერც ძალით მოახერხა. იმერეთის სამეფო ორმოც წელზე მეტი იყო, სულტანს აღარც ხარკს უხდიდა და, ფაქტიურად, მას აღარც კი ემორჩილებოდა. ქვეყანაში ტყვეთა სყიდვა შეწყვეტილიყო და მას ლეკთა თარეშიც იშვიათად აწუხებდა. ამან კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკურ განვითარებაზე. იმერეთის სამეფო მოშენდა და XIX საუკუნის დასაწყისში იგი ყველა სხვა სამეფო სამთავროებს შორის უძლიერეს ერთეულს წარმოადგენდა.

რუსმა დიპლომატებმა და სამხედროებმა ზედმიწევნით ზუსტად შეაფასეს ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი და სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრება არა სპარსეთის განდევნით, არამედ ქართლ-კახეთის დაპყრობით დაიწყეს. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთმა უპრობლემოდ, ომის გარეშე გააუქმა და დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ე.წ. მესამე ეტაპი (1801-1917), რომელიც, ფაქტობრივად, აღარ იყო ორი სახელმწიფოს ურთიერთობა. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას მოჰყვა დანარჩენი ქართული პოლიტიკური ერთეულების გაუქმება. 1801 წლის აქტის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საიმპერატორო კარს, რუს დიპლომატებსა და სამხედრო მოღვაწეებს, სამხრეთ კავკასიაში ერთი საზრუნავი ჰქონდათ: იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროების რუსეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა. ამ თვალსაზრისით, რუსეთის მთავარ დაბრკოლებას იმერეთის სამეფო წარმოადგენდა. იმპერიის მხრიდან 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის უხეშად დარღვევამ და ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობამ, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე საბოლოოდ დაარწმუნა, რომ რუსეთის მფლობელობაში შესვლა დამღუპველი იქნებოდა მისი სამეფოსათვის. თუმცა, იმერეთის მეფე დიპლომატიური მოსაზრებით, ცდილობდა შეენიღბა ანტირუსული განწყობილება და შეენარჩუნებინა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ კავკასიაში არ აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემაკავებელი არავითარი უცხო ძალა. 1802 წელს გამოქვეყნდა დებულება „საქართველოს მმართველობის შესახებ,“ რომელიც ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფოს დაჩქარებულ ინტეგრაციას რუსეთის საიმპერატორო სტრუქტურებთან. ამგვარი ინტეგრაციის მომდევნო ეტაპი, სამხრეთ კავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად, იმერეთის სამეფოც უნდა ყოფილიყო. იმპერიისათვის ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის გადაწყვეტა და მისი საერთაშორისო მასშტაბი მოითხოვდა, რუსეთიდან საქართველოში წარმოდგენილი ყოფილიყო ძლიერი პიროვნება. სამწუხაროდ, ეს ძლიერი პიროვნება ქართველი აღმოჩნდა – **პავლე ციციანოვი,** რომელიც ყოფილ სამშობლოში რუსული ვითარებიდან მოვიდა და მისი მმართველობის სამ წელინადში გააკეთა ის, რაც ვერ შეძლო ვერც ერთმა წინარე ეპოქის დამპყრობელმა საქართველოსა და კავკასიაში.

პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი წარმოშობით ქართველი იყო. მისი პაპა – პაატა ციციშვილი ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა რუსეთში. პავლე ციციანოვი დაიბადა 1754 წელს მოსკოვში. იგი ადრევე შეიყვანეს სამხედრო სამსახურში. ციციანოვის კარიერა სწრაფად წარიმართა და 1786 წელს უკვე პოლკოვნიკი და პეტერბურგის გრენადერთა პოლკის მეთაური იყო. პავლე ციციანოვმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის იმპერიის უმნიშვნელოვანეს სამხედრო ოპერაციებში. მოიხვეჭა მამაცი და ნიჭიერი გენერლის სახელი. კავკასიის საქმეებს ციციანოვი პირველად **ზუბოვის** კავკასიური ლაშქრობის დროს გაეცნო, როდესაც იგი 1796-97 წლებში ბაქოს კომენდანტის მოვალეობას ასრულებდა. მისი სამხედრო კარიერა **პავლე პირველის** მმართველობის დროს შეწყდა, ხოლო **ალექსანდრე პირველმა** ის ისევ სამხედრო სამსახურში დააბრუნა. **გურამ შარაძის** აზრით – *ციციშვილს რუსები თავისიანად თვლიდნენ. პოლიტიკისა და ზნეობის იმ გარემოში, რომელშიც თვითონ რომანოვებიც „ახალი რუსები“ იყვნენ, წმინდა წყლის რუსობას არც ციციანოვის მსგავსი ხალხისაგან ითხოვდნენ. ეკატერინე მეორე პავლე ციციანოვს „თავის გენერალს“ უწოდებდა. პოლონეთის სამხედრო კამპანიაში გამოჩენილი სიმამაცისათვის ეკატერინემ ციციანოვს 1500 ყმა-გლეხი აჩუქა მინსკის გუბერნიაში, მაშინ როდესაც სხვა რუსი გენერლები მხოლოდ 500 გლეხით დაჯილდოვდნენ. ასეთი სახელგანთქმული და ნიჭიერი ქართული წარმომავლობის სამხედრო აღმოჩნდა ყველაზე დიდი რუსიფიკატორი საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიაში.*

1802 წელს ალექსანდრე პირველმა კავკასიის ხაზის მთავარსარდლის თანამდებობაზე გენერალ კრორრინგის ნაცვლად, ციციანოვი

გაგრძელება მე-2 გვ.▶

ხარება

ნახ. ს, მაისაშვილისა

ასპინძის ომის მოგონების დღეს
თვალს გადავავლებ ორიოდ წამით;
გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა
ამიფეთქდება – დავტკბები ამით!

მოველ, ხალისით ვათვალიერებ
მწყობრებმა ახლო ჩამომიარეს;
ჭაბუკნი ნორჩი ყვავილებივით
აკეკლუცებენ მიდამო არეს!

მიდიან კიდეც... ომში მიდიან!
გიორგის დროშა წაიღეს წმინდა;
ცოდვაა თქვენი სისხლი დაიღვრეს...
მერევა ცრემლი... მაგრამ არ მინდა!

არა! მე ქართველს აღარ შემფერის
ნაღვლიანობა და მწუხარება;
დაბრუნდებიან ნაომარები
და გამარჯვებას იტყვის ხარება!

ბაბილინა

„ერთობა,“ 1920 წელი, N104

მესხეთის ტერიტორია და მოსახლეობა XIX საუკუნეში

ვახტანგ გურული

ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში XIX საუკუნის დამდეგს რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები დაიპყრო. ამ დროისათვის საქართველოს ძირძველი, ისტორიული ტერიტორია – მესხეთი ოსმალეთის მიერ იყო მიტაცებული და მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. ეს ნაკლები უბედურება იყო იმასთან შედარებით, რაც მესხეთში შემდგომ მოხდა. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ გატარებული სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, რაც თავისთავად უხეშ ძალმომრეობასთან იყო დაკავშირებული, მესხეთის ქართველობის დიდი ნაწილი გამუსლიმანდა. ოსმალეთმა და ირანმა კავკასიაში პოზიციები დაკარგეს, თუმცა დამარცხებას არ შერიგებიან. დაიწყო ირან-რუსეთისა და ოსმალეთ-რუსეთის ომების სერია. ოსმალეთ-რუსეთის 1806-1812, 1828-1829 და 1877-1878 წლების ომებში ოსმალეთი დამარცხდა. ომების შემდეგ დადებულ ზავებში მესხეთის ტერიტორია რამდენჯერმე გადანაწილდა.

1. მესხეთის ტერიტორიის გადანაწილება რუსეთ-ოსმალეთს შორის

1. ბუქარესტის ზავი. 1806-1812 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი 1812 წლის 16 მაისს ბუქარესტის ზავით დასრულდა. ხელშეკრულების მე-6 მუხლში აღნიშნული იყო, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი აზიაში (სამხრეთ კავკასიაში) ომამდელი სახით უნდა აღდგენილიყო. რუსეთს ომის დროს დაკავებული ციხესიმაგრეები, ქალაქები, დაბები და სოფლები ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა. იმავე მუხლის ძალით, რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა მესხეთის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი – ახალქალაქი.

2. ადრიანოპოლის ზავი. 1828-1829 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომი 1829 წლის 2 სექტემბრის ადრიანოპოლის ზავით დასრულდა. საზავო ხელშეკრულების მე-4 მუხლის ძალით, რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდინარე ჩოლოქის შესართავიდან, მისდევდა ჩოლოქს, შემდეგ მიუყვებოდა იმერეთის სამხრეთ საზღვარს, ახალციხისა და ყარსის საფაშოების საზღვრებს ისე, რომ ახალციხე და ახალქალაქი რუსეთის იმპერიაში რჩებოდა (ახალციხიდან და ახალქალაქიდან ოსმალეთის საზღვარი დაშორებული უნდა ყოფილიყო არანაკლებ ორი საათის სავალით). რუსეთ-ოსმალეთის ახალი სასაზღვრო ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები: ყარსის, ბაიაზეთისა და არზრუმის საფაშოები, ასევე ახალციხის საფაშოს უმეტესი ტერიტორია (სამხრეთ-დასავლეთ ნაწილი) ოსმალეთის შემადგენლობაში რჩებოდა.

3. პარიზის საზავო ხელშეკრულება. 1853-1856 წლებში მიმდინარე ყირიმის ომის დროს რუსეთმა ომის თითქმის ყველა ფრონტზე მარცხი იწვნია, დაკარგა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი სევასტოპოლი. რუსეთის ჯარმა ერთადერთ წარმატებას კავკასიის ფრონტზე მიაღწია, 1855 წლის 16 ნოემბერს ყარსი დაიკავა. 1856 წლის 18 მარტს დადებული პარიზის საზავო ხელშეკრულების მე-3 მუხლის ძალით, ყარსი დამარცხებულმა რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა.

4. სან-სტეფანოს ზავი და ბერლინის ტრაქტატი. 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს)

გაგრძელება მე-3 გვ.▶

◀ დასაწყისი გვ. 1

დანიშნა. იმპერატორის ამ გადაწყვეტილებაში ციციანოვის ქართული წარმოშობაც გარკვეულ როლს თამაშობდა. ალექსანდრე პირველი ამ ჟესტით ქართველი ხალხის გულის მოგებას აპირებდა, მით უმეტეს, რომ იგი არაფერს კარგავდა. იმპერატორმა კარგად იცოდა, რომ ციციანოვი რუსეთის ინტერესებს არასგზით უღალატებდა. გათვალისწინებული იყო ისიც, რომ ზუბოვის ლაშქრობის დროს კავკასიაში ყოფნის გამო, ციციანოვი აქაურ პოლიტიკურ სიტუაციაში სხვებზე მეტად იყო გარკვეული. მან არ დაზოგა თავისი სამშობლოს არცერთი მოქალაქე, არც მეფე, არც რიგითი გლეხი, ვინც წინ აღუდგა რუსეთის იმპერიის ინტერესებს. ციციანოვმა აიძულა სოლომონი ხელი მოეწერა **ელაზნაურის ხელშეკრულებაზე,** რითაც პრაქტიკულად გაუქმდა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობა. „მრისხანე თავადმა“ – პავლე ციციანოვმა, როგორც მას კავკასიაში უწოდებდნენ, სისხლში ჩაახშო 1804 წლის მთიულეთის აჯანყება, რითაც ძალიან ამაყობდა. 1806 წლის 8 თებერვალს, ბაქოს ალყის დროს, **ჰუსეინ ყული ხანმა** მოლაპარაკებისას შეიპყრო და მისი მოკვეთილი თავი ირანის შაჰს გაუგზავნა.

სოლომონ ლიონიძე

სოლომონ მეორე

ამიერკავკასიაში გადმოსვლით, რუსეთის მთავრობა სპარსეთსა და ოსმალეთს უპირისპირდებოდა, ხოლო ამისათვის სრულიად არ იყო საკმარისი ქართლ–კახეთის მცირე ტერიტორია, სადაც ეს ახალმოსული ძალა სულ თავდაცვის პოზიციაში უნდა დარჩენილიყო. ამიტომ, თავის დასაყრდენის გაფართოება იმთავითვე იგულისხმებოდა. ამ მიზნების გადაწყვეტა ევალებოდა პავლე ციციანოვს, ამიტომ მას განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. იმპერატორმა მას ნება დართო, საკუთარი მოსაზრებებით გადაეწყვიტა სასწრაფო და რთული საქმეები. არ დალოდებოდა ინსტრუქციებს პეტერბურგიდან. ასევე მიეცა უფლება, რომ ადგილზევე დაეჯილდოებინა თავისი თანამშრომლები. ციციანოვის ხელისუფლების ქვეშ ერთიანდებოდა ქართლ-კახეთი, ჩრდილო კავკასია და ასტრახანის გუბერნია. აღსანიშნავია, რომ ციციანოვის დაქვემდებარებაში მყოფ სამხედრო ძალას ალტერნატივა არ გააჩნდა სამხრეთ კავკასიაში.

1803 წლის 1 თებერვალს მთავარმართებელი ციციანოვი თბილისში ჩამოვიდა. ამიერიდან თბილისი თანდათან იზრდებოდა და მთელი ამიერ და იმიერ კავკასიის პოლიტიკური ცენტრი ხდებოდა. საიდუმლო რესკრიპტში, რომლითაც აღჭურვილი იყო ციციანოვი, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ბაგრატიონთა სახლის წევრების რუსეთში გაგზავნას, რომელიც კრორრინგმა ვერ მოახერხა. ციციანოვის უპირველეს მოვალეობად, სწორედ ეს საქმე იყო მიჩნეული. ამავე დროს საჭირო იყო იმერეთის საკითხის მოგვარება, რადგანაც რუსული მმართველობით უკმაყოფილო ბატონიშვილთა ნაწილი თავშესაფარს სწორედ იმერეთის სამეფოში ჰპოულობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე ამბებმა ცხადყვეს, რომ იმერეთის სამეფოს დამოუკიდებელ არსებობას უდიდესი განსაცდელი ელოდა. სოლომონ მეორემ მტკიცედ გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლა კარსმომდგარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. იმერეთის სამეფო მისი ხელმძღვანელობით, ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ძირითად კერად იქცა. აქ ჩამოვიდნენ რუსულ მმართველობას გამოქცეული ბატონიშვილები: ჯერ **ფარნაოზი** და **იულონი,** ხოლო შემდეგ **ალექსანდრე ბატონიშვილი,** ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე **სოლომონ ლიონიძე** და სხვები.

ნათელი იყო, რომ სოლომონ მეორე წინ ნაკლებად აღუდგებოდა რუსეთის იმპერიას იმერეთის სამეფოს მცირე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსებით, მაგრამ იმერეთის სამეფო კარი ცდილობდა მარჯვე დიპლომატიური წიაღსვლებით გაენეიტრალებინა რუსული სამხედრო და პოლიტიკური აგრესია.

საქართველოს ისტორიის აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული დიპლომატიური აზროვნების გამორჩეულ წარმომადგენელს – სოლომონ ლიონიძეს. პიროვნებას, რომელიც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის. მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში, ზრუნავდა ქართველი ხალხის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებისათვის და ხელს უწყობდა ჩვენი ეროვნული კულტურის აყვავებას.

სოლომონ ლიონიძე იყო თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი და გამჭრიახი პოლიტიკოსი. მისი უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ტრაქტატი ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის. 1790 წელს სოლომონ ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი ქართული პოლიტიკური ერთეულების შეკავშრება-შეერთებისა და დაიდო უზენაეს ქართველ ხელისუფალთა სამოკავშირეო ხელშეკრულება.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ, რომელმაც საქართველოს მომავალი რადიკალურად შეცვალა, დიდი გავლენა იქონია სოლომონ ლიონიძის პიროვნებაზეც. იგი ხედავდა, რომ რუსეთს სურდა დანარჩენი საქართველოსთვისაც იგივე ბედი ეწია, რაც ქართლ-კახეთს დაატეხა თავს. სოლომონი ცდილობდა იმერეთისათვის ეს ხვედრი აეცილებინა და თავისი დარჩენილი სიცოცხლე იმერეთის მეფის სამსახურსა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეალია.

სოლომონ ლიონიძე ქუთაისში დიდი პატივით მიიღეს. მეფემ მას სამეფოს მდივან-ბეგობა უბოძა. ახალგაზრდა მეფე მალე მთლიანად სოლომონ ლიონიძის გავლენის ქვეშ მოექცა და მის გარეშე არც ერთი პოლიტიკური ნაბიჯი არ გადაუდგამს. სოლომონ მეორის ლიონიძისადმი დიდი პატივისცემისა და ნდობის გამოხატულება ისიც იყო, რომ 1804 წლის 3 ოქტომბრის სიგელით სოლომონ ლიონიძეს მეფისაგან მამულები ეწყალობა – *„კაცხი საკალმახე წყლით და რაჭას წესი სრულიად სასახლით და ეკლესია ბარაკონთ, ხიდის კარი და მინდა ციხე“.* აღსანიშნავია ისიც, რომ სოლომონ ლიონიძეს სოლომონ მეორე ადრეც იცნობდა იმ დროიდან, როდესაც იმერელი უფლისწული აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობდა. 1790 წლის ცნობილი მოვლენების დროს მეფეს სოლომონისათვის იმერეთში დარჩენა უთხოვია. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ახალგაზრდა მეფეს აუცილებლად ესაჭიროებოდა კაცი, რომელიც იყო *„გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი, საქმის წერითა შინაცა კარგი“* . მაგრამ იმ დროისათვის სოლომონ ლიონიძე ერეკლე მეორის კარზე მსახურობდა და, ბუნებრივია ვერ მიიღებდა მეფის წინადადებას. სულ სხვა ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, რაც ლიონიძე იმერეთში განაგრძობს თავის მოღვაწეობას. ამიერიდან სწორედ სოლომონ ლიონიძე იყო ის პიროვნება, რომელიც მეფის დიდი ნდობით სარგებლობდა და რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება ძირითადად მას ჰქონდა მინდობილი.

სოლომონ ლიონიძეს იმერეთში ჩამოსვლის შემდეგ სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თავადი – სახლთუხუცესი **ზურაბ წერეთელი** დაუპირისპირდა. ზურაბ წერეთელი იმერეთის სამეფოს სახლთუხუცესი იყო სოლომონ პირველის დროიდან. სოლომონ მეორის მეფობის თითქმის მთელი პერიოდი ზურაბ წერეთლისა და სოლომონ ლიონიძის დაპირისპირების ეტაპს წარმოადგენდა. ზურაბ წერეთლის განუზომელი ამბიცია და სეპარატისტული განწყობილება კარგად დაინახა რუსეთის ხელისუფლებამ, კერძოდ, პავლე ციციანოვმა და მისი გადაბირება მოახერხა 1803 წელს იმერეთში ვიზიტის დროს. როცა ქვეყანას უჭირდა, მოღალატე თავადი ან თავის ციხეში იყო ჩაკეტილი ან ერთობოდა. 1808 წელს ზურაბ წერეთელმა საკუთარი ქვეყნის ღალატის საფასურად, პოლკოვნიკობა, ხოლო 1811 წელს, იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გენერალ-მაიორობა მიიღო.

იმერეთის სახლთუხუცესის მოღალატური საქციელი მისი შურითაც იყო გამოწვეული სოლომონ ლიონიძის მიმართ. ამ ორი ძლიერი პიროვნების დაპირისპირებამ უარყოფითად იმოქმედა არამარტო იმერეთის, არამედ მთლიანად საქართველოს ბედზეც. სოლომონ ლიონიძე აღშფოთებული ზურაბ წერეთლის მოღალატური საქციელით სწერდა მას: *„შენ კაცი ხარ და არა ღმერთი, თუ კაცი მონარდე ხარ იაგანში დუშაში ითამაშე! მართალია დიდი კი ხარ, 1000 კომლი გეყოლება, მაგრამ ქვეყნის ქარტა რომ არის დახატული, თუ კაცი ხარ იმაში შენს საჩხერეს თუ იპოვნი და შენს სასახლეს თუ მიაგნებ, თუ სად ზიხარ და გძინავს? – თურმე არა ჰყოფილხარ და რას დიდგულობ.“*

ჯერ კიდევ 1802 წლის ზაფხულში სოლომონ ლიონიძე იმერეთიდან თბილისს ჩავიდა და აღმოსავლეთ საქართველოს მმართველს – **კოვალენსკის** შეხვდა. ამ შეხვედრის შესახებ რუსი მოხელე თავის 1802 წლის 4 ივლისის რაპორტით ატყობინებდა გენ. **კნორინგს,** რომ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა მასთან მოავლინეს სოლომონ ლიონიძე, პიროვნება, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო რუსეთის იმპერიისათვის, თუ იგი ჩააგონებდა სოლომონ II-ს, რათა თავისი სამეფო რუსეთისათვის გადაეცა.


პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი

რუსმა მოხელეებმა კარგად იცოდნენ იმის შესახებ, რომ სოლომონ მეორე ფიქრობდა რუსეთის მფარველობაში შესვლას და აქტიურად ცდილობდნენ სოლომონ ლიონიძე ამ მიმართულებით გამოეყენებინათ იმპერიის ინტერესების სასარგებლოდ. მით უმეტეს, რომ იმერეთის მეფე, რუსეთთან შეთანხმების შემთხვევაში, სოლომონ ლიონიძის იმპერატორის კარზე რწმუნებულად გაგზავნას ვარაუდობდა. მიუხედავად ამისა, რუსი პოლიტიკოსები სოლომონ ლიონიძეს ბოლომდე არ ენდობოდნენ. ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველი **სოკოლოვი,** რომელიც ატყობინებდა კოვალენსკის ლიონიძის საეჭვო ურთიერთობებზე აჯანყებულ კახელ თავადებთან და **დარეჯან დედოფალთან.** მაგრამ რუსულის კარგად მცოდნემ და შესანიშნავმა მჭერმეტყველმა სოლომონ ლიონიძემ ისე მოხიბლა კოვალენსკი, რომ იგი სოკოლოვს სწერდა ამგვარი ჭორების უსაფუძვლობაზე. სოლომონ ლიონიძემ თავისი დიპლომატიური ნიჭის, გამოცდილებისა და სხვა ხერხების წყალობით შეძლო მეფისა და ბატონიშვილების დავალებების შესრულება და დაუკავშირდა უფლისწულების მომხრეებს ქართლსა და კახეთში.

უნდა ითქვას, რომ ნიჭიერებისა და პიროვნული მომხიბვლელობის გამო რუსი მოხელეები ცდილობდნენ ს. ლიონიძესთან დაახლოებას. სოლომონი კი ამგვარი სიახლოვის გამოყენებას იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ცდილობდა. სოლომონ ლიონიძის მოქნილი დიპლომატიური ტალანტი ემყარებოდა მონინააღმდეგის საიდუმლო განზრახვათა გამოცნობის მეტად ორიგინალურ ხერხებს. ამის ნათელი დადასტურებაა ლიონიძის ურთიერთობა პავლე ციციანოვთან. სოლომონ ლიონიძემ თავიდანვე კარგი ურთიერთობა დაამყარა რუს გენერალთან და მიწერ-მოწერა გააბა მასთან. აღსანიშნავია, რომ წერილები ორივე მხრიდან წარმოადგენდა მჭერმეტყველების უმაღლეს ნიმუშს. პავლე ციციანოვი ჩამოსვლისთანავე ცდილობდა სოლომონ მეორე გაეტეხა და რუსეთის მორჩილებაში შეეყვანა. ამისათვის მან პირადად მოინახულა იმერეთის მეფე და პატიმრობიდან გაათავისუფლებინა **კონსტანტინე ბატონიშვილი,** რომლის შესახებაც პავლე ციციანოვი ვორონცოვს სიამაყით ატყობინებდა, *რომ „10 წლიანი პატიმრობიდან გაათავისუფლებინა იმერელი ბატონიშვილი კონსტანტინე“.* იმერეთიდან თბილისში ჩასულ ციციანოვს თან ახლდა სოლომონ ლიონიძეც, რომელიც უკვე იმერეთის მეფის კანცლერისა და საგანგებო ელჩის რწმუნებებით სარგებლობდა. სწორედ სოლომონ ლიონიძის დამსახურება იყო, რომ პავლე ციციანოვი თავის „იმერულ ვიზიტს“ წარმატებულად თვლიდა და დათანხმდა, იმერეთის მეფის ელჩის იმპერატორ ალექსანდრე პირველთან გაგზავნაზე. იმერეთის სამეფოს მესვეურთა აზრით, ამ ელჩობას დიდი შედეგი უნდა გამოეღო.

1803 წლის 5 აგვისტოს სოლომონ ლიონიძე უკვე პეტერბურგში იყო.

იმერეთის მეფე სოლომონ ლიონიძეს პეტერბურგში განსაკუთრებული უფლებებით აგზავნიდა, იმპერატორისადმი წერილში სოლომონ მეორე მოითხოვდა, რომ იმპერატორს ყველა სახელმწიფოსათვის გამოეცხადებინა იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების ფაქტი. სოლომონ ლიონიძემ ალექსანდრე პირველს წარუდგინა ფართო გეგმა – „პუნქტები“, რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითადად ქართველი დიპლომატის მიერ იყო შედგენილი. სოლომონ ლიონიძის მიერ წარმოდგენილი პროექტით იმერეთი შედიოდა რუსეთის მფარველობაში გაერთიანებული დასავლეთ საქართველოს ლიდერის პრეტენზიით, რის საფუძველზეც სოლომონ მეორე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობასაც, გარდა საგარეო ფუნქციებისა, რომელსაც მეფე იმპერატორს უთმობდა, „პუნქტებთან“ დაკავშირებით ცალკე განმარტებებს იძლეოდა თვით ს. ლიონიძეც. ეს განმარტებები შემდეგში მდგომარეობდა:

აფხაზეთი ძველთაგანვე სამკვიდროა იმერეთის მეფისა;

თურქეთთან და ირანთან ომის შემთხვევაში, იმერეთი სტრატეგიულად ყველა ქვეყანაზე ხელსაყრელია რუსეთის იმპერატორისათვის;

იმერეთს აქვს თავისუფალი და მოკლე გზა შავი ზღვით, რომ ამ გზით გემები 25 საათის განმავლობაში თავისუფლად მივლენ ყირიმში;

ფოთი არის იმერეთის მეფის საკუთრება;

იმერეთისაა პალიასტომის ტბაც;

იმპერიისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ნამდვილი სარგებლობა იმერეთზეა დამოკიდებული.

ნათელი იყო, რომ პუნქტებში წამოყენებული მოთხოვნები გამოხატავდა რუსეთის მთავრობის მიერ დიდი ხნის წინ უარყოფილი გეგმის გამოცოცხლებას, რაც დიდად საიმედო არ იყო. რუსეთის მთავრობის პოლიტიკური ინტერესების თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაცვა ამ დროს უკვე სასურველი აღარ იყო. „პუნქტები“ მიუღებელი იყო რუსეთისათვის, რადგან იმერეთს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა სამთავროებიანად სურდა. იმერეთის მესვეურების ამ გეგმის მიხედვით, რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით უნდა შექმნილიყო დასავლეთის ძლიერი ქართული სამეფო, რომელიც რუსეთის პარტნიორი იქნებოდა. რუსეთის იმპერიას კი არა იმერეთის სამეფოს გაძლიერება და გამტკიცება, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ფორპოსტის გაუქმება სურდა. ამ ელჩობის ფონზე კი, 1803 წლის ივლისში, სამეგრელოს მთავარმა **გრიგოლ დადიანმა** რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა, ხოლო იმავე წლის 2 დეკემბერს, იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ფაქტად რჩებოდა ის, რომ იმერეთის სამეფოს არსებობის მოთმენა რუსეთს მანამდე შეეძლო, სანამ საკმარისი ძალები არ ჰყავდა საქართველოში.

სოლომონ ლიონიძის პეტერბურგში ელჩობა ფაქტიურად უშედეგო აღმოჩნდა. 1804 წლის 4 იანვარს იმერეთის მეფის ელჩი ბოლო აუდიენციაზე იქნა მიღებული ალექსანდრე პირველის მიერ. არც ამ შეხვედრას მოჰყოლია რაიმე შედეგი. იმერეთის, ისევე როგორც სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების ბედი, წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ამის დადასტურებას იმაშიც ვხედავთ, რომ 1804 წლის 12 იანვრით დათარიღებულ წერილში **გრაფი ვორონცოვი** პავლე ციციანოვს წერდა, რომ მალე შესაძლებელი იქნებოდა რუსული ჯარები შედგომოდნენ იმერეთის დაკავებას. მიუხედავად იმისა, რომ სოლომონ ლიონიძე ცდილობდა მცირედით მაინც შეეჩერებინა რუსეთის აგრესია, მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა.

სოლომონ ლეონიძის პეტერბურგში ელჩობის წარუმატებლობამ, სოლომონ მეორე აიძულა პავლე ციციანოვთან მოლაპარაკება გაემართა. მან 1804 წლის დასაწყისში ელჩები გაუგზავნა საქართველოს მთავარმმართველს. მეფე რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მას იმერეთის მეფობა შეუნარჩუნდებოდა და ლეჩხუმი, რომელიც დადიანმა წაართვა, დაუბრუნდებოდა. ეს უკანასკნელი პირობა ციციანოვისათვის მიუღებელი იყო არამარტო იმიტომ, რომ ლეჩხუმი მან უკვე დადიანს აღუთქვა, არამედ, უმთავრესად, იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობა კარგად იყო მიხვედრილი სოლომონ მეორის გამაერთიანებელ ზრახვებს დასავლეთ საქართველოს მიმართ, რაც მას ყოველად დაუშვებლად მიაჩნდა.

პავლე ციციანოვმა სოლომონის ელჩებს თან გააყოლა თავისი რწმუნებული გრაფი მიხეილ ვორონცოვი (შემდეგში კავკასიის მეფისნაცვალი), რომელსაც მეფისათვის მთავარმმართველის მიერ შედგენილი ხელშეკრულების ანუ ‘„სათხოვარი პუნქტების“ პროექტი უნდა გადაეცა. რუსეთის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი იყო შემდეგი მეთოდი – *„სათხოვარი პუნქტების“,* ე.ი თხოვნის ტექსტს ცარიზმის ჩინოვნიკები ადგენდნენ და მთხოვნელს აიძულებდნენ მასზე ხელი მოეწერა. სოლომონმა უარი განაცხადა პირობების მიღებაზე. უთანხმოების ძირითადი მიზეზი ლეჩხუმი იყო, რომელსაც მეფე დაჟინებით მოითხოვდა.

სოლომონ მეორის წინააღმდეგობის დასაძლევად პავლე ციციანოვმა სხვადასხვა საშუალებებს მიმართა. ბოლოს, სოლომონ მეორე იძულებული გახდა 1804 წლის 16 აპრილს ციციანოვს შეხვედროდა სოფელ ელაზნაურში, მაგრამ ლეჩხუმის გამო მოლაპარაკება წარუმატებლად დასრულდა. მთავარმმართველის ბრძანებით, რუსეთის ჯარები იმერეთში შემოვიდნენ და იმპერატორის ერთგულებაზე მოსახლეობის დაფიცება დაიწყეს. სოლომონ მეორე იძულებული გახდა მიეღო პავლე ციციანოვის მიერ წამოყენებული პირობები. 1804 წლის 25 აპრილს მან ხელი მოაწერა ე.წ. ელაზნაურის შეთანხმებას და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფი-

გაგრძელება მე-10 გვ. ▶

მესხეთის ტერიტორია და მოსახლეობა XIX საუკუნეში

◀ დასაწყისი გვ. 1

დაბა სან-სტეფანოში რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის ხელმოწერილი იქნა პრელიმინარული (წინასწარი) ზავი. ამ ზავში აისახა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგები. საზავო ხელშეკრულების მე-19 მუხლში დაწვრილებით იყო აღწერილი იმ ტერიტორიის საზღვრები, რომელიც ოსმალეთს რუსეთისათვის უნდა გადაეცა. მესხეთის ნაწილი, არტაანი და ყარსი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და გასდევდა მდინარეების – ხოფასა და ჭოროხის წყალგამყოფს, შემდეგ მიუყვებოდა მთებს ისე, რომ სასაზღვრო ხაზი ართვინის სამხრეთით გადიოდა და ასე გრძელდებოდა მდინარე ჭოროხამდე (სოფლების ალატისა და ბეშაგეთის მახლობლად). აქედან სასაზღვრო ხაზი მიუყვებოდა მდინარეების – თორთომისა და ჭოროხის წყალგამყოფი მთების თხემს, გადიოდა სივრი-დაღის გადასასვლელზე, საიდანაც სამხრეთით უხვევდა და ზივინამდე მიდიოდა. ზივინის გზიდან სასაზღვრო ხაზი დასავლეთით უხვევდა, გადიოდა სოფელ არდოსტსა და ხორასანზე, საიდანაც სამხრეთით, სოღანლუღის მთებამდე დაეშვებოდა, შემდეგ გასდევდა ალი-დაღის მთებს და ბაიაზეთს სამხრეთიდან შემოუვლიდა.

ევროპის ქვეყნების მცდელობის შედეგად სან-სტეფანოს ზავის პირობები იმავე წელს განიხილა ბერლინის კონგრესმა და ამ ომში რუსეთის მონაპოვარი გარკვეულწილად შეზღუდა. ბერლინის ტრაქტატი შეეხო საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას, მათ შორის მესხეთს. ტრაქტატის 58-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ მესხეთის მონაკვეთზე ოსმალეთი რუსეთს უთმობდა: არტაანსა და ყარსს, ასევე აჭარას ბათუმითურთ.

2. ყარსის ოლქის შექმნა

რუსეთ-ოსმალეთის ომი ჯერ არ დასრულებულიყო, არც სან-სტეფანოს ზავი დადებულიყო, რომ რუსეთი მოპოვებული გამარჯვებების შედეგად დაკავებული ოსმალეთის ტერიტორიის ადმინისტრაციულ მოწყობას შეუდგა. პირველად ეს მესხეთის ტერიტორიაზე არსებულ ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს – ყარსისა და ჩილდირის სანჯაყებს შეეხო. შევიდა თუ არა რუსეთის ჯარი არზრუმის ვილაიეთის ტერიტორიაზე, კავკასიის მეფისნაცვალმა, მიხაილ რომანოვმა პროკლამაციით (მოწოდებით) მიმართა ვილაიეთის მოსახლეობას. მეფისნაცვალი რუსეთის ჯარისადმი კეთილგანწყობის სანაცვლოდ მოსახლეობას ჰპირდებოდა პირად უსაფრთხოებასა და ქონების ხელშეუხებლობას. ქალაქ არტაანის დაკავების შემდეგ რუსეთის ჯარის კონტროლქვეშ აღმოჩნდა უზარმაზარი ტერიტორია. აუცილებელი გახდა ოსმალეთის ჯარისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის მიერ დატოვებულ ტერიტორიაზე ახალი მმართველობის შემოღება. ეს მმართველობა სამხედრო-სახალხო ხასიათისა უნდა ყოფილიყო. გადაწყდა, რომ ცენტრალური მმართველობა კავკასიის კორპუსის სარდლობასთან იარსებებდა. კავკასიის მეფისნაცვლის 1877 წლის 20 მაისის ბრძანებით დამტკიცდა მმართველობის დროებითი სისტემა: რუსეთის ჯარის მიერ დაკავებული არზრუმის ვილაიეთის ტერიტორია 5 ოკრუგად დაიყო. რუსეთის ჯარი იმდენად სწრაფად მიიწევდა წინ, რომ მალე მმართველობის სისტემის გარდაქმნა გახდა აუცილებელი, რაც განხორციელდა კიდეც კავკასიის მეფისნაცვლის 1877 წლის 10 ივნისის ბრძანებით. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა ოსმალეთის ტერიტორიის დაპყრობა გააგრძელა, ზემოხსენებულ 5 ოკრუგს კიდევ 2 ახალი დაემატა, ხოლო საბოლოოდ ყარსისა და ჩილდირის სანჯაყების ტერიტორიების გაერთიანებით მესხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ყარსის ოლქი. 1877 წლის 30 დეკემბერს რუსეთის ჯარმა ყარსის ძლიერი ციხესიმაგრე აიღო და ოლქის ადმინისტრაციული მმართველობაც ახლად დაკავებულ ქალაქში გადავიდა. ყარსის ოლქის უფროსს სამხედრო გუბერნატორის უფლებები მიენიჭა.

1877 წლის ოქტომბრისათვის, როდესაც არზრუმისა და ბაიაზეთის სანჯაყების ტერიტორიების დიდი ნაწილი რუსეთის ჯარმა დაიკავა, შეიქმნა არზრუმის ოლქი. ოლქის ადმინისტრაციამ ფუნქციონირება 1877 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო. არზრუმის ოლქის უფროსს სამხედრო გუბერნატორის უფლებები მიენიჭა. მალე არზრუმის ოლქს კიდევ 3 ახალი ოკრუგი შეემატა. სან-სტეფანოს ზავის პირობის თანახმად, რუსეთმა ოსმალეთს დაუბრუნა დაკავებული ტერიტორიის ნაწილი (4 ოკრუგი) და დადგინდა ახალი სადემარკაციო ხაზი.

არზრუმის ოლქის მართვა ყარსის ოლქთან შედარებით ბევრად რთული გამოდგა. ბერლინის კონგრესის გახსნის წინ ინგლისის აგენტურამ გაავრცელა ხმები, რომ, კონგრესის გადაწყვეტილებით, რუსეთის ჯარი არზრუმის ვილაიეთს მთლიანად დაცლიდა და ეს ტერიტორია ოსმალეთს დაუბრუნდებოდა. ამ ხმების გავრცელების შემდეგ მოსახლეობაში დაუმორჩილებლობის შემთხვევებმა იმატა, თუმცა რუსეთის ჯარმა მშვიდობის შენარჩუნება შეძლო. 1878 წლის 15 აგვისტოს არზრუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება მიიღო: როგორც კი ოსმალები ბათუმს დაცლიდნენ, არზრუმის ოლქის ტერიტორია დაეტოვებინა და ჯარი რუსეთ-ოსმალეთის ახალი საზღვრის ჩრდილოეთით გადაეყვანა.

ამრიგად, არზრუმის ოლქი გაუქმდა. რუსეთმა შეინარჩუნა ოსმალეთის ტერიტორია, რომელიც ყარსის ოლქში იყო გაერთიანებული.

ყარსის ოლქის შექმნა 1877 წელს, ომის პირობებში, დაიწყო. ბერლინის ტრაქტატის დადების შემდეგ ოლქის ადმინისტრაციულ დაყოფაში ზოგიერთი ცვლილება შევიდა. ყარსის ოლქს მიეკუთვნებოდა: საოლქო ქალაქი ყარსი, არტაანის, ერუშეთის, თორთომის, შურაგელის, ყაღიზმანისა და ოლთისის ოკრუგი. მოგვიანებით ყარსის ოლქში ოკრუგების რაოდენობა ოთხამდე შემცირდა: ყარსის, არტაანის, ოლთისისა და ყაღიზმანისა. ყარსის ოლქში ოკრუგების რაოდენობის შემცირება გარკვეულმა მიზეზმა გამოიწვია. ოკრუგის შექმნისათვის ორი პირობა იყო აუცილებელი: ფართობი და მოსახლეობის რაოდენობა. თავდაპირველად ორივე პირობა სრულდებოდა. მესხთა მუჰაჯირობის შედეგად, ერუშეთის, თორთომისა და შურაგელის ოკრუგების მოსახლეობა ძალზე შემცირდა. წყაროებში აღნიშნულია, რომ ერუშეთის ტერიტორია თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდა. რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ხსენებული სამი ოკრუგი გაუქმდა და მისი ტერიტორია სხვა ოკრუგებში გადანაწილდა.

მესხეთის ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ყარსის ოლქში გაერთიანდა, შედარებით მცირე ნაწილი – ბათუმის ოლქში. ბათუმის ოლქი 1878 წელს შეიქმნა. მისი ტერიტორია 3 ოკრუგად იყოფოდა: ბათუმის, ართვინისა და აჭარის. ართვინის ოკრუგში შედიოდა ისტორიული მესხეთის ტერიტორია: არტანუჯი, ართვინი და შავშეთი.

მესხეთის ისტორიული ტერიტორიის ნაწილი 1878 წლის ბერლინის ტრაქტატამდე 1829 წლის ადრიანოპოლის ზავით ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო. ეს ტერიტორია ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების სახით თბილისის გუბერნიაში შევიდა.

1878 წლისათვის მესხეთის ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ყარსის ოლქში შედიოდა, დანარჩენი ნაწილი – თბილისის გუბერნიასა და ბათუმის ოლქში. სამწუხაროდ, ისტორიული მესხეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი ბერლინის კონგრესის შემდეგაც ოსმალეთის შემადგენლობაში დარჩა.

3. მესხთა მუჰაჯირობა

დამკვიდრდა თუ არა რუსეთი ქართული სამეფო-სამთავროების ტერიტორიაზე, პოლიტიკურმა და სამხედრო ელიტამ მაშინვე დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოეცილებინათ თავიდან მუსლიმი ქართველები. ეს კონკრეტულად ეხებოდა მესხეთს, აჭარასა და აფხაზეთს, სადაც ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის პირობებში მოსახლეობამ ისლამი მიიღო. შედგა რამდენიმე გეგმა, რომელიც საერთო ჯამში ითვალისწინებდა: 1. საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან ქართველ მუსლიმთა განდევნას; 2. ირანიდან და ოსმალეთიდან ქრისტიანი სომხებისა და ბერძნების ჩამოსახლებას; 3. რუსი და უცხოელი კოლონისტების დასახლებების შექმნას; 4. რუსეთიდან სექტანტების ჩამოსახლებას. სამშობლოდან გადახვეწის დიდი ტრაგედია პირველად მესხებმა იწვნიეს, შემდეგ იგივე ბედი გაიზიარეს აფხაზებმა და აჭარლებმა.

მესხეთის ისტორიული ტერიტორიის დედასამშობლოში დაბრუნება დიდ მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ, ამასთან ერთად, მესხეთის თავს უმძიმესი ტრაგედია დატრიალდა. მესხეთიდან მუსლიმი ქართველების ოსმალეთში გადასახლების გეგმა ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დროს შედგა. შევიდა თუ არა რუსეთის ჯარი მესხეთის ტერიტორიაზე, მუსლიმმა ქართველებმა მშობლიური სოფლები მიატოვეს და მთებში, მიუვალ ადგილებში, გაიხიზნენ. ეს შემთხვევით არ მომხდარა, მოსახლეობას კარგად ახსოვდა, 1806-1812 წლებში ახალციხესა და ახალქალაქზე სალაშქროდ დაძრულმა რუსულმა ჯარმა როგორ გაძარცვა და პრაქტიკულად სარჩო-საბადებლის გარეშე დატოვა მესხთა სოფლები. მოსახლეობა ამჯერადაც უბედურების მოლოდინში იყო. გარდა ამისა, ახალციხეში მცხოვრები ქართველებიც, მათი ნების საწინააღმდეგოდ, ომის ქარცეცხლში მოხვდნენ. სულ ახალციხისათვის ბრძოლების დროს დაახლოებით 3.000 მუსლიმი ქართველი დაიღუპა, რომელთა შორის დაახლოებით 800 ქალი იყო. დაღუპულთა დიდი ნაწილი ქალაქის საარტილერიო დაბომბვას შეეწირა. ეს, შეიძლება ითქვას, არ ყოფილა დაგეგმილი ხოცვა-ჟლეტა, თუმცა დოკუმენტურადაა დადასტურებული მუსლიმ ქართველთა წინასწარ გათვლილი ხოცვა-ჟლეტის შემთხვევებიც. 1829 წლის 9 მარტს გენერალ ნიკოლაი მურავიოვის დამსჯელმა ექსპედიციამ გადაწვა ფოცხოვის სანჯაყის რამდენიმე სოფელი. დამსჯელ ექსპედიციას გადარჩენილმა ქართველებმა თავი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა რაიონს შეაფარეს. როცა რუსეთის ჯარმა ახალციხე აიღო, დარბევასა და აწიოკებას ქართველებმა თავი ოსმალეთში გადახვენით აარიდეს. ახალციხე და სხვა ადგილები თითქმის მთლიანად დაცარიელდა მკვიდრი მოსახლეობისაგან. ამ ფაქტს კავკასიის მთავარსარდალი ივან პასკევიჩი 1831 წლის მოხსენებაში ადასტურებს.



1828 წლის 16 აგვისტოს რუსეთის ჯარმა ახალციხე აიღო და მაშინვე საფაშოს ტერიტორიის დაკავებას შეუდგა. დაიკავეს თუ არა ახალციხის საფაშოს ტერიტორია, რუსებმა დასახული გეგმის განხორციელება დაიწყეს. სამხრეთ საქართველოში რუსული ახალშენების შექმნაზე ივან პასკევიჩი ჯერ კიდევ 1828 წლის 26 ივლისს დაწერილ მოხსენებაში საუბრობდა. რუსი გენერალი დაასკვნიდა, რომ მესხეთის მიწები ნაყოფიერი იყო, ხოლო ჰავა რუსეთისას ჰგავდა.

ახალციხის აღების შემდეგ კავკასიის მთავარსარდალ ივან პასკევიჩთან ქართველი თავადები და აზნაურები მივიდნენ, რომელთა წინაპრებს, ოსმალეთის ბატონობის დამყარების შემდეგ, მესხეთი დაეტოვებინათ. თავადებმა და აზნაურებმა რუს გენერალს მესხეთში მიწების ფლობის დამადასტურებელი სიგელები წარუდგინეს და ძველი უფლებების აღდგენა მოითხოვეს. ივან პასკევიჩმა ქართველები უარით გამოისტუმრა.

1829 წლის დამდეგს კავკასიის მთავარსარდალი ივან პასკევიჩი რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ნესელროდეს წერდა, რომ მესხეთში ოსმალეთიდან სომეხთა გადმოსახლება სურდა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელს ვარგისიანი და დაუსახლებელი მიწების ნაკლებობა უშლიდა. ამ დოკუმენტის შედგენის დროს ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რაც იმის მაუწყებელია, რომ მუსლიმ ქართველთა ოსმალეთში გადასახლების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე იქნა მიღებული. გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ მესხეთიდან ქართველთა ოსმალეთში გადასახლება და მათ ადგილზე ოსმალეთიდან სომეხთა ჩამოსახლება რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დაწყებამდე გადაწყდა.

ახალციხის აღების შემდეგ, 1828 წლის 17 აგვისტოს, ოლქის დროებითი მმართველობა შეიქმნა. ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და არავინ იცოდა, თუ როგორი იქნებოდა მომავალი ზავის პირობები. მიუხედავად ამისა, რუსები მესხეთიდან ქართველთა გასახლებისთვის ემზადებოდნენ. 1828 წლის 25 აგვისტოს ივან პასკევიჩმა ახალციხის ოლქის დროებით მმართველობას ინსტრუქცია მისცა, რომელიც ითვალისწინებდა: ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე წესრიგის დამყარებას, გაქცეული მოსახლეობის უკან დაბრუნებას, ოლქის ტერიტორიის დაცვას ოსმალთა შემოტევისაგან, სახაზინო მიწების ფონდის შექმნას, მუსლიმი მოსახლეობის მოქმედების კონტროლს და, საჭიროების შემთხვევაში, მათი გამოსვლების აღკვეთას, ჯარში სანიტარული წესების დაცვას, ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ ცნობების შეკრებას და მისი წეს-ჩვეულებების შესწავლას. ახალციხის ოლქის პირველ უფროსად გენერალ-მაიორი ვასილი ბებუთოვი დაინიშნა. სომეხი ვასილი ბებუთოვის დანიშვნა ახალციხის ოლქის მმართველად შემთხვევითობად არ უნდა მივიჩნიოთ. გენერალმა ბებუთოვმა, პირველ რიგში, რუსეთის ჯარის შესვლის შემდეგ გაქცეული სომხები ძველ საცხოვრებელ ადგილებზე დააბრუნა და არავითარი ყურადღება არ მიუქცევია სომხების მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულებისათვის, რომლებიც რუსული კანონმდებლობით მკაცრად ისჯებოდა. სამაგიეროდ, ბებუთოვი არათუ უყურადღებოდ ტოვებდა მუსლიმ ქართველებს, არამედ ძალზე ცუდად ეპყრობოდა მათ. გენერალმა ბებუთოვმა მასთან მისულ ქართველებს „თათრები“ უწოდა და განუცხადა, თქვენი ახალციხეში დარჩენა არ შეიძლება, თქვენ თათრები ხართ, რუსეთი არ მიგიღებთ, რადგანაც არა ხართ კარგი ხალხი, მეტიც, რუსეთის მტრები ხართო. ცხადია, ვასილი ბებუთოვი ივან პასკევიჩთან შეთანხმებით მოქმედებდა, ისინი ერთად ადგენდნენ მესხეთიდან ქართველთა ოსმალეთში გადასახლების გეგმას.

ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ახალციხის საფაშოში დარჩენილი ქართველები ოსმალთა შემოტევის მოლოდინში იყვნენ. ისედაც დაზაფრულ მოსახლეობას გენერალი ვასილი ბებუთოვი დამსჯელი ექსპედიციით აშინებდა და ქართველებიც იძულებულნი იყვნენ მიუვალ ადგილებში გახიზნულიყვნენ. ბებუთოვის ანტიქართულ საქმიანობაზე მიუთითებს გენერალი დიმიტრი ფონ დერ ოსტენ-საკენი 1829 წლის 30 ივლისს ივან პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილში. წერილიდან ირკვევა: ახალციხეში 300 ქართველი ოჯახი ყოფილა დარჩენილი. ისინი რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ გადაყრილი პროდუქტის ნარჩენებს იყენებდნენ საკვებად, რასაც ეპიდემია გამოუწვევია; გენერალ ვასილი ბებუთოვს ახალციხიდან ქართველთა ოჯახების გაყვანაზე უარი უთქვამს, რათა მათი საკვებით უზრუნველყოფა არ დაკისრებოდა. ასე გაიწირა სასიკვდილოდ დამშეული და დაავადებული ქართველობა.

1829 წლის 2 (14) სექტემბერს ადრიანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულმა საზავო ხელშეკრულებამ რუსეთს სასურველი შედეგები მოუტანა, – მესხეთის ნაწილი გადასცა. რუსეთის მთავრობას მუსლიმ ქართველთა დევნა-შევიწროებისათვის ხელფეხი გაეხსნა. ხელისუფლებამ ისლამის აღმსარებელ მესხებს „თურქობა“ დასწამა. მესხთა თურქებად გამოცხადება პოლიტიკური მიზნით მოხდა. ცხადია, რუსებმა ყურადღება არ მიაქციეს იმას, რომ მესხები ოსმალთა ხანგრძლივი ბატონობის პირობებში ძალდატანებით გაამუსლიმეს. მათ შენარჩუნებული ჰქონდათ მშობლიური ენა, ქართული ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები და, რაც მთავარია, აბსოლუტურ-

გაგრძელება მე-9 გვ. ▶

გაჩერებამდე

ნოველა

უშანგი ჯანგირაშვილი

აუჰ, ახლა გაჩერებაზე გასვლა ამ თავსხმა წვიმაში!... მეორე ცვლის ბოლო ლექციას რა ცოტა სტუდენტები შემორჩნენ. სანამ გაჩერებაზე გავალ, ბოლოს და ბოლოს, უნდა ამოვიწერო ლექციების ცხრილი, რომელიც, სადღაც დაბლა, გვირაბ-სარდაფის კედელზეა გამოკრული. მეყოფა გართობა-დროსტარება, გოგო-ბიჭებთან ქეიფი, ლექსების კითხვა და ღამის თენება მთაწმინდაზე. ჩვენს სალოცავ-სათაყვანებელ მწერლებს ვუთვეთ ღამეებს და ფილოლოგებს ეს ძალზე გვეამაყება. რამდენი ლამაზ-ლამაზი თანაკურსელი თუ სხვაკურსელია იქ. ერთი რომელიმე მათგანი უნდა ამოვირჩიო, სწავლასაც მივხედო! ბიძაჩემიც ხომ სულ ამას მარიგებს: დაობლებული ბიჭი ხარ, სხვების აყოლა არ გარგებს, სწავლას მიხედე, ნასწავლი უნდა გამოხვიდეო.

გაჩერებაზე ხეებს კი შევეფარები, მაგრამ ფოთლებისგან სანახევროდ გაძარცულებს ამ თავსხმაში თუნდა შეეფარე და თუნდა არა.

გაჩერებაზეც არავინაა, მხოლოდ ერთი ვიღაც ქოლგიანი მოჩანს. მსუბუქი ავტომანქანები ქუჩაში გაგიჟებულები გარბიან, აქეთ-იქით აშხეფებენ ასფალტზე მომდინარე წვიმის ნაკადულებს. როგორ წვიმს, ხეების ქვეშაც!... ღმერთო, რა ლამაზია!.. ახლოს უნდა მივიდე, მივეახლო. შემომხედა. წვიმის შხეფები სახეზე და თმებზე, თითქოს ახალი ნამტირალევი იყოს. როგორ უხდება!... სერიოზული სახე, ოცნებიანი გამოხედვა... უზარმაზარი ჭადრის ტოტებს და ფოთლებს მონასხლეტი მსხვილი წვეტები პიჯაკზე წკაპა-წკუპით მეცემიან. უქუდო ვარ, წვიმას არ ვეპუები, ოღონდ ამ ანგელოზის ახლოს ვიდგე და ხშირ-ხშირად გავაპარო მზერა მისი ეშხით სავსე სახისაკენ.

წვიმისგან ღამის ჩამოიბინდა...

გადის, ალბათ, ხუთი წუთი...

უცებ ქალიშვილი ჩემს გვერდით დგება და ქოლგა ისე გადმოსწია, რომ მეც გადმომფარებოდა! გავოცდი, რაღაცნაირად ვიუხერხულე და ძლივს წარმოვთქვი: გმადლობთ.

თან გავუღიმე. იმანაც გამიღიმა. რომ იცოდეთ, როგორ მოუხდა ეს ღიმილი და ბაგეებიდან წამიერად გამომკრთალი თეთრი, ქათქათა კბილები!

რატომ წუხდებით...

რა შეწუხებაა...

ხმაც – ხავერდოვანი. უცხო ქალიშვილთან – ქოლგის ქვეშ! რა ბედნიერებაა! ხშირ-ხშირად რომ არ შევხედო, არ შემიძლია. მერე დაბლა ვხრი თვალებს. ისიც – ასევე, მაგრამ უფრო იმ მხარისაკენ იყურება, საიდანაც ავტობუსი უნდა გამოჩნდეს. ირიბული მზერით ვხედავ, რომ, აი, ახლაც მათვალიერებს. ალბათ მოვეწონე? – შეიძლება! უნდა ვისარგებლო, რაღაც ვუთხრა. რითი დავიწყო? მაგრამ ისეთი სერიოზული სახე და ჭკვიანი თვალები აქვს, ვერაფერს ვეუბნები.

თხელ, მოჩითულ-მოხატულ კაბაზე თბილი, თეთრზოლებჩამოყოლებული ჟაკეტი მოუსხამს. გულისპირი კარგად აქვს დაფარული, გამომწვევად სულაც არ აცვია. იმ ჟაკეტ-კაბაში დამალული, უმშვენიერესი მკერდის სუნთქვას ვგრძნობ ახლა და ასე მგონია, მთელი ცოცხალი სამყარო ამ მკერდშია ჩაბუდებულ-ჩაყურსული. წვიმის და ასფალტის უცნაური სუნით გაჟღენთილ ჰაერს ქალის თმების და ტანის საამო სურნელიც ემატება და შინაგანად, მგონი მაჟრიალებს...

არა, მაინც რატომ გადმომაფარა უცნობს ქოლგა? წვიმაში ქოლგიანების გვერდით რამდენჯერ ვმდგარვარ, მაგრამ ასე არავინ მოქცეულა. უზნეოა? - არა და არა! უბრალოდ, მე გავიმარჯვე. შეეხვდით ერთმანეთს რაღაც ბედისწერის დადგენილებით და ესაა. განა აქ სხვა რამე ამბავია? მის ქცევაში, ჩემდამი დამოკიდებულებაში, ვერაფერი დასკვნა გამომიტანია.

დაცერებული ქოლგიდან წყლის ნაკადი ერთიანად მხრებზე გადმომეჩქეფა. ეს შეამჩნია, ამიტომ ქოლგა უფრო გადმოსწია. ვისარგებლე მისი მზრუნველობით და, ჩვენი გამყოფი ასფალტი ძირს, ფეხებთან (მაღლიდან ჩახედვით) ისე გადნა და გაუჩინარდა, როგორც ჩამავალი მზე გორის პირას.

ჩემს სხეულს ესმის მისი სხეულის სუნთქვა და ფეთქვა, მაგრამ ჩემს აზროვნებამდე ვერ დადის მისი მოთვინიერებული რეაქცია.

აი, იმ მფეთქავ მკერდიდან ელვის თეთრი ძაფები გადმოიძაბნენ, ჩემსკენ იწევენ, მეტად საყვარელნი და ალერსიანნი. მინდა მივეფერო მათ, მივუალერსო, მაგრამ რაღაც შინაგანი ხმა მეუბნება, რომ ეს არ შეიძლება!..

...აჭრელებული მზერა იწმინდება, გონება ცნობიერდება, ქალიშვილის მარცხენა მკერდს უნებურად ჩაჭიდებული მარჯვენა ხელი ოდნავ მითრთის, რაღაც ეუცხოვა და ეუცნაურა, თითქოს სახეზე სიბრაზის ელვამ გადაკრა. ლამაზ თვალებში ლამაზი კითხვის ნიშანი ჩაეფინა. ის კითხვის ნიშანი მელნის ტბაში ცურავს და ლიცლიცებს, ირხევა და ტორტმანებს, მაგრამ ბაგიდან წასული ღიმილის ნაკადი ლოყაზე გადადის, მელნის ტბაში მზე ბრწყინდება და იმ კითხვის ნიშანს აქარწყლებს და აბუნდოვანებს. ჩემი ხელიც ნაზად მოიშორა.

სიკეთე ყვავილობს სახეზე.

მეტ უცხოობას მოველოდი, ამიტომაც სახეზე ალანძული ბედნიერება ჩემს სასარგებლოდ მივიჩნიე...

უკაცრავად, ერთი რამ მინდა გკითხოთ: და ან ძმა თუ გყავთ? – უფრო იმიტომ ვკითხე, რომ დაძაბულობისგან განვიმუხტო.

– ძმა მყავს, უფროსია ჩემზე, ძალიან მიყვარს ჩემი ძამიკო! – თბილად და გრძნობით წარმოთქვა „ჩემი ძამიკო" და, თითქოს რაღაც შედარებას ახდენსო, ერთხელ კიდევ დაკვირვებით შემათვალიერა.

„მერე და, ვის არ უყვარს თავისი ძამიკო", – გავიფიქრე გულში, მაგრამ ისეთი ალალია მზერა, ისეთი გულუბრყვილოა ნათქვამი, რომ... კიდევ რაღაც ვკითხე, იმანაც რაღაც მიპასიხა. ამ კითხვა-პასუხში გავიგე, რომ ის სხვა ავტობუსს ელოდება, მე – სხვას, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, მეც მის ავტობუსს გავყვე.

ალბათ ათ წუთზე მეტი გავიდა (ეს ათი წუთი საუკუნედ მომეჩვენა). წვიმამ არა და არ გადაიღო.

– ავტობუსი აგვიანებს – ნაღვლიანად გამოსცრა ბაგეთაგან.

–ნუ ღელავთ, მალე მოვა.

„ნეტავ სულ არ მოვიდოდეს", – ჩემთვის გავიფიქრე გულში...

ისევ გულწრფელობა, ისევ ბავშვური მზერა და გამომეტყველება, ისევ მეოცნებე სული და ხასიათი. თითქოს მარტო ავტობუსს არ ელოდებოდეს, ნუთუ ამ ქალაქის ქუჩებში ასეთი ქალიშვილები კიდევ დადიან? სწორედ ასეთს ვეძებდი! კარგად უნდა გავიცნო, სახლამდე მივაცილო, პაემანი დავუნიშნო.... . .

იქნებ შეყვარებული ჰყავს? მაგრამ რას ვამბობ, რატომ ვფიქრობ ასე; შეყვარებული რომ ჰყავდეს, ასე მომენდობოდა? შეყვარებული რომ ჰყავდეს, ქოლგას გამიშლიდა და შიგ ჩამიძვრენდა?

თუნდ თავხედობაში ჩამითვალოსო, ვეღარ მოვითმინე და...

– ქალიშვილო, მაპატიეთ, მაგრამ ერთიც უნდა გკითხოთ: შეყვარებული თუ გყავთ? „რასაკვირველია, არა მყავს, არა, არა!" თითქოს ჩემივე ნათქვამის პასუხად მივიღე...

– კი, მყავს!... შეყვარებული კი არა, – საქმრო!... ჩემო ძამიკო! აი, ჩემი ავტობუსიც! ჩემი საქმროც ამ ავტობუსს მოყვება. მე მივდივარ, მშვიდობით!..

ქოლგა სწრაფად დაკეცა, ერთი გულისწამლეგბად კიდევ გაიღიმა და ავტობუსისკენ აჩქარებით, მოხდენილი ნაბიჯით გაემართა. ავტობუსის წინა კარების ასასვლელთან დავლანდე მისი „რჩეული", რომელიც ღიმილით შეეგება ავტობუსში ასულს. დამშვიდობების ნიშნად ქალიშვილმა ავტობუსიდან ხელი დამიქნია. სხვათა შორის, ვაჟმაც მიბაძა, თან, გაღიმებული, რაღაცას ეუბნებოდა, ალბათ, ჩემზე ეკითხებოდა, ვინ არისო.

ადგილიდან დაძვრა ვერ მოვახერხე, მომეჩვენა, თითქოს საზარელმა ურჩხულმა გულიდან მომწყდარი რაღაც ძვირფასი ჩამიყლაპა. დამძიმებული ჯერ „ბრძნულად", დინჯად დაიძრა, შემდეგ სიჩქარეს უმატა და, ბოლოს, წვიმის უამრავი შხეფების პრიზმაში ლანდად ქცეული, პროსპექტის შორეთში გაუჩინარდა.

გაოცებულ-გაშტერებული დავრჩი ერთ ადგილზე. კარგად ვერც მოვიაზრე, რა მოხდა. მხოლოდ ყურში ჩამესმოდა უაღრესად კეთილშობილური, დაძმურად ნათქვამი: „ჩემო ძამიკო" და კიდევ – „საქმრო"(?!)

მაშ – და-ძმობის მადლი დამავიწყდა?!

თურმე, ძმად (ძმასავით) მიმიღო, მე კი...

გვიან შევნიშნე: ვიღაც ქოლგიანი დარბაისელი კაცი გვერდზე ამომდგომოდა. დავაკვირდი, უნივერსიტეტის ერთ-ერთი ლექტორი შევიცანი. ცნობისმოყვარეობით მეკითხება:

– თქვენი და იყო?

ამ „არამკითხეობამ" შინაგანად გამაბრაზა, მაგრამ თავი შევიკავე და მხოლოდ ოდნავ გაღიზიანებულმა მივმართე:

– რატომ მეკითხებით?

– ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს(!)

უცებ ერთმა მოგონებამ მეხივით დამარტყა თავში; შორეული სიზმარივით მახსოვს: მამაჩემზე მგლოვიარენი ვიყავით, „ორმოციც" არ გვქონდა გადახდილი (მაშინ 12 წლის ვიქნებოდი), შავებით მოსილ დედას მამის სურათი უჭირავს ხელში, უყურებს და ცრემლმორეული მეუბნება: „შვილო, ამ საცოდავს ერთხელ სიმთვრალეში წამოსცდა, წამოსცდა თუ რა იყო, ფეხზე ძლივს იდგა, მხრით მეყრდნობოდა, ღიმილნარევი, მრავლისმეტყველი თვალებით მომაჩერდა და მითხრა:

– არ გამიბრაზდე, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ: ჩვენს ბიჭს დიდი ხანია მეორე დაიკოც ჰყავს (!) (ერთი უფროსი და მყავდა).

– რა-მეთქი?! – შევიცხადე.

ჩემმა ხმამ უცებ გამოაფხიზლა და მეუბნება: – გეხუმრე, განა მართლაო. საწოლამდე ძლივს მივიყვანე. უცებ ჩაეძინა. როცა გამოიღვიძა, ვკითხე: – გახსოვს, ნასვამმა რა მითხარი? – არაო! რიხიანად მიპასუხა. როცა მისი ნათქვამი გავუმეორე, წამით შეკრთა, მაგრამ მალევე შეიცხადა: რა სისულელეა, გავიხუმრეო. მას შემდეგ ოთხი თვე იკოცხლა (რმში ნაიარევმა თავისი გაიტანა), ხშირად ნასვამიც მოდიოდა, მაგრამ ასეთი რამ აღარ უთქვამს. ფხიზელს რამდენჯერმე ჩავეძიე, სულ ასე მპასუხობდა: ვიხუმრეო, მე კი საფიქრალი გამიჩინა.

აი, ახლა დედის ეს ნათქვამი გამახსენა ამ კაცის ნათქვამმა: „ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს".

ეს იყო ექვსი წლის წინათ. ახლა აღარც დედა მყავს ცოცხალი, აღარც უფროსი და. ორი წელია, ავტოავარიაში დაიღუპნენ...

ვინ ამიხსნის, მაშინ მამამ მართლა იხუმრა თუ მართლა წამოსცდა, ნასვამს?

...მაგრამ რა იყო ეს, საოცარი კეთილშობილებით ნათქვამი: „ჩემო ძამიკო"? რატომ მათვალიერებდა ასე საოცრად? ასე დიდხანს? ასე უცნაურად? ნუთუ მართლა ერთმანეთს ვგავართ, თუ თავის ძმას მიმამსგავსა? რატომ შემოფარა ქოლგის ქვეშ? ნუთუ ეს მისგან მხოლოდ ზნეობრივი – კეთილშობილური ნაბიჯი იყო თუ „სისხლის ყივილისმაგვარი" რამეც?

გმადლობ შენ, უფალო, რომ იმ მშვენიერ ქალიშვილს საქმროც ჰყოლია უკვე და რაღაც ცოდვაში ფეხი არ ჩამადგმევინე!

ვინ მეტყვის სიმართლეს? იქნებ ვცდები? იქნებ – არა? იქნებ... მაგრამ... ჰო, კი... არა, არა... ნეტავ თუ შევხვდები კიდევ?...

ერთი ავტობუსი კიდევ ჩამოდგა. ის ქოლგიანი კაცი ავიდა და გაყვა. კვლავ მარტო დავრჩი.

ჩემს საფიქრალს თავს ვერ ვაღწევ...

ვდგავართ დიდი ქალაქის ერთ-ერთ გაჩერებაზე მე და ჭადარი. ვდგავართ თავჩაქინდრულნი და... გვაწვიმს...

P.S.

ნოველის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი მეკითხება:

– ეს ამბავი შენ გადაგხდა, ხომ?

– არა, ბატონო, მე არ გადამხდენია. მე გადმოვეცი ჩემი მეგობრის მონაყოლი, რომელსაც, თავის მხრივ, სხვისგან ჰქონდა მოსმენილი...

– რა მოხდა ბოლოს: ის სტუდენტი ვაჟი კიდევ შეხვდა იმ გოგონას და გაარკვია, მისი და იყო თუ არა?

– რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ეს „პაემნები" მათ „გაუტკბათ". ისინი და-ძმანი არ აღმოჩნდნენ! როგორც ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრებაში, მოხდა საოცრება: იმ გოგონამ ამ „პაემნების" შემდეგ საქმრო აითვალისწუნა, მას როგორღაც თავი დააღწია და ეს ვაჟი შეიყვარა, რომელიც, თავის მხრივ, უსაზღვროდ იყო შეყვარებული! ალბათ „ერთი შეხედვით (იმ წვიმიან დღეს) „შეყვარების" სიყვარული იყო მათი სიყვარული! მათ იქორწინეს და ბედნიერები იყვნენ ცხოვრებაში.

– კი, მაგრამ, ისინი ხომ ერთმანეთს ჰგავდნენ?

– არ შეგიმჩნევიათ, ცოლ-ქმარი რომ ერთმანეთს ჰგვანან თავიდანვე, ან მერე ემსგავსებიან ერთმანეთს? ჰოდა, აქაც ასე იყო...

ახლახანს, ჩემი ნოველის გამოქვეყნებიდან ექვსი წლის შემდეგ, მატარებლით მგზავრობამ მომიწია. თბილისში მივდიოდი. ერთ-ერთი მოზრდილი ქალაქის გაჩერებაზე ახალი მგზავრები რომ ამოვიდნენ, ჩემს გვერდით ახალგაზრდა მამაკაცი ჩამოჯდა. იქნებოდა 30-32 წლისა. ხელში ლექტორის ჩანთა ეჭირა. მგზავრობისას მან ჩანთიდან წიგნი ამოიღო თუ არა, წიგნის გარე ყდას თვალი მოვკარი და სიამოვნება-სიხარულისგან ოდნავ შევცბი. ჩემი პირველად გამოცემული წიგნი აღმოჩნდა. მას წიგნში წასაკითხი ადგილი მონიშნული ჰქონდა და მაშინვე იმ ადგილზე გადაშალა. ჩემი ნოველის – „გაჩერებაზე"-ზე კითხვა დაიწყო. ამ ახალგაზრდა კაცს გამოველაპარაკე და ვკითხე, თუ რას კითხულობდა და ვინ იყო ამ წიგნის ავტორი.

რაც მან მითხრა, გაოცებისაგან სახტად დავრჩი (და, ალბათ, პირიც გაოცებისაგან გაღებული დამრჩა!)

– ამ ნოველაში ყველაფერი ჩვენზე, მე და ჩემს მეუღლეზე, წერია (!)

– მაინც რა წერია? (ვითომ არ ვიცოდი).

– ჩვენ მართლა უნივერსიტეტის გაჩერებაზე, წვიმიან დღეს, ქოლგის ქვეშ, გავიცანით ერთმანეთი! მე მართლა დედა და უფროსი და ავარიაში დამეღუპნენ. იმ გოგონას საქმრო მართლა ჰყავდა, რომელიც მიატოვა და ჩვენ დავქორწინდით. ახლა ხუთი შვილი გვყავს, ორი ტყუპია.

– ღმერთმა გამრავლოთ! თქვენნაირები გადაარჩენენ ქართველობას და საქართველოს. თვალებზე ცრემლი მომადგა.

– მე ლექტორი ვარ. ლექციებს ვკითხულობ ერთ-ერთ კერძო უნივერსიტეტში. ამ ნოველას მესამედ თუ მეოთხედ ვკითხულობ.

– თუ იცით, ვინ არის ამ წიგნის ავტორი?

– არა, მაგრამ ძალიან მინდა მისი გაცნობა.

მაშინ მე, გაოგნებულმა და მრავალმხრივ გულშეძრულმა, მეტი დამაჯერებლობისათვის გულის ჯიბიდან ჩემი პირადობის მოწმობა ამოვიღე და ახალგაზრდას გავუწოდე.

როცა მოწმობას დახედა, სახტად დარჩენილმა შემომხედა (და გაოცებისაგან მასაც პირი ოდნავ ღია დარჩა).

მატარებელი ბორბლების მწყობრი რიტმით მიქრის...

შემდეგ მან მითხრა:

– თქვენ ბევრი რამ იცით, რაც თავს გადაგვხდა და, ბუნებრივია, არც ნოველაშია გადმოცემული.

– მაშ, გისმენთ!

– დიდი ქორწილი გადავიხადეთ (ბიძაჩემმა გადამიხადა). უამრავი ნათესავი მოვიდა, ახლობელი თუ შორებელი. ერთი ლამაზი გოგონაც მოვიდა. შორეული ნათესავი ვარო, გაგვეცნო, მაგრამ არ დააკონკრეტა. ცოტა უცნაურად და სევდიანად მიყურებდა. ძვირფასი საჩუქრები (ბეჭდები) მოგვართვა მე და ჩემს მეუღლეს... ქორწილის დროს ახალგაზრდობა ბევრს ცეკვავდა, ხან – ქართულ-ტრადიციულს, ხან – ევროპულს. ერთხელაც, „ვალსის" ცეკვის დროს, ის გოგონა ჩემთან მოვიდა და საცეკვაოდ გამიწვია. ცეკვის დროს ღელავდა. გახარებული, მაგრამ სევდიანი თვალებით მომჩერებოდა. ბევრნი ვცეკვავდით. უცებ გოგონამ ისარგებლა, რაღაც კონვერტი ჩუმად მომაჩეჩა და ცრემლიანი თვალებით მეუბნება: – იმ შენს სიყვარულს გაფიცებ (პატარძლისაკენ მიმახედა), ეს კონვერტი ხვალამდე არ გახსნა! მერე უცებ გამომემშვიდობა და ქორწილიდან გაქრა.

მეორე დღეს მეუღლესთან ერთად გავხსენი კონვერტი.

ნოველაში ხომ გაქვთ: ნასვამმა მამამ დედაჩემს გაანდო, რომ ერთი უფროსი და მყავდა კიდევ. ჰოდა, ის გოგონა ჩემი და, ნახევარ-და აღმოჩნდა, ჩემზე ერთი წლით უფროსი. წერილში მწერდა, ბავშვობიდან დედამ ჩემზე და ჩვენს ოჯახზე ყველაფერი უამბო. მამა რომ გარდაიცვალა, დაკრძალვაზე მოსვლა ვერ გაბედეს. მერე ისიც უნივერსიტეტში სწავლობდა და ყოველთვის თვალს მადევნებდა, მაგრამ გამოცნაურებას ვერ ბედავდა. ქორწილში კი არ შეეძლო, რომ არ მოსულიყო. მწერდა, რომ ძალიან ვუყვარდი. დედა აღარ ჰყავდა, დარდისგან კიბოს უმსხვერპლია. მწერდა, რომ ჯერ გათხოვილი არ იყო.

არავითარი მისამართი, არც ტელეფონი...

ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერ მივაკვლიე.

სამი წლის შემდეგ ტელეფონით დამელაპარაკა. ბევრ რამეზე ბოდიში მომიხადა, რომ უკვე გათხოვილია და ერთი წლის შვილი ჰყავს. მე გავიხარე მისი გამოჩენით და დავთქვით, რომ ამა და ამ დროს მთელი ოჯახი ჩვენ შინ გვეწვეოდა.

და აი, მანქანა ჭიშკართან გაჩერდა. გადმოვიდნენ. ჩემი მეუღლე მეორე შვილზე იყო ფეხმძიმედ, მუცელი ეტყობოდა.

ჩემი და გადამეხვია.

მის მეუღლეს ბავშვი უჭირავს ხელში და მოდის. როცა ჩემმა მეუღლემ და მან ერთმანეთს შეხედეს, სახტად დარჩნენ, ფერი ეცვალათ, მერე ისევ პირველმა იმ ბიჭმა გაიღიმა.

– იცით, ვინ აღმოჩნდა ის „ბიჭი"? – ნოველაში ხომ გაქვთ ნახსენები „საქმრო". მეუღლის მაშინდელი „საქმრო" აღმოჩნდა ჩემი დის ქმარი!

როგორ ფიქრობთ, მკითხველო, მატარებელში სახტად დარჩენილს მეც პირი ღია არ დამრჩებოდა?

მაინც რა არის ბედისწერა!

მატარებელი კი ბორბლების მწყობრი რიტმით მიჰქროდა და გზას, თითქოს, ბოლო არ უჩანდა...

ნათია ჭინჭარაული

***

ეს ქართა
პირველი
დეკადა,
ეს ჩვენი ფანჯარა – ღია..
ხელში ხან სამყარო გვეკავა,
ხან ცა მელანივით მღვრიე.
დილაა,
იღვიძებ,
მიღიმი,
შენთან ვარ, მეორე მხარეს..
და ჩვენი ოთახის სიღრმიდან
მუსიკა იღვრება გარეთ..
ოქტომბრის
სუსხია,
შეჩვევა..
ოთახში ყანჩელი ისმის,
და ქუჩაც ღარიბი მეჩვენა,
ასეთი მდიდრული ხმისთვის..
დილიდან კვლავ
„სამაგალითოდ“
ვთქვათ მწარე ყავა და კენტი,
ეს ქარი არაფერს არ ითხოვს
ან ქარსაც რა უნდა მეტი.

***

და შენ რომ არა..
და შენ რომ არა..
რომ არა შენი სახლი,
ტყის გვერდით..
ხეები მსგავსად სხვაგანაც მდგარან,
ადრე მათზე მეც სხვაგვარად ვწერდი...
ხმაურით მიხმობს
წვიმის ხმა..
ვწუხვარ..
ჩემი წუხილი კი ცრუ როდია..
ტყეებს ასეთი ხშირი წვიმის დროს
ვნახე, რამხელა სევდა სცოდნიათ.
ქართან ბრძოლაში
ისევ შევები,
ისევ შემოვხვდი ცრემლებს
სიცხიანს,
გვიან შევნიშნე ხელებს ხეები
როგორ არხევენ და მეძახიან...
ეს ოთახია,
ვიწყებ ხელახლა
ფიქრს, –
ფანჯარასთან დავჯექი ყავით,
ხელში
რომ ერთხელ კიდევ მენახა,
ღრუბლებმა როგორ დაკარგეს თავი...

***

სხვისთვის
მიტოვებაც მარტივია
მარტის მიწურულთან თანაც,
ქალები, რომლებიც არ ტირიან,
როგორ ძლიერები ჩანან..
სანამ სიტყვას მეტყვი
ალის მომტანს..
ტანზე ცეცხლივით მომედები..
უნდა იცოდე, რომ ძალზე ცოტას
ვცხოვრობთ
პეპლები და პოეტები..

***

ჩემს ერთგულ ლანდებსაც
ღმერთი ყავთ თავისი...
თენდება და ვუსმენ
დიალოგს ჩიტების,
ეს ღამე აღარცერთ სიზმარს არ გაისვრის...
გამოვიფიტები.
აქ არ ხარ, მარტო ვარ,
სევდაა რამხელა,
ხანდახან ფიქრები აქრობენ მანძილებს..
ვერ გხედავ და თვალის ყოველი გახელა..
მამძიმებს...
ცისპირი არ ვიცი როგორ ჩანს
შენიდან,
დგას ღამის სიზმართა ჩვეული სიმწიფე.
ვუყურებ რომ მთვარე ღრუბლებში შევიდა,
ზურგით დგას მიწისკენ.
ვბრუვდები...
ვბრუნდები...
ბავშვობის სახლში ვარ...
წარსულის ნიავი ქარდება ხანდახან
და სანამ ჭრილობა ბოლომდე გახსნილა,
სადა ხარ?!
კედლებზე ჩრდილები აწყობენ სეანსებს
ყვებიან ქარები თხზულებებს უბნების,
ვიცი, შენს არყოფნას ვერაფრით შევავსებ...
ვჩუმდები.
შენ იქ ხარ, მზემ გული იბრუნა საითაც,
ვგრძნობ, ეჭვის თვალებით მიყურებს აბსურდი,
იწვიმებს, ცა სევდის მუსიკას ჩამირთავს –
დაბრუნდი...

***

ცა
ნაცრისფერი,
ცრის ცივ სიმშვიდეს..
ვერ მოვიშორე შენი სიშორე,
ვერც ღამის თევას
ვეღარ ვიშლი და...
ვერც ამ ხასიათს გამოვისწორებ..
თუ არ გაგრძელდი –
ნუ დაიწყები,
წვიმის წვეთივით გავიწირები..
ერთხელ შენს გვერდით როცა ვიწვები
ამ ლავიწებით,
წელით,
წვივებით,
თვალი ანარეკლს როცა გადაკვეთს..
როცა გაფანტავს
ღამეს არილი...
შენი სურვილი
სულმთლად გადამრევს
შენი სურვილი
აღარ გამივლის...
ცხადზე ცხადია,
თუნდაც რა მელის..
ცარიელია სიზმრის კარცერი..
შენი სურნელი სუნს გავს კამელის
და შენ გგავს ჩემი ყველა ნაწერი.

მამუკა ოჩიაური

არ ტოვებ ქალაქს

მხოლოდ ის წყარო შერჩა იმ ალაგს,
სხვა დანარჩენი წლებმა დატორეს,
შენც მიაშურე გადაღლილ ქალაქს,
სოფელი შენაც უხმოდ დატოვე

და დახავსებულ დაშლილ აივნებს
მასპინძლის აღარ ატყვია ხელი,
ჩემზე ფიქრს თუკი გულში გაივლებ,
შენი ვიქნები კვლავ მადლობელი.

ეზო მაყოლებს მზერას მიამიტს,
რკინის ჭიშკარსაც ფერი ეცვალა,
ვხედავ, კუთხეში დადებულ კრამიტს
ხარიხა ფეხქვეშ გამოეცალა.

გაცქიოტებულ ორღობეებში
მალე ხალისის სხეულს დაფლავენ,
ნათელ აღდგომის წმინდა დღეებში
გიხმობს მოწყენით მამის საფლავი.

ისევ არ ტოვებ მშფოთვარე ქალაქს,
არ ვიცი რატომ, ანდა რის გამო,
წყაროღა შერჩა მარტო იმ ალაგს
და შენი ძველი ეს კარ - მიდამო.

დღეს ჩაგეხუტები

დღეს ჩაგეხუტები, თუ გაიამინდებს,
თუ მთებს მიეფარა ყინვა და ქარები
და შენმა თვალებმა დღემდე რომ დამინდეს,
იმ მონატრებებით დავალ ნამთვრალევი.

დღეს მოგიალერსებ, თუ გამოიდარებს,
თუ დაიკარგება ნისლების ფარჩები,
დიდ მონატრებასთან მუდამ-ჟამს ვიდავებ,
მე მოვალ ამ ღამით და შენთან დავრჩები.

ჩამოშლილ კულულებს თითებით დაგვარცხნი
და დაველვენთები შენ ბაგეს კოცნებად,
მიყვარხარ, – ამ სიტყვას ჩურჩულით დავმარცვლი,
სიცხადეს ჩავაცმევ უხილავ ოცნებას.

კოცონად ანთებულ ვნებათა მორევში,
(რომელშიც ათასი სურვილი ბოგინობს)
შევცურავ, შენზე ფიქრს ვერასდროს მოვეშვი,
არ მინდა ლოდინმა ცრუდ მოილოგინოს.

დღეს ჩაგეხუტები, თუ გაიამინდებს,
თუ გაჩერდებიან უღლელი ქარები
და შენმა თვალებმა დღემდე რომ დამინდეს,
ხალისით მევსება გული და თვალები.

მივდივარ

დღემდე კოცნაც კი არ დაგაძალე
ტანს ჩაგაწანი ფიქრი ხელებად,
მივდივარ, მიცდის ჩემი საძვალე,
შემოსალტული მრუმე ფერებად
და შენს მაგივრად ცივი თითებით,
ყიოში მიწა მომეფერება.

დავაგვიანე

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
ძილიც დავკარგე სიზმრის დობილი,
ნეტავ, ვინ ჩახსნა შენი საკინძე
და ვინ შეავსო შენი ლოგინი.

იმ განათევარ ღამეთა კვალში,
ძველ მოგონებებს კვლავ ვეურჩები,
ვინ გაეხვია ვნებების ალში,
ვინ დაგიკოცნა ნეტავ ტუჩები.

ვინ ჩაგიხუტა ნეტავი გულში,
შენში არია მწველი ფიქრები
და ჩაგჩურჩულა ლამაზო ყურში,
რომ საუკუნოდ შენი ვიქნები.

ღამემ მიიღო დილის იერი,
ბნელეთს სინათლის გასტეხს შურდული,
ნეტავ ვინაა ის ბედნიერი, –
ვინც გახსნა შენი გულის ურდული.

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
წლებს გავატანე ძველი სიამე,
მე ვერ ჩავხსენი შენი საკინძე, –
სიტყვის გამხელა დავაგვიანე !

როს მახოლ *

როს მახოლ, ჩამასთოვს, დაჰკეტავს მთას შვილო,
ნაქარი* გაავსებს ბილიკს და ქანჩახებს,
აქ უკვე სათოვარ წვალობს და მაცილობს,
ყინული ერევა ჭაობს და ჭანჭახებს.
როს მახოლ, გაცივდა ჭერხოის კედლები,
უხალხო ყიოშმა სოფელი დაჯაბნა,
მოვხუცდი, დავსუსტდი, ყველაფერს ვეგლები,
წლებმა ხელდამრია ნაწვალებ, ნაჯაფარს.
როს მახოლ, ბანებზე თიხაა ნაკლები
წვეთ - წვეთად ჩამოდის წვიმაში წყალი და....
მე ისე გაგზარდე არაფერს გაკლებდი,
ვაგლახ, რომ ის წლები უჩუმრად წავიდა.
როს მახოლ, დაბერდა საბრალო ჯაგანა,
ნადირმაც იმატა, ყოველ ღამ გვეტევა,
ჯაგანას ბეწვი რომ ეყარა ჯაგარად
გაქუცულს, დღეს უჭირს ნადირზე შეტევა.
როს მახოლ, გავყურებ გზებს მთისკენ სავალებს,
დღეს მთებიც გათეთრდა ძირიდან წვერამდე,
მე შენთან მოკითხვას, ნისლებსაც ვავალებ,
იქნება როდისმე მოვიდნენ შენამდე.
ზამთრდება, ეს ქარიც შლეგობს და მაცილობს,
მე მჯერა მომიხვალ, მე მჯერა გონს მახოლ*
იჩქარე, ჩამასთოვს, ჩაჰკეტავს მთას შვილო
ნეტავი ვიცოდე როს მახოლ, როს მახოლ.

როს მახოლ * (ხევსურ) - როდის მოხვალ
ნაქარი* (ხევსურ) - ნამქერი
გონს მახოლ* (ხევსურ) - გონზე მოხვალ, მიხვდები.

ერთი ჯავახური სოფლის

კუკური მეტრეველი

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. N1-3 2024)

ასეა თუ ისე, კოთელიის მიწები მაინც თვალშისაცემად ხელსაყრელი და ნაყოფიერია, მათზე თვალი ყველას ეჭირა და უჭირავს, ამიტომ გაფრთხილება სჭირდებათ. ადრე მის გამო სოფელს ხშირად მეზობლებთან პრობლემებიც ჰქონია. მოხუცები ასეთ შემთხვევას იხსენებდნენ: ერთ მეზობელ სოფელთან საძოვრების გამო უთანხმოება მოსვლიათ და გავავრებულებს მთელი ეს სოფელი მთებს იქით გადაურეკიათ.

ასევე ცნობილი ფაქტია, – გასული საუკუნის სამოციან წლებში ერთ-ერთი მეზობელი მაღალმთიანი, სომხებით დასახლებული სოფლის მოსახლეობას პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის სახელზე კოლექტიური წერილი-განცხადება შეუტანიათ და კოთელიის კუთვნილ ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლება მოუთხოვიათ. მაშინ ახალქალაქის რაიაღმასკომის თავჯდომარის მოადგილეს, წარმოშობით კოთელიელ თამარ ლაზარაშვილს (ქიტეევნას) და კოთელიის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვანო აჩელაშვილს ძალიან უყოჩაღიათ და ჩვენი მეზობლებისთვის ამ მორიგი „გულუბრყვილო“ ჩანაფიქრისსათვის განხორციელების საშუალება არ მიუციათ.

ბოლო წლებში, სამწუხაროდ, არ ვიცი დიდი გაჭირვების, სიზარმაცის თუ სიხარბის გამო ჯავახეთში (მათ შორის ბარის სოფლებშიც) ქართული მიწების გაყიდვის, გაქირავების თუ დროებით გასხვისების სამწუხარო ტენდენცია შეიმჩნევა.

მიუხედავად თითოეული ჩემი თანასოფლელის და ყველა ჯავახის დიდი სიყვარულისა და პატივისცემისა, მინდა მაინც გავაფრთხილო, ვიდრე ასეთ გადაწყვეტილებამდე მივიდოდნენ, დაფიქრდნენ, ეს ის მიწებია, რომლის ვერმიტოვების, დაცვის და ჩვეროსი ან ბიძა, ან სხვა ძალიან ახლობელი (შეიძლება შუამავალიც წაეყვანათ), დაავლებდნენ ხელს სასიძოს და მიდიოდნენ საპატარძლოს ოჯახში.

საპატარძლოს ოჯახი მომზადებული ხვდებოდა. ცოტა დაილაპარაკებდნენ, გაშინაურდებოდნენ, ერთმანეთის სურვილებს მოისმენდნენ, საპატარძლოს და სასიძოს ერთმანეთს გააცნობდნენ (ყოფილა შემთხვევები სასიძოს გარეშეც გაუცვლიათ ბეი), საპატარძლოს ბეჭედს გაუკეთებდნენ ან თუ ჯერ არ ჰქონდათ, თავსაფარს აჩუქებდნენ. თუ სარძლოს ოჯახს ჰქონდა, ბეჭედს სასიძოს ისინიც გაუკეთებდნენ თუ არა და წინდების ჩუქებითაც იოლად გადიოდნენ.



ლობით გამორჩეული ქალბატონები უძღვებოდნენ. ზოგიერთ მათგანს მეც ძალიან კარად ვიცნობდი, მაგრამ ჩვენი ხალხის „დიდგულობის“ ამბავი რახან ვიცი, ვინმეს რომ არ ეწყინოს, ჩამოთვლისაგან თავს შევიკავებ. ხაჭაპური ხშირად უშუალოდ ქორწილის დღეებში ცხვებოდა. ჩვენებურ, შედარებით მოზრდილ და მასიურ ფურნეებში გამორჩეული ქალბატონების მიერ გამომცხვარი ჯავახური ფენოვანი ხაჭაპურის გემო და სურნელი ვისაც ერთხელ მაინც გაუსინჯავს, მჯერა, არასოდეს დაავიწყდება.

ასე და ამგვარად დადგებოდა ქორწილის დღე.

საქორწილო სუფრა ჯავახეთის მკაცრი კლიმატიდან გამომდინარე, მითუმეტეს ზამთარში, ოდაფილიყო) და მამამთილი მეზურნეებთან ერთად წავიდოდნენ დედოფლის „მოსაძებნად“ და მოსაყვანად, რომელიც შორიახლო, რომელიმე ახლობლის ოჯახში ჰყავდათ „გადამალული“. ასეთი პატივი ამ ოჯახისთვის პატივისცემაც იყო და რძლის ოჯახთან ახლობლობის გამოხატულებაც.

ახლობლის ოჯახიდან პატარძლის „გამოხსნის“ და წამოყვანის ცერემონიალს ჩვენს სოფელში „პატარძლის აყენება“ ეწოდებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ვიდრე არ მიაკითხავდნენ საქორწილოდ მორთულ-მოკაზმული პატარძალი, ცალკე ოთახში გამოკეტილი იჯდა და ადგომის ნებართვას და საქმროსთან წაყვანას მოთმინებით ელოდებოდა.

გადამალული პატარძლის მიგნება, „გამოისასყიდის“ გადახდა, მის წამოყენება და ნეფისთვის ჩაბარება, რადგან მთლიანად ნათლიას ევალებოდა, ისიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მოძებნიდა პატარძალს, „გამოსასყიდს“ გადაიხდიდა (თუ გაუძვირებდნენ და ბოლომდე თანხის გადახდას ვერ ახერხებდა, მამამთილი წაეხმარებოდა) და გამოიყვანდა. მასპინძელ ოჯახს მადლობას გადაუხდიდნენ, დალოცავდნენ, წამოიყვანდნენ პატარძალს და მუსიკის თანხლებით მექორწილეებთან მოიყვანდნენ, სიძეს გვერდზე მიუსვამდნენ და ნამდვილი ქორწილი ამის მერე იწყებოდა.

გოგოს ოჯახში ქორწილი დიდხანს არ გრძელდებოდა (ორი-სამი საათი), რადგან პატარძალი იმღამესვე ბიჭის ოჯახში უნდა მიეყვანათ, სადაც ბევრი ხალხი მოუთმენლად ელოდებოდა. ქეიფის ბოლოს მზითევს დააძახებდნენ, რომელსაც მაყარბაში ჩაიბარებდა. მზითები შეიძლება იმ დღესვე წამოეღოთ ან თუ ამის საშუალება (უფრო ზამთრის ქარბუქის პერიოდში) არ იყო, შეკრავდნენ და ცალკე ადგილზე შეინახავდნენ. თუ კარგი რძალი გამოადგებოდათ, სიძის ოჯახის წარმომადგენლები მალე მივიდოდნენ რძლის ოჯახში მადლობის სათქმელად და მზითევსაც წამოიღებდნენ. ზოგჯერ სიმამრის ოჯახი ვერ მოიოთმენდა და მალე მივიდოდა შვილის ახალ გარემოში სანახავად.

ნამდე მოტანის გამო, სხვებთან ერთად მათ უშუალო წინაპრებსაც უთვალავი ჭირ-ვარამის გადატანა, სისხლისა და ოფლის ღვრა მოუწიათ. ასე გაჭირვებით, ძლივსძლივობით შენარჩუნებულ მიწას, ასე გაუაზრებლად და ადვილად რომ იმეტებენ, რას ეუბნებიან თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს, რა ხვედრს უმზადებენ სამომავლოდ შთამომავლობას?!

მოკლევადიანი შვების გამო არ ღირს მომავლისთვის ასე უმნიშვნელოვანესის გამეტება, განივება! თუ კაცს ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, მერე იწყება გადაგვარება და ყოველგვარი უბედურება! სახელმწიფოსაც მართებს ძალიან გონიერება, მიწის კანონმდებლობაში ყველაფერი მისხალ-მისხალ უნდა იყოს გაწერილი და გათვალისწინებული, თორემ ჯავახეთის მიწები, როგორც მე-19 საუკუნის განმავლობაში, ისე კიდევ ერთხელ ძირითადად არაქართველების ხელში თუ აღმოჩნდა, მერე ამ კუთხეში მკვიდრი ერის წარმომადგენლები სანთლით საძებარიღა გვეყოლება!.

ჯავახეთის მადლიან მიწა-წყალს გაცილებით ჭარბი მოსახლეობის შენახვაც შეეძლო, მაგრამ უამრავი დამპყრობლების შემოსევები, გაუთავებელი ლეკიანობა და ტვეებად გატაცება და გაყიდვა, საშინლად ამცირებდა ჯავახეთის მოსახლეობის რიცხოვნებას. იყო პერიოდები, როცა ჯავახეთის მთა-ბარი მხოლოდ საძოვრებად იყო გადაქცეული. შიგადაშიგ, ომებს შორის ამოსუნთქვის პერიოდში, ყველას აწუხებდა მოსახლეობის რიცხოვნება, რადგან ბევრი შვილი და შემდეგ ახალგაზრდობა, ოჯახის სიმდიდრე, მეტი მუშა-ხელი და სამშობლოს მეტი დამცველი იყო. ამისთვის საჭირო იყო გამრავლება, მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან გადმოსული თანამემამულეების იმედად ჯავახეთი ვერ იქნებოდა. ამიტომ უფროსი თაობა ძალიან სერიოზულად უდგებოდა ახალგაზრდების დაოჯახება-დაქორწინებას, რის გარეშეც გამრავლება ვერ მოხდებოდა.

დაქორწინება უწინ ძირითადად გარიგებით ხდებოდა. რა თქმა უნდა, იყო სიყვარულით, ან მოტაცებით ოჯახის შექმნის მაგალითებიც, მაგრამ ძალიან ცოტა.

ვისაც დასანიშნი ბიჭი ან გასათხოვარი გოგო ჰყავდა, როცა ამის დრო დადგებოდა და მოინდომებდნენ მათ დაოჯახებას, დაელაპარაკებოდნენ ახლობლებს, ნაცნობებს, ან მაშვალებს,

– აბა, ასეთი და ასეთი დასაოჯახებელი შვილი გვყავს და მისი საფერო იქნებ სადმე გეგულებათ, გვაპოვნიეთო?

ისინიც გაიკითხავდნენ-გამოიკითხავდნენ და თუ სადმე საკადრის ქალს ან ვაჟს შეიგულებდნენ, შეატობინებდნენ ოჯახს. ოჯახის უფროსები, თავისმხრივ, ითათბირებდნენ, მოიკითხავდენენ მათ ჩამომავლობას, ქონებას და წავიდოდნენ ან გააგზავნიდნენ ახლობლებს სარძლოს ან სასიძოს ოჯახში და განუცხადებდნენ, რომ მათთან დამოყვრება სურდათ და დაელოდებოდნენ პასუხს.

მეორე მხარე, მშობლები, თავს ცოტათი მაინც აუცილებლად დაიფასებდნენ.

– კარგი, დავფიქრდებით და შეგატყობინებთო.

გაიკითხავდნენ, გამოიკითხავდნენ და იფიქრებდნენ და თუ სასიძო არ მოეწონებოდათ, შეუთვლიდნენ:

– ჩვენთან მაგ საკითხე ნულარ მოხვალთო.

თუ მოეწონებოდათ, – ცოტა გაინაზებოდნენ,

– რა ვიცით, აბა განა უარს ვართ, მაგრამ აი ეს.., აი ის.., ცოტა სხვანაირად რომ იყოს ან ჰქონდესო?..

ბოლოს მაინც თანხმობას ეტყოდნენ და შეუთვლიდნენ:

– ამა და ამ დღეს მოდით, ბეი გავცვალოთო.

ბეს გასაცვლელად დათქმულ დღეს ოჯახის უფროსი ან ბიძა, ან სხვა ძალიან ახლობელი (შეიძლება შუამავალიც წაეყვანათ), დაავლებდნენ ხელს სასიძოს და მიდიოდნენ საპატარძლოს ოჯახში.

ასე და ამგვარად გაცვლიდნენ ბეის და გოგოც და ბიჭიც უკვე დანიშნულად (დაწინდულად) ითვლებოდნენ.

მეზობლის გოგოები გაიგებდნენ თუ არა ამ ამბავს, მაშინვე აუცილებლად გაჭორავდნენ.

– გაიგე, გოგო, შე ბედდამწვარო, ჭოჭოტაანთ და ზვილალაანთ გუშინ ბეი გაუცვლიათ, მართალი და ზაქარაი დაუნიშნიათო!..

– უიმე, ქალო, რა მითხარი, მაგ ნაზუქივით გოგოს, იმ კონკილა ბიჭს როგორ ატანენ, რამ დაუბრმავათ თვალები?!

– აბა, შე სამა, იჯექი ახლა და ამდენი მოზვერივით ბიჭი იწუნე და იწუნე!..

– ფრთხილად იყავი, ბოლოს შენებთანაც, რომელიმე ჯანდაკის გამოგზავნილი მთხოვნელი არ მოვიდეს.

– აბა რაღა, შე „ყანჯუღო“ მაგის შიშით პირველივე მთხოვნელს „ქასაზე“ გაეკიდე..

ბეის გაცვლის შემდეგ ორივე მხარე ცოტა დაწყნარდებოდა, დამშვიდდებოდა და მცირე ხანში კიდევ ერთხელ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

დათქვამდნენ ნიშნობის დღეს.

სიძის ოჯახი მცირე სუფრას მოამზადებდა და ყველაზე ახლობლების ვიწრო წრეს დაპატიჟებდა. აირჩევდნენ წარმომადგენლობას, ჩაულაგებდნენ ქადებს, ნამცხვრებს, სასმელს და რძლის ოჯახში გაისტუმრებდნენ.

ქალის ოჯახშიც შესაბამისად მცირე რაოდენობით უახლოეს ნათესავებს დაახვედრებდნენ. ნიშნობის სუფრასთან ერთმანეთს გაიცნობდნენ, გამხიარულდებოდნენ და, რაც მთავარია, სარძლოს ნიშნობის საჩუქრებს გადასცემდნენ. როგორც წესი, ნიშნობისას სიძის ოჯახს პატარძლისთვის უნდა მიეტანა საქორწილო კაბა და ერთი ხელი ჩასაცმელი თავიდან-ბოლოდე, დამატებით კიდევ სხვადასხვა საჩუქრები. თუ ბეის გაცვლის დროს სარძლოსთვის ბეჭედი არ ჰქონდათ მიცემული, ნიშნობაზე გაუკეთებდნენ. იგივე შეიძლებოდა სიძესთან მიმართებაშიც. სიძის მხრიდან გაყოლილი ნათესავებიც პატარძალს სამკაულებს, თავსაფარს და სხვა რაღაცებს ჩუქნიდნენ. შეძლებიდან გამომდინარე, გოგოს ოჯახიც ასაჩუქრებდა სიძეს. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დალოცავდენ წყვილებს და ქორწილის თარიღზე შეთანხმდებოდნენ.

ქორწილი, ნიშნობიდან მალე, ან სიტუაციიდან გამომდინარე ერთი, ორი ან სამი თვის მერეც შეიძლება გამართულიყო. აქვე შეთანხმებოდნენ მაყრების რაოდენობაზეც. გოგოს მხრიდან მაყრები ბიჭისაზე რაოდენობით ორჯერ მეტი მაინც უნდა ყოფილიყო. რადგან ქალს ღირსეული გაცილება სჭირდებოდა და მაყრიონს ბიჭის ოჯახში გოგოს საახლობლო მხარე სათანადოდ უნდა წარმოედგინა. ქორწილში სასმელის პრობლემის მოგვარებაც ბიჭის მხარეს ევალებოდა. ამიტომ წინასწარ უნდა სცოდნოდათ ქორწილში რამდენი მოპატიჟე ეყოლებოდათ, მაყარი რამდენი დაემატებოდა, რომ ყველასთვის სამყოფი მოემარაგებიათ.

ქორწილისთვის სამზადისი შეძლებული თუ ნაკლებად შეძლებული ოჯახებისთვის ძალიან სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვდა, ამიტომ მასში ფაქტიურად მთელი სანათესაო, სამეზობლო და სამეგობრო მონაწილეობდა. დაპატიჟებდნენ ნათესავებს, პირველ რიგში მათ, ვინც სხვა კუთხეებში, ან შორეულ სოფლებში ცხოვრობდა, ქორწილის წინა დღეებში კი – მეზობლებს და საკუთრივ იმ სოფლის მოსახლეობას.

ქორწილის წინა დღეს ცხვებოდა ქადები და ნამცხვრები, იკვლებოდა საკლავი, გროვდებოდა ჭურჭელი. ქადების და ნამცხვრების დაცხობა ძირითადად ფურნეებში ხდებოდა და ამ საქმეს სოფელში ამ ხელახლებში იმართებოდა. კონკრეტულად ყველაზე დიდ დარბაზში. შეძლებულ ოჯახებს ასეთად დიდი სასტუმრო დარბაზები ჰქონდათ, ნაკლებად შეძლებულ ოჯახებისთვის ასეთად მხოლოდ ბოსელი გამოდგებოდა, რომელიც ისევ დარბაზულ სტილში მერცხლისბუდურად იყო გადახურული. იყო შემთხვევები, როცა ქალებისთის სუფრა თაკარა ოდებში გაეწყობოდა, მამაკაცებისთის კი დარბაზში ან ბოსელში. ბევრი მოპატიჟის შემთხვევაში სუფრა ყველა მათგანში ლაგდებოდა. შემდეგ უკვე გასული საუკუნის სამოციან წლებში, როცა მოდაში გაცილებით დიდი ქორწილების გადახდა შემოვიდა, საქორწილო სუფრები გარეთ, ეზოებში, სპეციალურად გამართულ ე.წ „სეფებში“ ეწყობოდა, რომლისთვისაც კარვის ყველა აღჭურვილობა, იმხანად ახალქალაქში დისლოცირებული უდიდესი საბჭოთა არმიის სამხედრო ბაზიდან „ნაცნობობით“ გამოჰქონდათ.

უწინ ქორწილები ჯავახეთში, მათ შორის კოთელიაშიც სამ დღიანი იცოდნენ.

პირველ დღეს, დილით ბიჭის ოჯახში მოპატიჟეები შეიკრიბებოდნენ, რამდენიმე სადღეგრძელოს მიირთმევდენენ, მაყრიონს, მაყარბაშს და მახარობელს აირჩევდნენ, გზას დაულოცავდნენ და „ნადავლით“ დროულად მშვიდობიან დაბრუნებას უსურვებდნენ. წასაღებს ყველაფერს ურმებზე, „ფურლუნებზე“, ზამთარში ძირითადად მარხილებზე დააწყობდნენ, დასხდებოდნენ ან მოახტებოდნენ ცხენებს და დაფი-ზურნით გოგოს ქვეყნისკენ გაემართებოდნენ.

გოგოს სოფლამდე არ მისული მახარობლის მარხილი დაწინაურდებოდა. საპატარძლოს სახლის შორიახლოს გაჩერდებოდა, მახარობელს გაუშვებდა, თვითონ კი მაყრიონს დაელოდებოდა.

მახარობელი სირბილით შეირბენდა პატარძლის ეზოში, დადგებოდა კარაპანთან და დაიყვირებდა:

– მე ვარ მახარობელი, სახლის გამხარებელი, სიძე მომყავს ლამაზი, გამოაღეთ დარბაზი!

ატყდებოდა ჩოჩქოლი და ყიჟინა, ყველა ესალმებოდა. საჩქაროდ არყით სავსე ჭიქას მიაწვდიდნენ. მახარობელი ოჯახს და სტუმრებს დალოცავდა, წყვილების ბედნიერებას უსურვებდა, მცირეს მოსვამდა და სავსე ჭიქას ძლიერად მინაზე დაახეთქებდა, დაამტვრევდა.

– ასე მტერი დაგემტვრეთ და დაგეცალოთო, მიაძახებდა.

პატარძლის დედა გამოიტანდა წინასწარ მოქსოვილ წინდებს და მახარობელს კისერზე ჩამოჰკიდებდა. მასვე საჩქაროდ გაუმზადებდნენ შამფურზე აცმულ ქადას ან კოკორა პურს, ქათამს, მწვადს, ვაშლს და სხვას და მიაწვდიდნენ. ამ ყველაფრით „შეიარაღებული“ მახარობელი მასპინძლებთან ერთად გადიოდა და ბიჭის მაყრიონს სიამაყით ეგებებოდა, თითქოს ნიშანს აძლევდა

– ყველაფერი წესრიგშია, გულით გვეგებებიანო.

მაყრიონიც ყიჟინით მოვიდოდა და ატყდებოდა ჟრიამული, მისალმება, ჩახუტება, საზეიმო შეძახილები!.. დაფი-ზურნა დაუკრავდა და ჩაიბმებოდა ფერხული. ოჯახის უფროსი ან მეზობლებიდან შერჩეული ქალბატონი ტაბლაზე დადებული ხილით და ტკბილეულით ხელში, რომლის გარშემო სანთლები იყო ანთებული, ფერხულის შუაში შევიდოდა და ტაბლით ხელში ტრიალებდა და ცეკვავდა. მცირე ხანი, გართობის შემდეგ, ისევ ის ქალბატონი ტაბლიანად ხალხს საქორწილო დარბაზში შეუძღვებოდა და შეიყვანდა. ტაბლას ნეფე-პატარძლის სუფრაზე დადებდა. ნელ-ნელა ხალხი სუფრას შემოუჯდებოდა, თამადა-უფალს ადიდებდა და ლხინიც ინყებოდა.

მაგრამ პატარძალი ჯერ არსად ჩანდა.

ნათლია (ჯავახეთში მეჯვარეს ნათლიას ეძახდნენ. რადგან უმეტეს შემთხვევაში ხელისმომკიდე სიძის ოჯახის ნათლიის ერთ-ერთი შვილი უნდა ყოფილიყო) და მამამთილი მეზურნეებთან ერთად წავიდოდნენ დედოფლის „მოსაძებნად“ და მოსაყვანად, რომელიც შორიახლო, რომელიმე ახლობლის ოჯახში ჰყავდათ „გადამალული“. ასეთი პატივი ამ ოჯახისთვის პატივისცემაც იყო და რძლის ოჯახთან ახლობლობის გამოხატულებაც.

ახლობლის ოჯახიდან პატარძლის „გამოხსნის“ და წამოყვანის ცერემონიალს ჩვენს სოფელში „პატარძლის აყენება“ ეწოდებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ვიდრე არ მიაკითხავდნენ საქორწილოდ მორთულ-მოკაზმული პატარძალი, ცალკე ოთახში გამოკეტილი იჯდა და ადგომის ნებართვას და საქმროსთან წაყვანას მოთმინებით ელოდებოდა.

გადამალული პატარძლის მიგნება, „გამოისასყიდის“ გადახდა, მის წამოყენება და ნეფისთვის ჩაბარება, რადგან მთლიანად ნათლიას ევალებოდა, ისიც თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა. მოძებნიდა პატარძალს, „გამოსასყიდს“ გადაიხდიდა (თუ გაუძვირებდნენ და ბოლომდე თანხის გადახდას ვერ ახერხებდა, მამამთილი წაეხმარებოდა) და გამოიყვანდა. მასპინძელ ოჯახს მადლობას გადაუხდიდნენ, დალოცავდნენ, წამოიყვანდნენ პატარძალს და მუსიკის თანხლებით მექორწილეებთან მოიყვანდნენ, სიძეს გვერდზე მიუსვამდნენ და ნამდვილი ქორწილი ამის მერე იწყებოდა.

ძალიან ლამაზი საყურებელი იყო, როცა მარხილებზე შემომჯდარი მაყრიონი, წინ ნაბადში ან ცხვრის თბილ ქურქში გახვეული ნეფე-პატარძალს გაიძღოლებდა და სოფელ-სოფელ ყიჟინით და სიმღერით ჩამოივლიდა, რითაც, ცხადია, ყველას ყურადღებას იქცევდა. ამიტომ გზაში ამ სოფლების ახალგაზრდობას შეიძლება გზა გადაეკეტათ და გატარებისთვის გარკვეული „ბაჟი“ (უფრო სასმელის სახით) მოეთხოვათ. თუ გზა რომელიმე ახლობლის სოფელზე გაივლიდა, შეიძლება პირიქით, მექორწილეებისთვის წინასწარ გამზადებული სუფრა გადმოეგებებინათ და მაყრიონი კიდევ უფრო გაემხნევებიათ და გაეხალისებინათ.

ამ ყველაფრის და ბევრჯერ ამინდის ან კიდევ სხვა მიზეზთა გამო გოგოს ქორწილიდან წამოსულებს სიძის ოჯახში მისვლა ხშირად ისე დააგვიანდებოდათ, რომ ბევრი მომლოდინე მექორწილე, პირველ რიგში ბავშვები, ველარ უძლებდნენ და მიდიოდნენ დასაძინებლად.

მოდიოდა ქორწილი და აქაც ყველაზე წინ მახარობელი შემოირბენდა და დასჭექებდა:

– მომყავს ქალი ლამაზიო, დამიცალეთ დარბაზიო!

ხალხი უმალ გახალისდებოდა და ახალი პატარძლის ნახვის ცნობიერმოყვარეობის გამოც, მაყრიონის დასახვედრად ჩოჩქოლით გარეთ გამორბოდა.

როგორც წესი, გოგოს სოფლიდან მაყრიონი დაგვიანებით, სიბნელეში მოდიოდა, ამიტომ საჭირო იყო ეზოს და საცეკვაო მოედნის განათება. მაშინ ელექტროობა არ იყო და ამ საქმეში წარმატებით „ჯავახური მაშხალები“ გამოიყენებოდა. ორთითებზე წამოაცმევდნენ კარგად გამომშრალ დიდ წივას, ზედ ნავთს მოასხამდნენ, წაუკიდებდნენ ცეცხლს, რამდენიმე ჯანიან ბიჭს მისცემდნენ, ისინიც აგიზგიზებული და მაღლაანეული ასეთი მაშხალებით ეზოს ირგვლივ განაწილდებოდნენ და ეს იყო მაშინდელი „პროჟექტორებით“ განათება. პერიოდულად წივაზე ნავთს დაამატებდნენ ან, სულაც, ახალს წამოაცმევდნენ და განათებაც უფრო სრულყოფილი ხდებოდა.

ქორწილი მოვიდოდა (ასე იტყოდნენ კოთელიელები) თუ არა, მოსულ-დამხვდურებისგან უმალ ფართო წრე შეიკვრებოდა. დაფი-ზურნა დაუკრავდა,

თავგადასავალი

ფერხული ჩაიბმებოდა და ხალისიანი მოლხენა იწყებოდა!.. ფერხულში ვისაც ეხალისებოდა და ეხერხებოდა დიდი-პატარა ყველა ებმებოდა. აქაც დედამთილი ან დიდი ოჯახის სხვა უფროსი დიასახლისი ან ახლობელი ქალბატონი მოსულებს ტაბლაზე დანყობილი ტკბილეულით და ნუგბარით ხვდებოდა. მასზე პატარძლისთვის საჩუქარი, თავსაფარიც იდო, რომელსაც კისერზე შემოახვევდნენ ან თავზე მოახურებდნენ, ახალი რძალი არ გაგვიცივდესო. ტაბლიანად ეს ქალბატონიც ფერხულის შუაში შევიდოდა, ცეკვით ტაბლას წრიულად ატრიალებდა, ირგვლივ შემოუვლიდა, მცირე რიტუალს რომ მორჩებოდა და ხალხიც ფერხულით ცოტა გულს იჯერებდა, წრიდან გამოვიდოდა და მომლოდინე ნეფე -პატარძალს და დანარჩენებსაც საქორწილო დარბაზში შეუძღვებოდა.

დარბაზში წყვილის დასაჯდომ ადგილზე ბავშვები წამოწვებოდნენ და იმათთვისაც „გასამრჯელოს“ მიცემა, ისევ ნათლიას ევალებოდა. ნეფე-დედოფალი როგორც კი დაჯდებოდა, მაშინვე დედოფალს კალთაში პატარა ბიჭს ჩაუჯვდენდნენ, იმის იმედით, რომ ამის მადლით მომავალში მასაც ბევრი ხუჭუჭთმიანი ბიჭი ეყოლებოდა. ხალხი როგორც კი დასხდებოდა, თამადა ზეიმს გახსნილად გამოაცხადებდა და ნამდვილი დიდი ქორწილი მაშინ იწყებოდა.

ცხადია, საქორწილო სუფრას საგანგებოდ ამზადებდნენ, მაგრამ მაშინდელი შესაძლებლობები სართულებიანი სუფრის განყობის საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ ძალიან მოკრძალებული სუფრა ეწყობოდა. ძირითადად სამი კერძი კეთდებოდა: პირველი – კარტოფილის და ხორცის წვნიანი, რომელიც ყველასთვის სათითაოდ გაიკერძებოდა. მათი ჩამორიგება, რომ მორჩებოდა და როგორც კი შეიჭმებოდა, ქალები მაშინვე იწყებდნენ თეფშების მასიურად ალაგებას, რადგან ჭურჭელი ისედაც მეზობლებში იყო ნაგროვები და თითო კერძის ერთხელ დასხმას ძლივს ჰყოფნიდა. მეორე – კერძის ჩამოტარებამდე ჩაწერილი პირი თავის შრომადღეებით კუთვნილი ამა თუ იმ პროდუქტის წასაღებად მოვიდოდა, ქორწილში დაძახებულ შესაბამის პროდუქტებს აღნიშნული ოდენობით დაუქვითავდა. ბოლოს სიძის ოჯახი მიდიოდა და დაგროვილი ეს ყველაფერი სახლში მიჰქონდა.

დავბრუნდეთ ქორწილში, ისევ იქ სადაც გავწყვიტეთ.

ეშხში შესული სუფრის დამძახებელი უკვე გამოცხადებულ და სუფრაზე არსებულ საჩუქრებს ნეფე-დედოფალს გადაუგზავნიდა, ტაბლაზე არსებულ პროდუქტებს კი იმ მაგიდაზე გადაანვდიდა, სადაც მისი მომტანი იჯდა, ან ზემოდან გადახედავდა და იქით გაუშვებდა, სადაც უფრო საჭიროდ ჩათვლიდა, რათა სუფრაზე ხორაგი ასე თუ ისე თანაბრად გაენაწილებინა და გულნაწყენი არავინ დარჩენოდა.

ამ მხიარული და საპასუხისმგებლო რიტუალის შემდეგ ნამდვილი ლხინი იმართებოდა, რომელიც ბევრჯერ გათენებამდე გრძელდებოდა.

თამადის თანხმობით ნათლია სათანადო მუსიკას დააკვრევინებდა და პატარძალს გამოიცეკვებდა. მის მერე პატარძალთან ცეკვის უფლება ყველა მსურველს ეძლეოდა. ჯერ ახლობლები გაეცეკვებოდნენ და პატარძალს ბეჭედს, ფულს ან სხვა საჩუქრებს ჩუქნიდნენ. პატარძლის ცეკვა მანამდე გრძელდებოდა, ვიდრე მასთან გაცეკვების მსურველი არ დაილეოდა ან ძალიან არ დაიღლებოდა. ამის მერე სხვებსაც შეეძლოთ ცეკვა-სიმღერა, ლექსის თქმა, გამაირება. შიგადაშიგ ჯავახური მრავალჟამიერიც დაიქუხებდა.

გამთენიისას უკვე ნაქეიფარ-ნამხიარულებელი ხალხის საამებლად ქორწილის ბოლო კერძი „ყაისაფა“ ჩამორიგდებოდა, რომელიც სხვადასხვა ხილის ხმელი ჩირისაგან და ტყლაპისგან გამზადებულ, ფქვილმოკიდებულ წვნიანზე წმინდა ერბოში მომწვარი ხახვის მოსხმით მზადდებოდა. ბავშვებს ბევრჯერ ქორწილის სუფრასთან ჩამოძინებულებს თავზე კიდეც დაგვათენდებოდა, მაგრამ უფროსების თხოვნა-მუდარის მიუხედავად, მაინც არ ვიშლებოდით, ვიდრე ყაისაფა არ ჩამოტარდებოდა.

ყაისაფას მირთმევის მერე პირველი დღის ქორწილი ნელ-ნელა სრულდებოდა, ნაქეიფარი და დაღლილი ხალხი დაიშლებოდა. დედოფლის უკვე კარგად გაცნობილ ან უკვე ნაცნობ მაყრებს დასაძინებლად სხვადასხვა (უფრო სიძის ახლობელთა) ოჯახებში მიიპატიჟებდნენ და დაუძინებელი ფაქტიურად არავინ რჩებოდა.

კოთელიაში ქორწილის მეორე დღეს იცოდნენ პატარძლის გამონადირება.

ღამენათევი და ნაბახუსევი ხალხი, სტუმრებიანად შუადღემდე ისევ ქორწილის სახლში იკრიბებოდა. დასხდებოდნენ, ცოტას დალევდნენ, დანაყრდებოდნენ, გახალისებოდნენ და როცა თამადა გამონადირებას გამოაცხადებდა, ყველა გარეთ, ეზოში გადიოდა. გაიყვანდნენ ნეფე-პატარძალსაც. დაუკრავდნენ დაფი-ზურნას და მთელი სოფლის დასანახად იწყებოდა პატარძალთან გაცეკვება. ამ ყველაფრის საყურებლად თითქმის მთელი სოფელი მოდიოდა, საყურებლად მოსული გოგო-ბიჭებით და დანარჩენი სასეიროდ მოსული ხალხით გადავსებული ისედაც სქელი მინის ფენით დამძიმებული ერდო-ბანების კოჭები და ბოძები სიმძიმეს ძლივსღა უძლებდა. ყოფილა ერთეული შემთხვევაც, როცა ბანებს ვეღარ გაუძლიათ და კიდეც ჩამონგრეულა. საბედნიეროდ ყველა შემთხვევა მშვიდობით დამთავრებულა.

გამონადირებისას სიძის ოჯახი სპეციალურად გამოყოფდა რამდენიმე კაცს, რომელთაც ტაბლაზე დაწყობილი ხორაგი და სასმელი სასეიროდ მოსულ ხალხში უნდა ეტარებინათ. დაუსხამდნენ არაყს, მიანვდიდნენ სავსე ჭიქას, წყვილების დღეგრძელებას სთხოვდნენ (ხალხმა ისედაც იცოდა, რა უნდა ეთქვა) და მისაყოლებელსაც სთავაზობდნენ. ამ დღეს იმდენი სასმელი და საჭმელი იხარჯებოდა, რომ სიძის ოჯახს არც ისე ცოტა უჯდებოდა. მაგრამ ამით ქორწილი ფაქტიურად მთელი სოფლის ზეიმად გადაიქცეოდა და საყოველთაო ლხინი თითქმის საღამომდე გრძელდებოდა. მთელი სოფლის თვალში ოჯახის მიერ გადახდილი ქორწილი უფრო ამ მეორე – გამონადირების დღის მიხედვით ფასდებოდა. ამიტომ იყო, რომ ყველა ცდილობდა, ვისაც რა საშუალება ჰქონდა, იმის შესაბამისად თავი საუკეთესოდ წარმოეჩინა. იყო ცეკვა-თამაში და მხიარულება.

ბოლოს ნასიამოვნები მაყურებლები დაიშლებოდნენ, თავთავიან სახლებში დაბრუნდებოდნენ. სოფლის მოპატიჟეების ნაწილი და გოგოს მაყრები კი კიდევ ერთხელ საქორწილო სუფრასთან მიუსხდებოდნენ და მოლხენა გრძელდებოდა. უნდა ითქვას, რომ, ალბათ, გადაღლილობის გამოც, მეორე დღის ლხინი მაინც ცოტა ადრეულად მთავრდებოდა.

მესამე დღეს ქორწილის სახლში შედარებით ნაკლები ხალხი კვლავ იკრიბებოდა. ამ დღეს სუფრა უფრო მეტად გოგოს მაყრების საპატივცემლოდ, დასალოცად და გასასტუმრებლად იშლებოდა. შუადღით ან საღამომდე მათ საზეიმოდ გაისტუმრებდნენ და სამდღიანი ქორწილიც ამით მთავრდებოდა.

ჯავახეთის ისედაც მცირე რაოდენობის ქართველებით დასახლებული ყველა სოფელი ერთმანეთთან ძალიან იყვნენ „შეძაღლებულები“ და ერთმანეთს ზოგი რას და ზოგი რას ეძახდა, მაგალითად, ჩუნჩხელები კოთელიელებს კატებს ეძახდნენ, კოთელიელები კი ჩუნჩხელებს – ყვავებს, გოგაშნელებს – ბურტყლიანებს,.. ამიტომ მაყრიორნის გასტუმრებისას ჩუნჩხელებს კოთელიელების მარხილზე კატა რომ გამოებათ ან კოთელიელებს ჩუნჩხელების ურემში მალულად ახალმოკლული ყვავები რომ ჩაეგდოთ და გაეტანებინათ, არავის გაუკვირდებოდა და არც ეწყინებოდა. ხალხი ერთმანეთში ამგვარადაც ხუმრობდა და ერთობოდა.

სულმუდამ ბრძოლებში, გახიზვნებსა და გაქცევებში მყოფ ჯავახეთის მოსახლეობას, მათ შორის კოთელიელებსაც, მაინც სევდიანობა და მოწყენილობა დასჩემდათ. ხალხს თითქმის სულ დაავიწყდა ქართული ცეკვა და სიმღერა. ამიტომ ჯავახური ფოლკლორი, როგორც საერთო მესხურის ნაწილი, დაკნინდა და თითქმის მთლიანად მივიწყებას მიეცა. ლხინშიც და ჭირშიც თურქულ-ქურთული მოტივები მოეძალა და ქართული სიტყვა და სიმღერა თითქმის მთლიანად შთანთქა. ბევრს თურქულ მოტივებზე მოლხენა უფრო ეადვილებოდა და ამიტომ მონონდა კიდეც, ვიდრე მშობლიურ ქართულზე, რომლისგანაც გაუცხოვება ძალიან დიდხანს გაუგრძელდა და თითქმის სულ დაავიწყდა.

საბჭოთა პერიოდშიც კი ჯავახეთის როგორც ქართველები ისე სომხები, სადღესასწაულო დღეებში, ქორწილებში და სხვა ლხინის სუფრაზე ძირითადად თურქულ-ქურთულ მელოდიებზე ილხენდნენ. შედარებით იშვიათად მრავალხმიანი „ცხრაწყარო“ და „მრავალჟამიერი“ თუ დაიქუხებდა, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, აქა-იქ შემორჩენილ ჯავახ შემსრულებლებს მაინც სულ სხვანაირად, ძალიან ომახიანად და სულისჩამწვდომად გამოსდიოდათ!

კოთელიაში მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე ჯერ კიდევ იმართებოდა ე. წ. აშუღების საღამოები, რომლის დროსაც საზით შეიარაღებული თურქულ მოტივებზე მელექსე მომღერლების მუსიკალური შაირობა-პაექრობა იმართებოდა. ასეთ საღამოებზე მოსახლეობის დიდ ნაწილს ნაღდი ფულის გადახდის საშუალება რომ არ ჰქონდა, ნატურით, რამდენიმე ფუთი ხორბლით ეწერებოდა. მაშინდელი ჯავახი აშუღები მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ყველასთვის ცნობილი იყო სახელოვანი აშუღი შივლა (ლუკა ბერიძე - პტენიდან), ეთო (ექვთიმე დავლაშერიძე - როკეთიდან) და სხვა. კოთელიელებიდან ამ საქმეში გამორჩეულებად ითვლებოდნენ „კურნუზი“ და „სეფილ ლადო“.

მთელს სამცხე-ჯავახეთში ცნობილი აშუღის და მოსწრებული სიტყვა-პასუხის ოსტატის სანდრო ყავრელიშვილის, იგივე – კურნუზის ბევრი ლექსი სამწუხაროდ დაკარგულია. შემორჩენილთაგან მის აშუღურად მრავალ ენაზე (მათ შორის რუსულზე) ნამღერი ლექსი „ოთხ ენაზე ვუმღერ შოთას“ დღემდე სახალისოდ ისმინება.

„...ნა ტრიოხ იაზიკახ სტიხ პისალ,
ჩეტვიორტი ნა რუსსკი ბუდუ,
პოკა ია ჟივ ვ ეტომ სვეტე,
რუსთაველი ნე ზაბუდუ“

ეპიტაფიასავითაა მისივე ამოთქმული:

„მე სიბერეში მივდივარ
სამარის კარი მელისა,
დარჩეს შაირი სახსოვრად,
სანდრო მესხ-ჯავახელისა“

კოთელიელი ვლადიმერ ბერუაშვილის, იგივე - „სეფილ ლადოს“ მიერ 1918 წელს დაწერილი ლექსი „რუსთაველს“ „ქართულ ხალხურ საუნჯეშია“ შესული. ამ ლექსის ორი სტრიქონი:

„ადექ, გაიღვიძე რუსთაველო შოთა,
ხელიდან წავიდა ასპინძა, ოთა.“

მთელმა მესხეთმა აიტაცა და შეიძლება ითქვას, რომ უკვე გახალხურებულია.

მათი მიმდევარი იყო კოთელიელი იაგორ კარაპეტოვიც. კარგი ლექსების წერა ეხერხებოდათ მის შვილებს, არსენს და ვარლამს. საკმაოდ ცნობილი კოთელიელი სახალხო მთქმელები, მოშაირე-მელექსეები იყვნენ: ვანო ყავრელიშვილი, გრიგოლ ბერიძე (ოროოჯა), ვახტანგ საბაშვილი (ბახო), სპირიდონ გოდორაძე (ფიდა), მიშა ელიზბარაშვილი, ვალიკო ბერიძე და სხვები.

ძალიან სახალისო და თანაც დამაფიქრებელია, სასმელის მოტრფიალე სპირიდონ გოდორაძის ლექსი „მუჟუჟიანი არაყი“, რომლის ორი კუპლეტი ასე ჟღერს:

„ ...ვინც შეგსვამს ნორმაზე მეტად,
ამოსდის თავზე რქებია,
პატარა ბორცვი ჰგონია
აშულის დიდი მთებია.
ბრიყვს და უნდილ კაცს აგიყენ,
მტრებს ამეგობრებ სუფრაზე,
მუშა კაცს საქმეს ავიწყებ,
ზარმაცს უმრავლებ უქმე დღეს...“

ჯავახური ხანგრძლივი და მძიმე ზამთრის პირობებში, მიწურებში მჭიდროდ შეყუჟულ ხალხს (მაშინ ძმებიც და ძმათაშვილებიც ერთ სახლში ცხოვრობდნენ) რაიმე თავშესაქცევი სჭიდებოდა და ამისათვის ათას რაღაცას იგონებდა. საღამოს, როცა საქონლის მოვლას მორჩებოდნენ, საქვეებზე ჩამოჯდებოდნენ და იწყებოდა შოთაზე ან თამარ მეფეზე საინტერესო ამბების და ლეგენდების, სხვა პერსონაჟებზე ზღაპრების და ჰექიათების მოყოლა. ამ თხრობაში უფრო განაფული პიროვნებები საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ და ტყუილიც დაეჯერებოდათ. ამიტომ იმათაც არ უჭირდათ ბევრი ამბის გაზვიადება და გაფორმება. ხშირად დანყებული ამბის მოყოლა ერთ ღამეში არ ესწრებოდა და მახსოვს მეორე დღეს ბავშვები როგორი ხალისით ველოდებოდით დაღამებას, როცა ოდაში დიდ–პატარა ისევ შეიკრიბებოდა და სანდრე პაპას მიერ დანყებული და დაუმთავრებელი ჰექიათი ისევ გაგრძელდებოდა.

ალბათ განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის (სოფელი ჯავახეთის ზეგანის თითქმის შუაგულშია გაშენებული) გამო, ან შეიძლება უბრალოდ, ბედისწერის გამოცაა, რომ ეს სოფელი ერთიან ჯავახეთის მსგავსად ოდითგანვე ათასი ჯურის დამპყრობლების სათარეშო გზაჯვარედინზე იმყოფებოდა და სულმუდამ სიფხიზლე და თავდაცვისათვის კარგი საბრძოლო სულის შენარჩუნება, ფიზიკურად და სულიერად კარგ ფორმაში ყოფნა ესაჭირეებოდა. ამიტომ ამისათვის სპორტული თამაშები და შეჯიბრებები, როგორც უბანსა და უბანს, სოფელსა და სოფელს, კუთხესა და კუთხეს შორის ისე არაქართულ გარემოში თავგასატანად და ღირსების შესანარჩუნებლად კარგი საშუალება იყო. ბავშვობაში უამრავი საერთო მესხური ხალხური თამაში და ზოგიერთი ისეთიც გვითამაშია, რომელიც გვგონია, რომ მხოლოდ ჩვენთან, ჯავახეთში იყო შემორჩენილი. დღეს ისიც გვახარებს, მათი სახელების ჩამოთვლაღა რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია: ლახტი, ფარიკობა, გძელი ვირი, რგავალი ვირი, გოგური ინდრიმეკი, ბიჭური ინდრიმეკი, ანაქობანა, კორობანა, ორმობანა, ჭახჭახობანა, წრებურთა, ყაჩაღობანა,.. კიდევ სხვების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ ჭიდაობა ჯავახეთში მაინც სხვანაირად ფასობდა და კარგი ფალავნები ხალხს სულ სხვანაირად ეამაყებოდა და უყვარდა.

1882 წლის 17 ოქტომბერის გაზეთ „დროებაში“ პუბლიცისტმა ივანე გვარამაძემ გამოაქვეყნა წერილი მესხურ თამაშებზე. რომელშიც გვარწმუნებს, რომ ქართველები ჯერ კიდევ 150-200 წლის წინათ ოლიმპიური თამაშების მსგავსად ოთხ წელიწადში ერთხელ სპორტულ თამაშობებს მართავდნენ. უფრო კონკრეტულად, როგორც ავტორი წერს „ხერთვისის ხეობის მცხოვრებნი სამი წლის განმავლობაში ვარჯიშობდნენ და მე-4 წელიწადს „გადადიოდნენ ცხრა-წყაროს საქვეყნო ყრილობაში თავთავიანთი ვაჟკაცობის თავ-გამოსაჩენად!“ თითოეული მონაწილე წარმართულად მხოლოდ თავის წყაროს წყალს სვამდა. გამარჯვებულებს ფიჭვის, დაფნის ან ძეწნის (ტირიფის) ტოტებისაგან დაწნული გვირგვინით აჯილდოებდნენ. თუ ხევის მოსახლეობა ასე იქცეოდა, ზეგანის მოსახლეობას ვინღა დაუშლიდა, რომელთაც უფრო მეტი ასპარეზი და ჯანიც კარგი ჰქონდათ, მითუმეტეს, კოთელიელებს, საიდანაც ცხრაწყარო ფაქტიურად ხელის გაწვდენაზეა, ამ იშვიათად ხელსაყრელ და ულამაზეს ქედზე, რომელიც ჯავახეთის, ქართლის და თრიალეთის საზღვარზეა ასეთი მოვლენის შემყურე კოთელიელებს ან ვინ დაასწრებდა ან მონაწილეობას ვინ დაუშლიდა?. მას მერე რაც მე-19 საუკუნის პირველი მესამედიდან გარშემო არაქართველი მოსახლეობით დასახლებული სამეზობლო მოუმრავლდათ, კოთელიელებს შეჯიბრების ჟინი გაუათმაგდათ. თუნდაც სპორტულ შეჯიბრებებში მარცხს და თავის შერცხვენას ყველა კოთელიელი უფრო მტკივნეულად განიცდიდა და სულ მუდამ ცდილობდა ფორმაში ყოფილიყო, რათა ეს სიმწარე არ განეცადა. ყველა უბანს, ყველა გვარს თავისი გამორჩეული ფალავანი ჰყავდა, რომელიც ცდილობდა არც თავი და არც გულშემატკივარი არ შეერცხვინა.

კოთელიას კარგი ფალავნები ბევრი ჰყოლია, სამწუხაროდ მათი სახელები დავიწყებას მიეცა, მაგრამ გასული საუკუნის ფალავნების სახელები შედარებით უკეთ ახსოვს კოთელიის დღევანდელ მოსახლეობას.

ჩვენი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვს ჯუმბერ ბერიძის დაჭიდება სოფელ ძველიდან ცნობილ ფალავანთან აპოლონ ზედგინიძესთან, რომელიც იმხანად ძალიან ხშირად ამოდიოდა ჯავახეთის ქართულ სოფლებში თავისი „ჭინი ატრაქციონის“ ჩასატარებლად. უმძიმეს გირეს სწევდა, ზოგჯერ ლიმონათის მინის ბოთლებს დაამტვრევდა, ზედ შიშველი ბეჭით წამონვებოდა, მკერდზე ფიცარს დაიდებდა, რამდენიმე მაყურებელს ზედ აუშვებდა და გირების აწევას იწყებდა. ბოლოს ისე წამოდგებოდა, რომ ერთი ნაკაწრიც არ ეტყობოდა. ფიზიკურად ძლიერი, ჯირკვით კაცი იყო და ეტყობა თავის ძალებშიც ეჭვი არ ეპარებოდა. მაშინ ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებელი ჯუმბერ ბერიძე ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო, სადაც ოლქის პირველობა ჰქონდა მოგებული და კოთელიაში საუკეთესო ფალავნად ითვლებოდა.

ერთ დღესაც ბატონ აპოლონს ეტყობა რაღაც ჭია შეუჩნდა, სწორედ ამ კოთელიელ ფალავანზე თავისი უპირატესობის დამტკიცება მოუნდა. კლუბის წინ ქვებზე მჯდარ კოთელიის მოხუცებთან დაუწყია დატრაბახება,

– გამოიყვანეთ თქვენი ნაქებარი ჯუბა ფალავანი, როგორ ვაბურთაო, იქ სადაც თქვენ გაგიხარდებათო.

ეტყობა მოხუცებმა შეურაცხყოფად მიიღეს მისი ასეთი დაჟინება, ველარ მოითმინეს და მთელი დელეგაციით მოადგნენ სკოლას, სადაც ჯუმბერ მასწავლებელი გაკვეთილებს ატარებდა. აუხსნეს, ბარელი გოლიათი რასაც იქადნიდა და სთხოვეს:

– სირცხვილს ნუ გვაჭმევ, დაეჭიდეო, თუნდაც ერთხელ, ვიცით ეგ შენი მომრევი მაინც არააო.

ჯუბასაც დიდხანს არ უფიქრია, დაჭიდებაზე თანხმობა განაცხადა და წუთებში მთელი გაგულისებული კოთელია, მათ შორის მთელი სკოლა, მოსწავლე-მასწავლებლიანად, სადაც ყველანაირი მეცადინეობა შეწყდა, გოდორას ფერდობზე, კვირაცხოველის გვერდითა კალოზე, სასეიროდ შეიყარა.

გაგრძელება გვ.12 ▶

ვაშა! ვაშა! საქართველო აღსდგა მკვდრეთით!...

(ნაწყვეტები შალვა ალხაზიშვილის დღიურიდან – 1918 წელი)

შალვა ალხაზიშვილი დაიბადა 1899 წლის 27 მარტს, იგი ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის, ახალქალაქში პირველი აფთიაქის დამაარსებლის ილია ალხაზიშვილის მესამე ვაჟი (7 დედმამიშვილიდან) იყო. დაამთავრა გორის კლასიკური გიმნაზია. 1917 წელს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ახალქალაქში და ჯავახეთის ქართული გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის უფროსი ასაკის ბავშვებს და მეორე განყოფილების მოსწავლეებს ქართულ ენას ასწავლიდა, ასევე საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას – პირველ კლასში. 1918 წელს, ცნობილი მოვლენების გამო, ოჯახი იძულებული გახდა საცხოვრებლად თბილისში გადმოსულიყო. ამავე წელს შალვა ალხაზიშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე.

1924 წელს გახდა „ფუტურისტ-ლეფელეების“ ჯგუფის წევრი. ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე წერილებს აქვეყნებდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში – „ლიტერატურა და სხვა“, „მნათობი“, „მემარცხენეობა", „საბჭოთა ხელოვნება". მუშაობდა „სახკინმრეწვში“, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებისა" და „მნათობის" რედაქციებში.

იყო კინოფილმების „საბასა“ (1928, რეჟისორი მ. ჭიაურელი) და „საკანი 79-ის" (1932, რეჟისორი შ. ბერიშვილი) სცენარების თანაავტორი.

გარდაიცვალა 1980 წელს თბილისში.

ილია ალხაზიშვილი ოჯახთან ერთად

26 მაისს, 1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოა!... 1801 წლის 12 სექტემბერს შეწყვეტილი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება 26 მაისს, 1918 წელს, კვლავ განახლდა. 117 წელი იმყოფებოდა საქართველო რუსეთის მძიმე უღლის ქვეშ და დღეს კვლავ თავისუფლად ამოისუნთქა.

მძიმე და აუტანელ პირობებში გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მტერი კარს გვადგია, შინაც მრავალი მოღალატე და მტერი ბუდობს, რომელიც ამღვრევს წყალს და საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის დანგრევას ლამობს. მაგრამ ამაოდ, საქართველოს ძლიერი კულტურული სული დასძლევს ყველაფერს, გარეშე და შინაურ დაბრკოლებებს და გერმანეთის მფარველობის ქვეშ კულტურული განვითარების გზას დაადგება!

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას! გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს გერმანე-საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ კავშირს!

27 მაისს

მე და მამა ჩავედით თბილისში. 30 მაისს ვიყავი დონიცეტის ოპერა „ფავორიტკა“-ზე, 31 მაისს ტადეუშ ორდას „ჰამლეტზე“. კვირას 2 ივნისს გამოვედი დედაქალაქიდან, შევიარე გორში და იმავე დღეს ავედი სურამში.

3 ივნისს

დავწერე „საჭიროა მსწრაფი ზომები“ ჯავახეთ-ახალციხის საერთო მდგომარეობის შესახებ და 4 ივნისს გავგზავნე. 4 ივნისს გადავთარგმნე ჩემი ძველიდან „მზე ტანჯვისა“ და „ბედნიერება“ დაწერილნი 14 აპრილს 1915 წელს, ე.ი. 3 წლის წინეთ.

5 ივნისს დავწერე რუხაძის წერილის ზეგავლენით: „განა შესაძლებელია“ და „უკანასკნელი გზა“ – „საქართველოსთვის“. 6 ივნის გავაგზავნე თბილისში.

6 ივნისი

გულდამწვარი და გულდათუთქული ვსტირი მე, ვსტირი, მაგრამ უცრემლოდ.

მთელი ჩემი არსება, ჩემი სული და გული მუდამ შენთან იყო, ო, ჩემო ძვირფასო სატრფოვ, ჩემო ძვირფასო ქალწულო, ჯავახეთო!..

აღარ ვნახავ მე შენს თვალუწვდენელ მინდვრებს, შენს ზეგანს, შენს უზარმაზარ და გრაციოზულ აბულის მთას, აღარ ვნახავ მე შენს დიდებულ ქუმურდოს ტაძარს, რომელიც თითქმის ცხრაას წელიწადზე მეტია რაც დასცქერის შენს ნაყოფიერ მინდვრებს და მტკრის მშვენიერ ზურმუხტოვან ხეობას!..

აღარ ვნახავ მე შენს დიად ხელოვნურ ვარძიის სასახლე-მონასტერს, დიდებული მეფე გიორგი მესამის საფლავსა და დიდი თამარის საზაფხულო აგარაკსა!

აღარ ვნახავ მე შენს საუცხოვო ტბებს, რომელშიაც გამოკრთის ლაჟვარდოვანი ჯავახეთის ცა!

აღარ ვნახავ მე შენს მრავალზე მრავალს აქა-იქ გაფანტულ ეკლესიებს და საყდრებს, შენს დიდებულ ნანგრევებს, ნაოხრებს, შენს ოდესღაც მაგარ და ძლიერ ციხეებს ახალქალაქისას, ხერთვისისას და თმოგვისას, სადაც ჰგოდებს და დასტირის თავის სამშობლოს გადაკარგულ საფლავში სახელოვანი სარგისი, ნიჭიერი პოეტი და საუკეთესო სარდალი და მამულიშვილი!...

აღარ ვნახავ მე შენს თვალწარმტაც მტკვარს, სადაც აქამდის მარხია მის ფსკერში სახელოვანი თავგანწირული გიორგი ერისთავი, სამშობლოსთვის თავდადებული, თმოგვის ციხის უფროსი, თავის თეთრ რაშთან ერთად!..

აღარ ვნახავ მე შენს აბიბინებულ ყანებს და წითელ ყაყაჩოებს, სადაც გარიჟრაჟზე ცეკვავს მხიარულად ქოჩორა ტოროლა!..

აღარ ვნახავ მე შენს საყვარელ, დაკოცნილ შავ მიწას, რომელიც გაპოხიერებულია შენის სახელოვანის რაინდების და გმირების სისხლით და ძვლებით, რომელნიც სისხლით დაცლილნი დაეცნენ ბრძოლის ველზე ყვავყორნების ანაბარად!..

აღარ ვნახავ მე საროს ციხეების ნანგრევებს, სადაც ტრიალებს დავით აღმაშენებლის გმირი შვილის და მეფის დიმიტრი პირველის სული!..

ოხ, ჯავახეთო, ძვირფასო, დაუვიწყარო, მშვენიერო ჯავახეთო!..

შენ, ჩემო მეორე სამშობლოვ, მეორე სიყვარელო!.. რად გშორდები შენ, რადა?..

რისთვის მიდიხარ შენ სამუდამოდ ჩემს გულის სიღრმიდან და რათა ჰკლავ ჩემს არსებას, ჩემს სიცოცხლეს?!..

მშვიდობით, მშვენიერო ქალწულო, მშვენიერო სატრფოვ, მშვიდობით!..

მშვიდობით, ძვირფასნო საფლავნო, მშვიდობით ქუმურდო-ვარძიავ, მშვიდობით თამარ მეფის და გიორგი თმოგვის ერისთავის აჩრდილნო!..

მშვიდობით რაინდნო და თავგამოდებულნო ჯავახელნო, უკანასკნელ სისხლის წვეთამდის, მამაპაპურათ მებრძოლნო მტერთან გულდაგულ!..

მშვიდობით ჩემო ძვირფასო და დაუვიწყარო გიო! მშვიდობით ჩემო ნიჭიერო ამხანაგო მეგობარო ირაკლი!.. შენ ვერ გელირსა მეორე შოთა რუსთაველად გარდაქცევა!... [გვიანდელი მინაწერი: „გიო და ირაკლი (გვარი არცერთის არ მახსოვს) ჩემი მოწაფეებია ჯავახეთის ქართული გიმნაზიიდან. შ.ა.]

მშვიდობით ჯავახეთო!

მაგრამ იცოდე რომ შენს ნანგრევებზე საშინელ ფიცსა ვდებ, არასოდეს არ დაგივიწყო, ვიბრძოლო შენთვის და მოვკვდე კიდევაც შენთვის!...

ფიცსა ვდებ საშინელსა და ტანჯულს, რომ რევანშით გატაცებული დღეიდანვე ვეცდები ავაფრიალო შენს ნანგრევებზე კვლავ საქართველოს თავისუფლების დროშა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ამაყად ფრიალებდა შენს მინდორ-ველებზე და ზეგან-მთებზე!..

მშვიდობით... მშვიდობით...

... გულდამწვარი და გულდათუთქული ვსტირი მე, ვსტირი, მაგრამ უცრემლოდ, უცრემლოდ!...

ქ. სურამი.1918 წ. 6 ივნისი.

7 ივნის დავწერე „ჯავახეთ-მესხეთის ბედი“ („საქართველო“). 8 ივნის გავგზავნე. საკვირველია, რომ ეს მეოთხე წერილია, მაგრამ აქამდის არც ერთი არ არის დაბეჭდილი. რას მივაწერო ეს?

10 ივნის წავედით ფეხით ხაშურში. დამხვდა ბორჯომის მატარებელი. ჩამოვიდენ სავენტი ნადირაძე, ფილო, მღვ. მეტრეველი და სხვები. თურმე მთელი ჯავახეთის სოფლელები, ყველანი ბაკურიანში გადმოსულან, გამოქცეულან. საშინელებაა – ჯავახეთი უჯავახეთოთ დარჩა! ამიერიდან თავისუფლად დაფარფაშობენ მის მინდორ-ზეგანზე ველური ოსმალთა ბრბოები!.. საწყალი ჯავახეთი! საწყალნი ჯავახელნი!.. ნეტა რით გათავდება ყველა ეს, როგორ გადაწყდება მათი ბედი?!... უკან დავბრუნდი სურამში მატარებლით.

11 ივნის წავედი თბილისში, ჩავედი საღამოთი. იმ ღამეს დავრჩი ვეროსთან. მეორე დღეს, 12 ივნის გავაკეთე ყველა, რაც საქმე მქონდა და საღამოს წავედი რუსულ დრამაზე („არტისტ. საზოგად.“). წარმოდგენილ იქმნა მორის მეტერლინკის „ლურჯი ჩიტი“ მშვენიერი, იდეური დრამა. მით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი უაღრესად ფილოსოფოს-მისტიკოსია!.. კაცობრიობა გადაგვარების გზას ადგია, იგი ელის ხსნას. ხსნა კი?..

13 ივნის გადმოვიტანეთ არჩილის ბარგი-ბარხანა. ჩამოვიდა მამა გურჯაანიდან, მე კი საღამოს მატარებლით გავეშურე სურამისკენ. ქუთაისის მატარებელი იყო და გვიან მივედი ღამით სურამში. 3 ივნის დაწერილი „საჭიროა მსწრაფლი ზომები“ – „ჯავახეთის და მესხეთის საშველად“-ის სათაურით დაიბეჭდა 11 ივნისის „საქართველოში“ N114 (ხეთასარი), ქვეით მინაწერია: „ეს წერილი რედაქციამ დაგვიანებით მიიღო ჯავახეთიდან“. საკვირველებაა, 4 ივნის ჩავაგდე სურამის ფოსტის ყუთში და ნუ თუ მთელი ხუთი-ექვსი დღე ვერ მივიდა თბილისში, ან იქნებ ვერ დაბეჭდეს აქნობამდის, ადგილის უქონლობის გამო. დანარჩენი წერილები ჯერ არა სჩანან!..

17 ივნის, სადილის შემდეგ მე და დედა გავედით სურამიდან ხაშურში. ღამის 9 საათზე მივედით ბორჯომში. ღამე 17-დან 18-ზე გავათიეთ სადგურზე. 18 ივნის დილით გავემგზავრეთ ბაკურიანისკენ. დავიწყეთ ჩვენ ბარგის ძებნა! საშინელ სურათს წარმოადგენს ბაკურიანი! მთელი ჯავახეთის ქართველობა თითქმის სულ აქ დაბინავდა. აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან, დიდს გაჭირვებაში არიან, უპუროდ, უსახლკაროდ, მედიცინურ შველას მოკლებულნი, ოსების დარბევისგან არ არიან უზრუნველყოფილნი! ღამე გავატარეთ ა.კიკნაძესთან, სადაც იმ ღამეს ქორწილი იყო ახლად დანიშნულებისა.

19 ივნის დილით ჩავედით წაღვერში, საიდანაც გავემგზავრენით ს.ტიმოთის-უბანში, ბარგის საძებნელად. შემდეგ დავბრუნდით წაღვერში და დავაღამეთ ერთ გაქართველებულ რუსის დრობიშევის აგარაკზე. 20 ივნის დავბრუნდით ბაკურიანში, ყველაფერი მოვაგვარეთ, რაც გასაკეთებელი იყო. დავრჩით ღამე პეტრე ლონდარიძესთან. 21 ივნის დილით გავედით ბაკურიანიდან, ჩამოვედით ბორჯომში. შემდეგ ხაშურის მატარებლით ჩავედით ხაშურში, საიდანაც ამოვედით სურამში. სახლში ყველანი დაგვხვდნენ...

25 ივნის წავედით მეორეჯელ იტრიაში, ეკლესიის და კოშკის დასათვალიერებლად. ძალიან მომეწონა მდებარეობა და შენობა. შიგ ეკლესიაში ვერ შეველი, რადგანაც დაკეტილი იყო.

26 ივნის დღეს ერთი თვეა, რაც ქართველი ერი თავისუფალი და დამოუკიდებელი შეიქმნა. ვნახოთ მომავალი რას მოუტანს ჩემს საყვარელ სამშობლოს?

28 ივნისის ღამე გავემგზავრეთ მე და დედა ბორჯომში. 29 ივნის ღამის მატარებლით ავედით წაღვერში, საიდანაც წავედით მახლობელ სოფელ ტიმოთის-უბანში, ბარგის წამოსაღებად. მთელი დღე სოფელში დავრჩით. საღამოს დავბრუნდით წაღვერში და ღამე გავათიეთ დრობიშევებთან. 30 ივნის დილით გავედით წაღვერიდან და ჩამოვედით ბორჯომში. წავედით ქალაქში, ვინახულეთ არჩ. სამსონიძე და საღამოს მატარებლით ჩავედით ხაშურში. აქ მოცდა ძალიან მოგვიხდა, გათენებამდის.

1 ივლის დილის ხუთის ნახევარზე სურამის მატარებლით დავბრუნდით სახლში.

5 ივლის დავტოვეთ სურამი და მივედით საღამოს ხაშურში.

6 ივლის გამოვედით ხაშურიდან დილით და ჩავედით თბილისში. ჩვენებმა ვერ მოასწრეს კახეთისკენ გამგზავრება და დარჩნენ სადგურზედ. სადილს შემდეგ მე დავტოვე სადგური და გავედი ქალაქში. მივედი ვეროსთან. საღამოს წავედი „ცისფერ ყანწების“ – გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, კოლაუ ნადირაძე, ვალერიან გაფრინდაშვილის საღამოზე.

(მოგვაწოდა ***შალვა ალხაზიშვილის*** *შვილიშვილმა* ***ნატალია ალხაზიშვილმა****)*

(გაგრძელება იქნება)

ჯავახეთის და მესხეთის საშველად

დადგა დრო, როცა უნდა გადასწყდეს საქართველოს რესპუბლიკის ორ მდიდარ პროვინციის – ჯავახეთის და მესხეთის (ახალქალაქის და ახალციხის მაზრების) საკითხი. წაქეზებული ოსმალო თხოულობს საქართველოს სხეულისაგან ნაწილად დაკვეთას.

ამ მიზნისთვის იგი დიდხანს ემზადებოდა. ამას გვიმტკიცებს ბაქოელების და ბეგების ანტიქართული აგიტაცია ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან ძველ ახალციხის ფაშალიკის შექმნისათვის. რასაკვირველია, ეს მათთვის ფრიად სასურველი და ხელსაყრელია. სამწუხაროდ, შეუგნებელი მაჰმადიანობა ბეგებისა და ფანატიკი მოლების ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფება. თავიანთ პოლიტიკურ და კერძო ინტერესების განხორციელებას უკანასკნელნი მუდამ სჯულთან აკავშირებენ.

ჩვენ ამ ორ მაზრას ვერ დაუთმობთ ვერავის, რა მოსაზრებითაც გინდათ იმსჯელეთ: პოლიტიკურად, სტრატეგიულად თუ ეკონომიურად, მაგრამ მარტო სიტყვები და გაზეთების ფურცლებზე ცხარე წერილების ბეჭდვა ვერაფერს გვარგებს, თუ ენერგიული ზომები არ მივიღეთ დღესვე. გადადება და დაგვიანება სიკვდილია საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისათვის.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა და აუცილებელი ძლიერი სამხედრო ძალის შექმნა ამ ორ მაზრებში და ამ ძალით განთავისუფლება ახალციხის და ახალქალაქის ტერიტორიისა თათარ ბრბოების თარეშისაგან.

პირდაპირ გასაოცარია და საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარი ქ. ახალციხის მეციხოვნეთა და ჯარის თავგამოდებული ბრძოლა გარშემორტყმულ მტერთან, შველა კი არსაიდან სჩანს მათთვის!.. აღსანიშნავია არა ნაკლებ მამაც და გამბედავ ჯავახელების მუდმივი ბრძოლა თათრებთან სოფ. სარო-ხიზაბავრა-ქილდა-გოგაშნის ფრონტებზე.

გული სისხლით გევსებათ, რა წამს იგონებთ ახალციხელი და ჯავახელი რაინდების თავგამოდებულ ბრძოლას, იმავე დროს, როდესაც აქ, ქართლში სოფლები და დაბა-ქალაქები დეზერტირებით და ბოლშევიკურად მოაზროვნე ჯარისკაცებით სავსეა, რომელნიც რაღაც ცრუ იდეოლოგიით გაურბიან სამშობლოს დაცვას. ნუ თუ ამას ბოლო არ უნდა მოეღოს! ნუ თუ იქ, ახალციხესთან და ჯავახეთში გმირულად უნდა იხოცებოდნენ და აქ კი მშიშარა მოღალატეები თავის ქოხებში არხეინად ატარებდენ დროსა?!

არა და არა!..

საქართველოს რესპუბლიკის მართველობა მოვალეა როგორმე მოაგვაროს ეს საქმე და ქუდზე კაცის მობილიზაცია სასტიკად და აუცილებლივ გაატაროს ცხოვრებაში.

მაშ, როგორ დავეხმაროთ ჩვენ მებრძოლ რაინდებს, როგორ მივეშველოთ მათ?

საჭიროა ყველა ძალების დროებით ამ მაზრებში თავის მოყრა. ბაკურიანის უღელ-ტეხილზე გზა დიდი ხანია რაც ზამთრის თოვლისაგან განთავისუფლდა და იგი წარმოადგენს მშვენიერ სტრატეგიულ საკვალს, რითაც შესაძლებელია მივაშველოთ ჯავახეთში მაშველი რაზმები, ან წითელი გვარდია.

უნდა სამივე მხრიდან მოეწყოს ერთ და იმავე დროს შეტევა. ერთის მხრით – ბორჯომიდან, საკირე-დვირის ასპარეზით – აწყურზე, მეორეთ – ახალქალაქიდან, სარო-ხიზაბავრის ასპარეზეთ – ასპინძა-ოშორაზე და მესამეთ – ქუთაის-ბაღდადის მხრიდგან – ზექარ-აბასთუმანზე. საჭიროა ერთ და იმავე დროს სამივე მხრიდან დაიწყოს მედგარი შეტევა თოფ-ზარბაზნებით და ჰაეროპლან-ტყვიისმფრქვევლებით. ამ საშუალებით ადვილია გზის გაკაფვა ახალციხისაკენ. რამდენიმე დღის შემდეგ შესაძლებელია ეს სამი რაზმი შეერთდეს ახალციხეში და მთელი ორი მაზრა დაიხსნას გაჭირვებისაგან და სამუდამოდ უზრუნველ ჰყოს მათ შერჩენა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაში.

„საქართველო,“ 1918 წელი, N114

ახალციხიდამ

ძმაო ვანო,

მოგიკითხავ ძმურად, გულითა და სულით. გამახარა შენგან მოწვდილმა წერილმა აქ, ამ მიყრუებულ ქვეყანაში. მწერ, მოიწერე რამე მანდაურიო, როგორა ხართ, რას აკეთებთ, რას ფიქრობთო. ეჰ, ნეტავი შენ, მოშორდი აქაურობას და განა რაღაში გეკითხება ჩვენისთანა უხერხული ხალხი, ჩვენისთანა საცოდავნი, დაბდურა და

მულაყრუნი. გეტყობა გული მაინც აქეთა გაქვს და არ გეჩოთირება ჩვენი დაქვეითება, ჩვენი სიბნელე და უმეცრება. ეგრეა, ეგრე რაც უნდა ვიყვნეთ, მაინც ისევ შენები ვართ, შენის მიწა-წყლის შვილნი ვართ, შენი სისხლი და ხორცნი ვართ, და ვერ დაგვივიწყებ, ვერ გადაგვიყრი გულიდამ, მუდამ გეხსომებით, იმიტომ რომ, ავია თუ კარგია, ჩვენი ქვეყანა შენი ქვეყანაა, აქა ხარ დაბადებული, აქა ხარ აღზრდილი, და ჩიტი საცა გაიზრდება, იმისი ბაღდადიც ხომ იქ არის.

გულ-სატკენია, ძმაო, გულ-სატკენი ჩვენი ყოფა. ბევრსა ვფარჩხალობთ, ბევრსა ვწვალობთ, მაგრამ მაინც ველარას გავმხდარვართ. წყეული ბედის საწერელი დაგვყოლია თან და ველარ მოგვიშორებია თავიდამ. სხვა ხარობს, სხვა ახერხებს აქ ცხოვრებას, იძენს ქონებას და ასე თუ ისე გემრიელად, ტკბილად აჩანჩალებს ამ წუთი-სოფელს, იმედით აღვსილი, რომ შემდეგ თან-და-თან უფრო უკეთ წავა ჩვენი საქმეო. ხომ მიხვდი, ვიზედაც გეუბნევი. მოსულებზედ, სხვა ქვეყნიდამ მოსულებსა და აქ დამკვიდრებულებზე. ისინი ასეთს სიტკბოებაში არიან, ასე წარმატებით მიდის იმათი საქმე და ჩვენ-ღა? ჩვენ, მკვიდრნი, ათადან ბაბადამ აქ დასახლებულნი, ჩვენ, რომელთაც იმოდენი ხანი გვიტანჯნია და გვინვალნია ჩვენის ბედნიერების მოსაპოებლად, კაცურის არსებობის შესაძენად, გვიღვრია იმოდენა ოფლი და სისხლი, რომ არე-მარე მორწყულია ჩვენთა მამა-პაპათა სისხლით და გული მიწისა სავსეა იმათისავე ძვლებით, ერთხელვე დაგვჩაგვრია, გაგვტეხია გული, დაგვიკარგავს სასოება, ძველებური მხნეობა, უნარი ცხოვრებისა, ვსხედვართ გულ-დაკრეფილნი და შევცქერით ჩვენს ბედნიერს მეზობლებს.

რა დიდი ხანია მერე, რაც ესენი აქ მოვიდნენ, აქ დაბინავდნენ, დევნილნი და შევიწროებულნი თავიანთ პირველ სამშობლოში. ბევრს ახსოვს იმათი აქ მოსვლა. დღესაც აზრუმელებს ეძახიან იმათ. დღეს ჩვენი ქალაქი იმათი საკუთრებაა, რათა, როგორ? მათა და ისე, რომ მოსულნი მხნენი არიან, უნარიანი ხალხია, ხელ-მაგარი, ბეჯითი და საქმეში ხალისიანი. იცის, სად არის, სად მიდის, რას ესწრაფვის, რა უნდა. და რაკი იცის, რაკი ახსოვს, ვინა ყოფილა, საიდამ მოსულა, ისიც ახსოვს, რომ თუ არ შეიძინა შესაძენი, კიდევ უფრო უარესი დღე დაადგება, ვიდრე ის დღე, როცა ააკრეფინეს ბარგი-ბარხანა და გამოასალმეს თავის ქვეყანას, თავის მიწა-წყალს, მამა-პაპისა სამარხს, საკუთარს კერასა.

შენ აქედამ გაიქეცი, გადიხვეწე, ველარ უყურე ჩვენს ბეჩაობას და ესენი-კი სხედან არხეინად და ტკბილს ლუკმას შეექცევიან. შურით არ ვამბობ. თუ სიალალ-მართლით კაცს რამ შეუძენია, ღმერთმა მოახმაროს შენაძენი. დიდი უსამართლობა იქნება, რომ კაცი თავის ოფლით იგებდეს ცხოვრებას, თავის მხნეობითა და გარჯით სჭამდეს ლუკმას და დავა აუტეხოს ვინმემ, აურზაური დაუწყოს, ძალა მიიტანოს, შენ რათა გაქვს ტკბილი ლუკმაო.

ამ მოსულებს გარდა, აქ სხვა ჯურის ხალხიც ბევრია. მთელი მაზრა ახალციხისა, როგორც შენ კარგად იცი, სავსეა მუსულმანებით, ურიებით, ფრანგებით, რომელთა შორის ქართველი ფრანგებიც ბლომად არიან. არსად კი ჩვენში განსაკუთრებით არა სცხოვრობენ ქართველები და ყველა ზემოდ ჩამოთვლილი სჯულის ხალხი ერთად არის არეული, სომეხი კი მათ შორის იშვიათად გამოერევა. ისინი, თითქოს წინედვე ფიცი მიუციათ ერთმანეთისათვისაო, ცალკე არიან, არავის ეკარებიან. სხვა სარწმუნოების და გვარის ხალხს არც ითვისებენ და არც ეთვისტომებიან. ისინი არ ითვისებენ არც აქაურ მკვიდრთა ენას, არც ზნეს-ჩვეულებას, არც ხასიათს. თავ-განწირულობით ჩაუჭიდნიათ ხელი თავისი ენისა, სარწმუნოებისა, ზნე-ჩვეულებისათვის და მტკიცედ ადგიან, არა ჰკარგავენ „ძველსა გზასა“, მტკიცედ აქვთ დაცული სარწმუნოებაც, ენაც, ზნე-ჩვეულებაც. ასე გასინჯეთ, ქართველის ქალსაც კი არა თხოულობენ ცოლად და არც თავიანთსას მიათხოვებენ ქართველს. ჩვენს სხვა მხარეში-კი სრულიად ვერ შენიშნავს კაცი მათ ასეთს განცალკევებასა და გარეგნობასა. აქაურმა მხნე გამოცდილმა სომხებმა ძალიან კარგად და მოხერხებულად შეადგინეს გეგმა თავის ცხოვრებისა. თავიდგან აიცილეს, დასძლიეს ყველა დაბრკოლება და ძალიან მცირე ხანში შესამჩნევად განაკარგეს თავიანთი მდგომარეობა: შეიძინეს მამულები, გამდიდრნენ, დაწინაურდნენ ეკონომიურად.

ამ ჭკვიანმა, შორს მხედველმა ხალხმა თავის შეძლება-კი არ გაფლანგა, არ დააბნია, როგორც ხასიათად აქვს საზოგადოდ ქართველობას, არამედ მოიხმარა ჭკუით. ჩვენში და საზოგადოდაც სომხებს ძუნწებს ეძახიან, მაგრამ ეს ტყუილი, ცრუ აზრია. სომხები ხელ-მაგარნი არიან ფულის უსარგებლო, უნაყოფო დაბნევაში, მაგრამ თუ საჭიროებას ჰხედავენ, თუ ჰგრძნობენ, რომ ამ საჭიროებისთვის დახარჯული შესძენს კეთილ-დღეობას, ისინი სიამოვნებით და უხვად ჰხარჯავენ.

სომხებმა იგრძნეს-რა სწავლა-განათლების საჭიროება, ერთგულად შეუდგნენ ახალს ბინაზედ სკოლების გამართვას, ყმაწვილ-კაცობის აღზრდა-განვითარებას, აქ დიდი ღვაწლი მიუძღვის სომხების სამღვდელოებას. ეს წოდება მხნედ, ერთგულად შეუდგა სწავლა-განათლების მოფენის საქმეს, ხალხში აღძრა კითხვის სურვილი; მდაბიო ხალხს მიაქცია განსაკუთრებით ყურადღება, დამართა უფასო სკოლები და სხვ., სასიამოვნო შედეგმა, სამღვდელოების მეცადიმეობამ, მომეტებულად გაამხნევა, წააქეზა აზრუმელები. საზოგადო საქმემ ფეხი მაგრად მოიკიდა. ყველა სცდილობდა რითმე და როგორმე სარგებლობა მოეტანა ერისა და ახალის სამშობლოსათვის. ძალიან ცოტას ხანში დიდი ნაბიჯი გადასდგა სომხობამ ცხოვრების წინ – მსვლელობაში: შეიძინა ეკონომიური, სოციალური, გონებრივი და მოქალაქეობრივი კეთილ-დღეობა. მყუდრო, მოსვენებულმა ცხოვრებამ ხელი შეუწყო ერის წარმატებას. როგორც მოსალოდნელი იყო, სომხობამ ხელთ იგდო მეთაურობა და უფროსობა ახალციხელთა ყოფაცხოვრებაში. დღეს ეს უნარით და ხერხიანობით სავსე ხალხი მიმართულებას და თადარიგს აძლევს მკვიდრთა ცხოვრებასაც-კი... ვაჭრობა, აღებ-მიცემა სომხების ხელშია, უკეთესი ადგილ-მამული, შენობა ამათ ეკუთვნით; ერთის მაგიერ, რამდენიმე ქალებისა და ვაჟების სკოლები აქვთ, კერძო, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში იმათ უჭირავთ ადგილები. ესინი მსახურობენ; ქალაქის ბედ-იღბალს ესენი განაგებენ... ერთის სიტყვით, რასაც-კი საყურადღებოს ჰნახავთ, რაზედაცა გააჩერებს კაცი თვალს, სულ სომხებისაა.

ახალციხე, გეცოდინებათ, შესდგება ორის ნაწილისაგან, წყალი შუა ჰყოფს ამ ორს ნაწილს. ერთ ნაწილს ეწოდება ძველი ქალაქი, მეორეს-კი ახალი. – შენს დროსაც ისე იყო, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ახლა იმათ შორის. რამდენადაც მოხდენილია, სუფთაა, კოპწია, შემკული შენობებით ახალი-ქალაქი, ანუ პლანი, იმდენად ბინძურია, მახინჯია, უშნოა, სავსეა მინგრეულ-მონგრეულის შენობებით ძველი ქალაქი, ანუ რაბათი. პლანში სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, რაბათელებს - კი სძინავთ უზრუნველად. ძველი ქალაქი ეკუთვნის ქართველებს, ახლა კი დასახლებულია სომხობით... აი რა რიგად დაწინაურდნენ, ამაღლდნენ სულით და ხორცით სომხები, ჩვენი მეზობლები!...

ზემოთა ვსთქვი, რომ სამღვდელოებას დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის-მეთქი ერის წინაშე. დასურათებისა და დასაბუთების შესავსებად, ჩემო მეგობარო, გიამბობ და გადმოგცემ ერთის მღვდლის ქადაგების შინაარსს. ამ მღვდლის ქადაგება ცხადად დაგვანახვებს ამათის სამღვდელოების მოღვაწეობა-მოქმედებას. ეს წოდება ყოველთვის და ყველა კეთილს საქმეში წინ უძღვის ხალხს.

კვირა დღე იყო. ხალხს საკმაოდ ბლომად მოეყარა თავი. ამ დღეს უნდა ექადაგნა ერთს მღვდელს, რომელიც მრევლს ძალიან უყვარდა. საყდარში ტევა აღარ იყო. აი გამოვიდა მღვდელიც, და რა ნახა ბლომად თავ-მოყრილი სომხობა, სიამოვნებით გაუღიმა ხალხს და ამოიღო უბიდგან რაღაცა ნაწერი. მაღალმა მკაფიო ხმამ მღვდლისამ დიდი სიჩუმე ჩამოაგდო ხალხში. საუბედუროდ, არ მესმოდა ორატორის ენა, მაგრამ ხალხის მღელვარება, ჩოჩქოლი, მქადაგებლის მღელვარე, აღძრული გრძნობა ნებას მაძლევდა მეფიქრა, რომ ეს სრულიად სხვა გვარი ქადაგება იყო... ბევრით განსხვავდებოდა ჩვენის სულიერის მამების მოძღვრება-ქადაგებისაგან, როდესაც მსმენელს ძილი ერევა და მომეტებულის მთქნარებით ყბები ეღალებათ მსმენელთ... არა, აქ ხალხი ყურადღებად გადაქცეულიყო, ყოველსავე სიტყვას მსმენელნი გულში ინერგავდნენ, ჰკრეფდნენ სათითაოდ, თითქო მარგალიტები სცვიოდა პირიდამაო.

დემოსთენეს სიტყვა შესწყდა, მღვდელმა გაათავა ქადაგება და წავიდა საკურთხეველში. ისე იმოქმედა მისმა მჭერ-მეტყველებამ, ისე მოჰხიბლა მსმენელნი, რომ ვერ შეამჩნიეს მღვდლის წასვლა. ხალხი ისევ უძრავად იდგა; ეგონა, რომ მღვდელი ისევ ლაპარაკობსო. მეც ყურადღებად გარდავიქეცი. რაღაც გაუგებარს სიამოვნებას, სიტკბოებას ჰგრძნობდა ჩემი გული... ხან მღვდელს ვუცქერდი, ვსიამოვნებდი იმის აღფრთოვანებულის გრძნობით, მჭერმეტყველებით, ხან ვაკვირდებოდი ხალხს, მომწონდა ჭკვიანური გამომეტყველება იმათის პირი-სახისა... ჩემი აღძრული ცნობის-მოყვარეობა დაკმაყოფილდა. ერთმა ჩემმა კარგმა მეგობარმა მიამბო ქადაგების შინაარსი. აი რა ეთქვა და რა ელაპარაკა იმ მღვდელს:

„ღმერთმა შეჰქმნა თავისუფალი კაცი და შთაბერა სული წარმატებისა, სული ამაღლებისა, სული ადამიანის აღმაფრენი, აღმაყვავებელი... ადამიანს მისცა მეფობა და საცხოვრებლად მიესაჯა მთელი ქვეყანა. პირველი კაცი უვიცი, გაუგებარი იყო, ბევრით არ განირჩეოდა პირუტყვისაგან... მაგრამ დღეს კაცობრიობამ ისეთი ნაბიჯი გადასდგა ცხოვრების წინმსვლელობაში, განვითარდა, რომ ლამის არის მიახწიოს ცამდისინ, იქაურ ცხოვრებაშიაც ჩაიხედოს, გამოაქვეყნოს ბუნების საიდუმლო... ასეთია კაცის მოწოდება, და იფიქრეთ, რა მომაკვდინებელი ცოდვა უნდა იყვეს კაცისთვის ზემორე მომადლებული ნიჭი, დაბინავებული ადამიანში. კაცმა არ ამოქმედოს და არ ავარჯიშოს. ეს მიუწთომელი ძალა შექმნილია კაცის ცხოვრების ასამაღლებლად. ამ ძალის მოქმედებამ უნდა შესძინოს კაცობრიობას ბედნიერება, სიკეთე... ჩვენც წილი გვიდევს კაცობრიობაში და ამიტომ ყოველი ჩვენგანი უნდა ეცადოს რითიმე და როგორმე აღნიშნოს ცხოვრებაში კვალი... მართალია, დროთა ბრუნვამ დაგვჩაგრა, ძირს დაგვცა, გაგვანადგურა, შეგვასვა ნაღველი, მაგრამ ნუ შედრკებით, გამხნევდით, მიეცით ძალ-ღონე, შეერთდით, შეკავშირდით, ერთ მოაზრე ადამიანად გარდაიქმენით... დაჰბადეთ და აღზარდეთ თქვენი მყობადი!.. გამოვიკვლიოთ, გამოვაქვეყნოთ ჩვენი დიდებული წარსული, აღვადგინოთ, ვამცნოთ ქვეყანას მისი ღირსება, მისი ღვაწლი კაცობრიობის კულტურის წინაშე... შევატყობინოთ დიდ სახელმწიფოებს, რომ ჩვენი ერი ყოფილა თანაზიარი კაცობრიობის ლხინისა და ჭირისა; უნდა ახლაც წილი მოგვცენ, გვერდით მიგვიყენონ... დაუმტკიცოთ, რომ ჩვენ ღირსი ვართ ყურადღებისა, რომ ჩვენი პატარა ერი, დიდის რუსეთის კალთის ქვეშ შეფარებული, ღირსია დაცულ იქნას: ენით, ლიტერატურით, ხალხოსნობით!.. ისარგებლეთ ყველაფრით, რასაც-კი შემთხვევა და გარემოება ხელთ მოგცემთ. არ დაივიწყოთ, რომ შეძლება და ქონება უსაჭიროესი ძალაა სულისა და გონების გასამდიდრებლად... ახალ სამშობლოში ხელი მოგვემართა, ბედმა გაგვიღიმა: მიწა არა გვქონდა, ღმერთმა მოგვცა, ურჯულო ერი (ოსმალები) მოსვენებას არ გვაძლევდა, მოსვენებული ვართ: მეზობლები (ქართველები) ძალიან გულ-კეთილი ხალხია, და არამც თუ არ გვიშლიან, წინ არ ეღობებიან ჩვენს სურვილს, არამედ გვეხმარებიან, ხელს გვიწყობენ... სიმდიდრეც ხომ, მადლობა გამჩენს, გვაქვს. რაღა გვაკლია? რაღაა კიდევ საჭირო ჩვენის კეთილ დღეობისათვის?! აი რა...

ამ მღვდელს ელაპარაკნა სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ ცხოვრებაში, ეთქვა, რა დიდი საქმეა სკოლების მრავლად დაარსებაო... და სხვ. „ნივთიერ სიმდიდრეს შეუერთოთ სულიერი და გონებითი სიმდიდრეც და მაშინ შეგვიძლია ჩვენს მატიანეში თავ-მოწონებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენც მიგვიძღვის, არა ნაკლებ სხვებისა, ღვაწლი ჩვენის ერის მომავალის იღბალში, ჩვენს ისტორიაში... დავაარსოთ დედათა სკოლებიც, მივცეთ განათლება ჩვენს ქალებს; აღვზარდოთ დედები მამულისა და სამშობლო ქვეყნის მოყვარენი, რომ შეეძლოთ აღგვიზარდონ შთამომავლობა, მისცენ სამშობლოს და ერს შეგნებული მოქალაქენი!..

ჰხედავ, ძმაო, ამისთანა მოყრუებულს ადგილას, როგორიც არის ახალციხე, სადაც ჩვენ ქართველობას, მკვიდრთ, ჯერ ისევ ღრმად, გვერდზედ სძინავს, ეს შემოხიზნებული ერთი მუჭა ხალხი რასა სჩადის, რა რიგ მოქმედებს, იღწვის... მოდი ამათი დამნახავი ნუ ჩაფიქრდები. ნუ დაღონდები!.. ახლა-კი მშვიდობით, შემდეგ მოგწერ ჩვენის ქართველ საზოგადოების ამბავს, მაგრამ ახლავე-კი გეტყვი, რომ ბევრს სასიამოვნოს ვერას გეტყვი ამათ შესახებ.

შენი ერთგული ბ. ახალციხელი

„ივერია,“ 1890 წელი, N128

ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

(ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ)

ფლამენკო

ადრე, სახლში, ერთი ძველი ტაფა გვქონდა, შავი, სიძველისაგან დაღლარჭული და, ერთი შეხედვით, ულამაზო. მეორე შეხედვით, – მასზე „ყიყლიყოებს" ვაცხობდი და სამზარეულოში სილამაზე ტრიალდებოდა, რომელიც ახლა ესპანური გიტარითვე შესრულებულმა ესპანურმა სიმღერამ გამახსენა და უნდა მოვყვე:

„ყიყლიყოსთვის" ოთხ კვერცხს და პურის სამ ნაჭერს ვარჩევდი, – გათქვეფილ კვერცში ამოვლებულ თითო ნაჭერს ზემოდან თითო ყლუპი კვერცხი და... მეოთხე ყლუპი ტაფას, – პურის ნაჭრებს შორის დარჩენილ ადგილებს. რაც ცხვებოდა, შავ ტაფას ყვითელი, სტაფილოსფერი, ოქროსფერი გული უკეთდებოდა, უსახურობა სახიერდებოდა, ლამაზდებოდა. შავი ტაფა ზეთს რომ მოისხამდა, შამპანურით მორწყულ საცეკვაოს ემგვანებოდა, – შამპანურის შხეფები, როგორც მოცეკვავეთა ოფლი, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად რომ უხდება, შავ ტაფაზე თვალისმომჭრელად იწყებდა ბზინვარებას. პურის ნაჭრები რომ დაეკვრებოდნენ და გარშემო ათქვეფილ კვერცხს შემოისხამდნენ, ალაგ-ალაგ დარჩენილი შავი „ტაფის" ძირი სწორედ მაშინ ღამის საცეკვაოს ემსგავსებოდა. „პურებს" გარშემო შემოფენილი „კვერცხები" ძველებური ფლამენგოს კაბად ეფინებოდა, ეხვეოდა და სამივე ერთად რომ ცეკვავდა, იმის ყურებას არაფერი სჯობდა. ამის მერე „პურისთვის" „კვერცხის" შემოცლა უხერხულიც კი იყო, მაგრამ იღბალს უნდა დაუფასო.

ალბათ

ჩემი ბინუკიდან ლამაზი ხედი იშლება, მაგრამ, დღეს, ფანჯრიდან რომ ვიყურებოდი, რატომღაც, ქვემოთ გადავიხედე, გული რომ მიგრძნობს ხოლმე და ხშირად ძალიან გამიმართლებს. პურის საცხობის ორმხრივ შემორტყმულ ღობესთან, ქალი იდგა მამაკაცთან ერთად და საუბრობდნენ. ძალიან ლამაზი იყო ის დალოცვილი, მაგრამ წამიერად თვალი მაინც მოვარიდე, რადგან ჩემკენ სახით იდგა და მეუხერხულა, მზერა იმ ქალისკენ რომ გამირბოდა. კაცმა კი, თითქოს რაღაც იგრძნო, ქარისაგან გადმოყრილი კულულოები გაუსწორა, თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და რამდენიმე წამში... წავიდნენ. ქალს მკლავზე ჩანთა ჰქონდა ჩამოკიდებული, კაცს – ქალი. ისე ლამაზად წანარნარდნენ, თვალი დიდხანს მაინც ვერ მოვწყვიტე შეყვარებულ თუ ნაყვარებ ქალს, რომელსაც კაცმა ისევ გაუსწორა თმა და გზად, ალბათ, ლოყაზეც მოეფერა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მარიამსაკმელა

სამკურნალო მცენარე – ხაზურად განკვეთილი ფოთლებით, ყვითელი ყვავილებით განსაკუთრებით ბევრია ასპინძის მუნიციპალიტეტში.

ასპინძის მთვლემარ მინდვრებში
ტკივილებს ვინ ესარკმელა,
ცრემლ-უნაპირო ბინდებში –
ყვავის მარიამსაკმელა.

ჩემი სიცოცხლის ყვავილი,
გაზაფხული და სისხამი,
ფერმოელვარედ დაჰყვება
მეფე ერეკლეს ცისკარი...

მზე მზიანობდა ზარზმული,
სევდას უშრობდა ზაფრანებს,
მხედრები აბჯარკაზმულნი
ხერთვისთან ბნელეთს ხაფრავენ...

ლხინობენ ხმლები ლაღები,
ამღერებულა შავხალი,
სიკვდილზე მოიალაღე
თავგანწირული ლაშქარი.

სიკვდილთან მომუსაიფე
სვესხივოსანი შიმშერი...
დაჰბედებიათ აისებს
ალმები სისხლის გიშერით...

ჯარი დიდებას იმშვენებს,
თბილისთან მშვიდად ბინდდება,
და საქართველო შვიდფერი
მესხეთით გამობრწყინდება...

არც მეწამური ყაყაჩო,
არც ზამბახები სამწყება...
დიდ მეომართა ჯვარ-ხატად
ყვავის მარიამსაკმელა.

თამარი

გული ტირილს უმალ ხვდება,
ირგვლივ ბინდი რად არი?
ვარძიაში შემომხვდება
მარგალიტი თამარი...

მარგალიტის გვირილებით
კაბის კალთა ზღვად არი,
თუ სიზმრებად ბივრილებენ
მიუწვდენელ ლაჟვარდში...

შემომხვდება სევდის ბერი
ღვთისმშობელის ზამბახით,
და მღერს შვიდმნათობიერი
გაზაფხული ამ ბაღში.

სხვა სამოთხე, სხვა პოემა,
სხვა ზღაპარი სად არი?
სადედოფლო სათნოებას
ფრესკა შემომახარებს...

ფრესკა ვარდობს, ფრესკა ტირის,
ჟამფურცლობის სამანი...
ბასიანზე მეფე ილტვის
ანგელოზთა ამალით...

ღამეს ვტეხ და საქართველო
ჩნდება... ბინდი რად არი?
გულის ცრემლი სად ვათენო,
მზეშესუდრულ ავდარში...

დაკარგული წვეთი სისხლის
ამ ბურანში ზღვად არი,
თუ ვარსკვლავთა ღელვად ისმის
მიუწვდომელ ლაჟვარდში.

ყაყაჩოებს ვარძიაში
ეღვიძებათ სამ ჟამში
და თამარი დარდიანში
ლალსაბურველს კვლავ გაშლის...

***

რაც უფრო მეტად გსუსხავს ჭინჭარი,
მით უფრო მეტი გვირილები ამოდიან,
შენს ხელისგულზე...
გვირილების თავშალიც გმოსავს...
შენ ხარ ამ სოფლის
გოლგოთა და
აღდგომა, დედა...

გერგეტიდან მთვარე მოდის...

გერგეტიდან მთვარე მოდის
თეთრი ფიქრის გამოთლილი ღამეთი...
აინთება, ნეტავ როდის,
საქართველოს სევდიანი კარედი?

ლელთ ღუნია ისევ იცდის
გაზაფხულებს ჩამოყოლილ შროშანთან...
მთის წინაშე დავდე ფიცი,
შენ თუ იცი? – აისივით შორსა ხარ...

ილტვის სხივი მწვერვალისკენ,
თერგს შეფერავს სიმწრიანი ცრემლები...
ვეყუდები კლდეს რვალისფერს,
ამ ჭიუხებს ჩემი ნებით ვნებდები...

აქ ვიდგები დარდუცვლელი,
მოხევეებს ლაშქრად ისევ გავყვები...
ამ კარიბჭეს უნდა მცველი,
ვით სიყვარულს ერთგულების მაყრები...

გერგეტიდან მთვარე მოდის,
მენამური – მზეუხსოვარ ღამეთი...
აინთება, ნეტავ, როდის,
საქართველოს სევდიანი კარედი?!

ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲔᲝᲠᲔ

◀ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲒᲕ. 1,2

ცა. აქ გადაეცა სოლომონ მეორეს ალექსანდრე ნეველის ორდენი.

ელაზნაურის ხელშეკრულება 17 მუხლისგან შედგებოდა და ითვალისწინებდა, რომ *სოლომონ მეორე და იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერატორის საუკუნო ქვეშევრდომი ხდებოდა. იმერეთის მეფობა მას და მის მემკვიდრეებს სამუდამოდ უნარჩუნდებოდათ, ხოლო მემკვიდრედ, თუ მას ვაჟი არ ეყოლებოდა, კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისხმებოდა. იმერეთის მეფე ტახტზე ასვლისას იმპერატორის სიგელით უნდა დამტკიცებულიყო. სამართლისწარმოება კვლავ მეფის პრეროგატივად რჩებოდა, მაგრამ ერთმეოდა სისხლის სამართლის საქმეების წარმოების უფლება. იმერეთში განლაგდებოდა რუსეთის ჯარი, რომელიც ქვეყანას დაიცავდა საგარეო მტრისაგან და წესრიგს უზრუნველყოფდა სამეფოში. მეფე პირობას დებდა, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებოდა საქართველოს მთავარმმართველს. ასევე ვალდებულებას იღებდა სამეგრელოს მთავრისათვის დაებრუნებინა წართმეული ტერიტორიები.*

პავლე ციციანოვი ელაზნაურის ხელშეკრულებას თავისი მოღვაწეობის დიდ წარმატებად თვლიდა. იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა – ამიერიდან *„იმერეთის სამეფო რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად გადაიქცა“.* ცოტა მოგვიანებით, 1804 წლის 4 ივლისს, პავლე ციციანოვმა იმასაც მიაღწია, რომ სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა და სოლომონ მეორემ საჭილაოში ხელი მოაწერეს საერთო ხელშეკრულებას რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შესახებ.

საჭილაოს შეთანხმების გაფორმებამ დაადასტურა, რომ სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთი ჯერ კიდევ მზად არ იყო იარაღით დაეპყრო მთელი დასავლეთ საქართველო. ამიტომ პავლე ციციანოვის აზრს *„გაცილებით სასარგებლოა დავტოვოთ მეფეები მათ მოჩვენებით სამეფოებში“ რუსეთისადმი სრული ქვეშევრდომობის პირობით და ამით იმპერია დავიცვათ ზედმეტი ხარჯებისაგან, რასაც რუსული მმართველობის შემოღება მოითხოვს, საიმპერატორო კარზე სრული გაგებით მოეკიდნენ.*

პავლე ციციანოვისაგან განსხვავებით, სოლომონ მეორეს არ მიაჩნდა, რომ ელაზნაურის შეთანხმების შემდეგ, მისი ხელისუფლება მოჩვენებითი და ნომინალური უნდა ყოფილიყო. მაგრამ პეტერბურგის კარი თვლიდა, რომ იმერეთის სამეფო უკვე იმპერიის შემადგენლობაშია და გადადგა კიდეც პრაქტიკული ნაბიჯები

აქ რუსული მმართველობის დასამყარებლად. ამაზე ნათლად მეტყველებს **ლიტვინოვის** მისია დასავლეთ საქართველოში.

ელაზნაურის ხელშეკრულების შემდეგ, 1804 წლის 29 მაისს, რუსეთის წარმომადგენლად იმერეთში დაინიშნა პეტრე მაქსიმეს ძე ლიტვინოვი (1760–1834 წწ.), რომელიც შტაბის ოფიცრის, ორი უნტერ–ოფიცრის და კავკასიის გრენადერთა პოლკის ოთხმოცი ჯარისკაცის თანხლებით, 1804 წლის 4 ივნისს სოლომონ მეფესთან გამოცხადდა ქუთაისში.

როდესაც პეტრე ლიტვინოვს იმერეთში აგზავნიდნენ, მისთვის არც თანამდებობა განუსაზღვრავთ და არც მივლინების ვადა. ოფიციალურად, მას დაევალა მეფისა და დადიანის შერიგება, ნამდვილად კი, ლიტვინოვის მისიას შეადგენდა რუსეთის ჯარის გამრავლება იმერეთის ტერიტორიაზე და, პარალელურად, ქვეყნის ადგილმდებარეობის, მოსახლეობისა და გავლენიანი პირების რუსეთისადმი განწყობილების შესწავლა, საჭირო შემთხვევაში უკანასკნელთა გადაბირება ცარიზმის მხარეზე, რათა მოემზადებინა ნიადაგი იმერეთში მეფის ხელისუფლების საბოლოო გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარებისათვის.

პეტრე ლიტვინოვი, როგორც უკვე აღინიშნა, ფართო უფლებებით იყო აღჭურვილი. პავლე ციციანოვი მას „იმერეთისა და სამეგრელოს მმართველს“ უწოდებდა და ავალებდა მეფე მთავარზე გავლენისა და მათი მორჩილების მოპოვებას, რომ „ორივე ამიერიდან თქვენ გისმენდნენო.“

პეტრე ლიტვინოვი, ფორმალურად, გამოდიოდა რუსეთის მთავრობის რეზიდენტის როლში იმერეთის მეფესთან და სამეგრელოს მთავართან. მის განკარგულებაში მყოფი სამხედრო ძალით, მას უნდა განეხორციელებია რუსეთის მთავრობის ხელისუფლება მეფე-მთავარზე. თავის მხრივ, პეტრე ლიტვინოვი კარგად იყენებდა ამ უფლებებს და იცოდა რა, რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება სოლომონ მეორისადმი, უხეშად ეპყრობოდა მას.

ქუთაისში ჩამოსული პეტრე ლიტვინოვი პავლე ციციანოვის დავალებით, მეფისაგან მოითხოვდა პეტერბურგში გაეგზავნა დეპუტაცია იმპერატორის წინაშე „რუსეთის მფარველობაში მიღებისათვის მადლობის გადასაცემად“. პავლე ციციანოვის აზრით, პეტერბურგში საზეიმოდ მიღებული და დასაჩუქრებული იმერელი დეპუტატები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, რუსეთის სამსახურში ჩადგებოდნენ. მეფე კი პეტერბურგში ასეთი დეპუტაციის გაგზავნას არ აპირებდა, რადგან თვლიდა, რომ მას სამადლობელი არაფერი ჰქონდა.

„ელაზნაურის ტრაქტატის“ შემდეგ იმერეთის სამეფოს ბედი უკვე გარკვეული იყო. ნათელი გახდა, რომ რუსეთის იმპერია დიდხანს არ შეურიგდებოდა იმერეთის სამეფოს გარეგნულ დამოუკიდებლობასაც კი. სოლომონ მეორეც ნათლად ხედავდა ამ განსაცდელს და ყოველგვარ „ხავსს“ ეჭიდებოდა სამეფოს გადასარჩენად. იგი იმედებს ამყარებდა 1806 წელს დაწყებულ რუსეთ-თურქეთის ომზე. ფიქრობდა, რომ ორი იმპერიის დასუსტება იმერეთის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს. 1809 წელს მთავარმართებელმა **ალექსანდრე ტორმასოვმა** იმპერატორ ალექსანდრე პირველისაგან მიიღო ბრძანება, იმერეთში დამატებითი ძალების შეყვანისა და სოლომონ მეორის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. საქმის მოგვარება რუსებმა მოღალატე ზურაბ წერეთლის რჩევით პოლკოვნიკ **თევდორე სიმონოვიჩს** მიანდეს. მას ეხმარებოდა ზურაბ წერეთლის სიძე **დიმიტრი თარხნიშვილი.** 1810 წლის თებერვალში რუსული ჯარი იმერეთში შევიდა. სოლომონ მეორის მომხრეებთან ერთად ვარციხეში იყო განლაგებული, მაგრამ მტერს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მისი მომხრეები გაიფანტნენ. რუსებმა მოსახლეობა ძალით დააფიცეს იმპერატორის ერთგულებაზე. სოლომონ მეორემ თანხმობა განაცხადა ტახტიდან გადადგომაზე და 1810 წლის 28 მარტს სოლომონ მეორე გორთან ახლოს ვარიანში შეხვდა მთავარმართებელ ტორმასოვს. რუსებს ხატზე ჰქონდათ დაფიცებული, რომ მეფეს არ დაატყვევებდნენ, მაგრამ ფიცი გატეხეს და შეპყრობილი მეფე თბილისში გადაიყვანეს. სოლომონს რუსეთში უპირებდნენ გადასახლებას. 1810 წლის 10-11 მაისის ღამეს მეფე თბილისიდან გაიქცა. სიმბოლური იყო ისიც, რომ სოლომონ მეორემ უმაღლესი რუსული ჯილდო – ალექსანდრე ნეველის ორდენი, რომელიც „ელაზნაურის ტრაქტატის“ დადებისას მიიღო, თბილისში დატოვა. ტყვეობიდან მეფის გაქცევა იმერეთში სახალხო აჯანყების სიგნალი გახდა. მოსახლეობამ საოცარი ერთგულება გამოიჩინა საკუთარი ხელმწიფისადმი. აჯანყებამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ *რუსები იმერეთის აჯანყებას საყოველთაო რევოლუციას უწოდებდნენ.* დამპყრობლებმა, ზურაბ წერეთლის გარდა, თითქმის ვერცერთი იმერელის გადაბირება ვერ მოახერხეს, მიუხედავად დიდი დაპირებებისა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავს. ერთ ციცქნა იმერეთის სამეფოს, რომელსაც არანაირი მოკავშირე არ ჰყავდა დედამიწის ზურგზე, არ შეეძლო რუსეთის დამარცხება და იმედგაცრუებულმა *სოლომონ მეორემ იმერეთი დატოვა და ახალციხეში გადავიდა. ამით დასრულდა ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. დაიწყო იმერეთისა და დასავლეთ საქართველოს რუსეთის მმართველობის სისტემაში ჩართვის საკმაოდ რთული და სისხლიანი პროცესი.* სამშობლოდან გადახვეწილი სოლომონ მეორე ოსმალეთის იმპერიას აფარებდა თავს. იგი 1815 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა და *დაკრძალეს ქალაქ ტრაპიზონში წმინდა გიორგის ბერძნული ეკლესიის გალავანში.*

როდესაც სოლომონ მეორე ტრაპიზონში დაასაფლავეს, მეფის აკლდამის ქვაზე ასეთი წარწერა ყოფილა ამოკვეთილი: *„განმეძარცვა მე პირველ ქმნილი სიკეთე და მშვენიერება და მდებარე ვერ შიშველ და კდემული საფლავსა ამას შინა. ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი, ძე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისაც ვითხოვ შენდობას. თებერვლის 8, ქორონიკონსა ქრისტეს აქეთ ჩყიე“.* ისტორიულმა ბედუკუღმართობამ ტრაპიზონში სოლომონის საფლავს ადგილი შეუცვალა. წმინდა გიორგის ეკლესიის ადგილზე ტრაპიზონში ახალი უბანი აშენდა, ხოლო ქართველი მეფის ცხედარი სხვა ცხედრებთან ერთად ცოტა მოშორებულ ადგილას გადაიტანეს. XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ეროვნული მოძრაობა აღმავლობას განიცდიდა. ხალხი პატივს მიაგებდა სამშობლოს ათვის თავდადებულ გმირებს, მათ შორის გამორჩეული ადგილი სოლომონ მეორეს ეკავა. ქართულ საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ სოლომონი სამშობლოს დაბრუნებოდა. 1990 წლის შემოდგომაზე, სოლომონ მეორის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის მონასტერში დაკრძალეს. უკანასკნელი ქართველი მონარქის ჩამოსვენება საკუთარ სამშობლოში საერთო ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა. ქვეყნისათვის თავდადებული მეფე საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

დავით რობაქიძე

სადღეგრძელო

„... ყველაზე მეტად რისიც მწამს და
რაც მაიმედებს,
ისევ მესხეთში შენახული საქართველოა...“

მანანა ჩიტიშვილი

მესხეთს ვეწვევი, ასპინძაში გალობა მინდა,
შოთა რუსთაველს შეფიცული ქრისტიანთ ჯვარზე
აქ გული გულობს, სული კიდევ წყაროა წმინდა,
ერთიც მითხარით, ამ სამოთხეს გავცვლიდი რაზე.

ტურფა მესხეთო, არ იგუო დახრილი ქედი,
რად ვერ მოვიგეთ ზოგის გული, აზრები მათი...
რად ვერ გავმართეთ სამართალზე სასწორი ბედის,
ნეტავ შეიგნოს სამეზობლომ ღვთის ცნება ათი.

ვარძიის მკვიდრნო, თამარ მეფის შეფიცულ შვილთა
დიდ ქართველური ერის წესი არ დაივიწყოთ,
გწყალობდეთ დედა ღვთისმშობელი, გამჩენი გმირთა,
ეს სადღეგრძელო ქართველთ ძმობის გულისთქმა იყოს.

მედგრად დადექით მამულის და ეზოს დარაჯად,
შემომიერთდით ქედუხრელნო, ჩემო მესხებო,
არ მოიშოროთ ჯარისკაცის მძიმე ფარაჯა,
სამშობლოს, ქვეყის გუშაგებო, ერისკაცებო!

უმისოდ რად იმღერეთა?!

წაკვლია

ახლახან ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგთა ჯგუფმა გამოსცა ფართო ფორმატის უზარმაზარი ფოლიანტი **„რუსთაველი და ნიზამი“** (512 გვერდი). წიგნში ნახსენებიც არაა **მურმან თავდიშვილის „ნიზამი და რუსთველი“** (2011), რომლის შესახებაც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ირანოლოგი პროფესორის **ნომადი ბართაიას** აღტაცებული გამოხმაურება.

წიგნში სამუქფოდ დიდის ამბით წერია ასეთი რამ:

„საშუალის თემას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ოქსიმორონული ტაეპი: „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო?“ აქ ავთანდილი სიყვარულით გონებადაბინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს. ეს სენტენცია გამოძახილია ძველბერძნულ ფილოსოფიაში ცნობილი თეორიისა, რომ სიყვარული არის საშუალო ინსტანცია კეთილსა და ბოროტს შორის“ (კრებული, 348-349), რომელიც ცნობილი რუსთველოლოგის ნაშრომიდანაა დამოწმებული ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

მკვლევრებს, დამოწმებული ციტატის ავტორსაც და სტატიის ავტორსაც (ორივენი პატივსაცემი პიროვნებები და ცნობილი ლიტერატურათმცოდნეები არიან) მოსვლიათ უხეში შეცდომა – მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფიური ტერმინი **„კარგი“** გაუგიათ, როგორც თანამედროვე ქართული სიტყვა **„კარგი“**. ამ ყალბ გაგებაზეა აგებული შორს მიმავალი თეორია.

ეს არ დაემართებოდათ, რომ ჩაეხედათ **ვიკტორ ნოზაძის** წიგნში **„ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება“** (1963, 314-317) და წაეკითხათ მ. თავდიშვილის წიგნი „ნიზამი და რუსთველი“. ამ უკანასკნელში ყველაფერი ეს ნათლად ახსნილია, გახსენებულია ვ. ნოზაძის განმარტება, რომ **„კარგი“ ნიშნავს რიგს, წესს, თანამიმდევრობას,** რაც მთავარია, ეს ტერმინი თურმე თვით ნიზამისაც კი ჰქონია მომარჯვებული, თანაც ზუსტად ისე, როგორც რუსთველს. კრებულის ავტორებს ან არ მიუქცევიათ ყურადღება, ან არც იციან მისი არსებობა. თავდიშვილის მონოგრაფიაში ვკითხულობთ: *„სინამდვილეში „კარგი“ ნახმარია ნიზამის მეორე პოემაში და ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, რიგს. ქმნილებაში ერთგან ვკითხულობთ: „ამ კარგის მიხედვით ის გახდა მეუღლე“* (355). რუსულ თარგმანშია: „На сей карге он сделался супругом“. **დავით ჩუბინაშვილის** ლექსიკონში ის ამგვარადაა განმარტებული: *რიგი, წესი, რიგობა* (595).

ვერ დავიჩემებ, ოღონდ, შესაძლოა, ამ „კარგ“-ისაგან მოდიოდეს სიტყვები – **ქარგა** და **ქარგალი“** *(მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 114).*

მაშასადამე, რუსთველის სადავო ფრაზაში არც ძველი ბერძნული ფილოსოფიის კვალია, არც ოქსიმორონია. მასში მეტად უბრალო აზრია გამოხატული: რაც ეშმაკის რიგისაა, რაც ეშმაკეულია, ის უბოროტო ვერ იქნებაო!

აი, რატომ იყო საჭირო, ლიტინსტიტუტში გამომავალი კრებულის მთავარ რედაქტორად მურმან თავდიშვილის მიწვევა და მისი წიგნის შესაბამისი ადგილის გამოყენება და მითითება.

ახლა კი რა შეგვრჩა ხელთ?

ეს გაზეთის ერთგულმა მკითხველმა განსაზღვროს, ჩვენ კი ვიმედოვნებთ, გამოჩენილი რუსთველოლოგი („ვინ მარტომან ასთა ავნის“) ამ ნაკლს თავად შეავსებს, როცა გამოაქვეყნებს ვრცელ რეცენზიას ნაწკეპლიკარ წიგნზე!

მირიან როხაძე

მესხეთის ტერიტორია და მოსახლეობა XIX საუკუნეში

◀ დასაწყისი გვ. 1,3

მა უმრავლესობამ იცოდა, რომ ქართველი იყო.

ადრიანოპოლის ზავის მე-13 მუხლის თანახმად, 18 თვის განმავლობაში შესაძლებელი იყო რუსეთის იმპერიის ტერიტორიიდან მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლება და, – პირიქით. ზავის ეს პირობა რუსეთის მთავრობამ კარგად გამოიყენა. ომის დამთავრების შემდეგ მუსლიმი ქართველების დევნა-შევიწროების პოლიტიკამ სხვა სახე მიიღო. რუსებმა ომისაგან დარბეულ და გაღატაკებულ ქართველობას ოსმალთა ბატონობის პერიოდში არსებული ვალდებულებების შესრულება და გადასახადების გადახდა დააკისრეს. ქართველები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმის გამოც, რომ 1819 წლის 22 ოქტომბრის დებულებით, ოსმალეთიდან მესხეთში გადმოსახლებული სომხები და ბერძნები 6 წლის ვადით თავისუფლდებოდნენ ნებისმიერი ვალდებულებისა და გადასახადისაგან. ომის შემდეგ რუსეთი მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მესხეთში გადასახადების გადახდა მთლიანად ქართველ მოსახლეობას დაეკისრა. გადასახადების ამოღება ჯარის საშუალებით ხდებოდა. მაგალითად, აწყურის სანჯაყის რამდენიმე სოფლიდან 1829 წლის გადასახადების ამოღება მხოლოდ 1831 წელს მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ გადასახადის სახით ამოღებული მთელი ხორბლეული რუსეთის ხელისუფლებამ არზრუმიდან გადმოსახლებულ სომხებს გადასცა. მსგავსი ვითარება იყო მესხეთის ყველა სოფელში. ხელისუფლება მცირე დათმობაზე წავიდა და მოსახლეობა მხოლოდ 1828 წლის გადასახადებისაგან გაათავისუფლა, 1829 წლიდან კი გადასახადები ქართველებს უკლებლივ უნდა გადაეხადათ. ახალციხის დროებითი მმართველობისას, 1837 წელს, შექმნილ ერთ-ერთ დოკუმენტში ჩამოთვლილია იმ მუსლიმ ქართველთა გვარები, რომელთაც 1831-1832 წლების გადასახადები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადახდილი. ახალციხის ოლქის მმართველობა სანჯაყების უფროსებს პირდაპირ ავალებდა გადასახადები ნებისმიერი ხერხით ამოეღოთ.

მუსლიმ ქართველთა მესხეთიდან ოსმალეთში გადასახლებას ხელი შეუწყო ქართული სოფლების სახაზინოდ გამოცხადებამ. რუსეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მიწის მუსლიმ მფლობელთა ხელში დატოვება. დაიწყო სოფლების რუსეთის ხაზინისათვის გადაცემა. 1834 წელს ფოცხოვის სანჯაყის 29 სოფლიდან 21 ხაზინის საკუთრება გახდა.

ახალციხის საფაშოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ ზოგიერთ სანჯაყში ბეგების ხელისუფლება შენარჩუნებული იქნა. ეს დათმობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1832 წელს ბეგების ნაცვლად სხვადასხვა თანამდებობაზე რუსი მოხელეები დაინიშნენ.

ყოველივე ზემოთქმულმა მესხეთის ძირძველი მოსახლეობა, ქართველი მუსლიმები, აიძულა ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) დადების შემდეგ ოსმალეთში გადახვეწილიყვნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთში ქართველთა მუჰაჯირობა ომის დროსაც მიმდინარეობდა. დადგენილია, რომ მესხეთიდან ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუსლიმთა რაოდენობა 70.000-75.000, აფხაზეთიდან – 14.257, აჭარიდან – 28.000-30.000 სულს უდრიდა. დადგინდა ისიც, რომ 1828-1829 წლების ომმა 21.000 მუსლიმი ქართველი იმსხვერპლა.

4. სომეხთა და ბერძენთა გადმოსახლება ოსმალეთიდან 1829-1830 წლებში

სომხების მისწრაფება, ირანიდან და ოსმალეთიდან რუსეთის იმპერიის საზღვრებში გადმოსახლებულიყვნენ, შემთხვევითი არ ყოფილა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებში მცხოვრებმა სომხეთის წინამძღოლებმა, მელიქებმა – აბოვმა, ჯიმშიდმა და ფრიდონმა პრორუსული ორიენტაცია არჩიეს. XVIII საუკუნის დასასრულისათვის ირანის აზერბაიჯანული სახანოებიდან დევნილი სომხები ქართლში, ძირითადად თბილისის შემოგარენში, დასახლდნენ. სომხებს ქართლ-კახეთის მეფეები – ერეკლე II და გიორგი XII მფარველობდნენ. სომეხი მელიქების პრორუსულ ორიენტაციას რუსეთის იმპერიის ხელისუფლება კარგად იყენებდა. რუსეთის სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებამ ოსმალეთში მცხოვრებ სომხებს ოსმალთა ბატონობისაგან თავის დახსნის რეალური შესაძლებლობა მისცა. რუსული ისტორიოგრაფია საქმეს ისე წარმოაჩენდა, თითქოს, ოსმალეთის ხელისუფლება სომეხთა რუსეთის იმპერიის საზღვრებში დასახლებისაკენ მისწრაფებას სიხარულით შეხვედროდა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. XIX საუკუნის დამდეგისათვის სომხებს უკვე სერიოზული პოზიციები ჰქონდათ მოპოვებული ოსმალეთის ეკონომიკაში (ვაჭრობა, ხელოსნობა და სხვ.). სომეხთა მასიური გადასახლების პირობებში ოსმალეთის ხელისუფლება ეკონომიკურ ცხოვრებაში სომეხთა შემცვლელს ადვილად ვერ იპოვიდა. ამიტომ იყო, რომ სომეხთა რუსეთის იმპერიის საზღვრებში გადასახლებას ოსმალეთის ხელისუფლება სულაც არ მიესალმებოდა, პირიქით, სომხებს ურჩევდა, არ გადასახლებულიყვნენ. მართალია, სომხები ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი განსახლების ტერიტორიის ნაწილი სომხეთის ისტორიულ ტერიტორიას წარმოადგენდა, სომხების ნაწილი თავისი ისტორიული სამშობლოს მიწაზე ცხოვრობდა, რომლის დათმობაც, ცხადია, მათთვის ადვილი არ იქნებოდა. 1828-1829 წლების ომში გამარჯვებულმა რუსეთმა, სომეხთა შორის აგიტაცია ოსმალეთზე უკეთესად აწარმოა. დამარცხებული ოსმალეთი ამჯერადაც ბედს შეურიგდა.

1. სომეხთა გადმოსახლება 1811 წელს. 1811 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარი ახალქალაქის ასაღებად დაიძრა. ორი კოლონიდან ერთს გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი მეთაურობდა. ჯავახეთის გზით ახალქალაქისაკენ მიმავალ დიმიტრი ორბელიანის კოლონას ახალქალაქიდან თბილისისაკენ მომავალი სომხები, დაახლოებით 2.000 ოჯახი, შემოხვდა. გაირკვა, რომ სომხები ოსმალებისაგან დარბევა-დაწიოკებას ელოდნენ, რის გამოც ახალქალაქი და მახლობელი სოფლები მიეტოვებინათ. დიმიტრი ორბელიანი სოხმებს არწმუნებდა, შიში არაფრისა ჰქონოდათ, რადგან რუსეთის ჯარი სულ მალე ახალქალაქს დაიკავებდა და ჯავახეთში ოსმალთა ბატონობაც დასრულდებოდა. სომხებმა გენერალს მოუსმინეს, მაგრამ ოსმალებისაგან გატანჯულთ მისი სიტყვები სარწმუნოდ არ ეჩვენათ და თბილისისაკენ მსვლელობის გაგარძელების უფლება ითხოვეს. დიმიტრი ორბელიანმა სომეხთა თხოვნა დააკმაყოფილა. სად დასახლდა ეს 2.000 კომლი, მესხეთში დარჩა თუ ქართლს შეაფარა თავი, უცნობია.

2. სომეხთა გადმოსახლება ირანის აზერბაიჯანიდან 1828-1829 წლებში. 1826-1828 წლებში ირანთან ომში გამარჯვების შემდეგ, თურქმანჩაის ზავით (1828 წ.), რუსეთს ერევნის, ნახჭევნის და თალიშის სახანოები ერგო. თურქმანჩაის ზავის მე-12 მუხლის თანახმად, ირანისა და რუსეთის ქვეშევრდომებს უფლება ეძლეოდათ, უძრავი ქონება გაეყიდათ და მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასულიყვნენ. გარდა ამისა, „ერთიდან მეორე სახელმწიფოში გადასულთ შეეძლოთ დასახლებულიყვნენ მოცემული სახელმწიფოს მათთვის სასურველ პროვინციაში, ხელისუფლების ნებართვით“.

ირანის აზერბაიჯანიდან სომეხთა გადმოსახლების პროცესი 1828 წლის მარტში დაიწყო. პირველ რიგში გადმოსახლდნენ ურმიის, სალმასის, ხოის, მორაგის, თავრიზის რაიონებში მცხოვრები სომხები. გეგმის თანახმად, გადმოსახლებულები ყოფილი ერევნის, ნახჭევნისა და ყარაბაღის სახანოების ტერიტორიაზე უნდა დაესახლებინათ. მიუხედავად ამისა, ირანის აზერბაიჯანიდან გამოსულ სომეხთა ნაწილი საქართველოს ტერიტორიაზეც დასახლდა, რაშიც მათ რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება უჭერდა მხარს.

3. სომეხთა და ბერძენთა გადმოსახლება ოსმალეთიდან 1829-1830 წლებში. ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) მე-13 მუხლის თანახმად, 18 თვის განმავლობაში შესაძლებელი იყო რუსეთის კუთვნილი ტერიტორიიდან მოსახლეობის ოსმალეთში გადასვლა და – პირიქით. რუსეთის იმპერიის ვიცე-კანცლერი კარლ ნესელროდე კავკასიის მთავრასარდალ ივან პასკევიჩისაგან მოითხოვდა, ოსმალეთის საფაშოებიდან ქრისტიანი მოსახლეობა იმერეთსა და სამეგრელოში გადასახლებაზე დაეთანხმებინა. ვიცე-კანცლერის ამ მოთხოვნის საპასუხოდ 1829 წლის 5 იანვარს თბილისიდან პეტერბურგს აცნობეს, რომ იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ტერიტორიის კოლონიზაცია გაუვალი ჭაობების, უღრანი ტყეებისა და მიუდგომელი მთაგრეხილების პირობებში, ჯერ-ჯერობით, შეუძლებელი იყო. დამატებითი არგუმენტიც საკმაოდ საგულისხმოდ უნდა ჩაითვალოს: იმერეთის იმჟამინდელი მცირე მოსახლეობაც კი ხეირიანად ვერ იკვებებოდა და იქ კოლონისტების ჩასახლება გამართლებული არ იქნებოდა. პასკევიჩი შესაძლებლად მიიჩნევდა ოსმალეთის შიდა პროვინციებიდან ქრისტიანი მოსახლეობა ახლად დაპყრობილ ახალციხის საფაშოსა და მის მოსაზღვრე რაიონებში, ბამბაკსა და შურაგელში, გადმოესახლებინათ.

ადრიანოპოლის ზავის (1829 წ.) დადების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში სომეხთა და ბერძენთა გადმოსახლების პარალელურად, საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან, ისლამის აღმსარებელმა მესხებმა ოსმალეთში იწყეს გადასახლება. მათ სამშობლოს დატოვება არ სურდათ, მაგრამ ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულებამდე, 1829 წელს, რუსეთის სამხედრო სელისუფლებამ, სამცხე-საათაბაგოს დაკავების შემდეგ, იქ მცხოვრებ ისლამის აღმსარებელ ქართველებს უმძიმესი პირობები შეუქმნა. ოსმალური ორიენტაციის მომიზეზებით, ისლამის აღმსარებელ მესხთა რამდენიმე ათეული სოფელი რუსებმა ჯერ პირწმინდად გაძარცვეს, შემდეგ კი გადაწვეს. ეს არაადამიანური ქმედება არ შეიძლება რუსი სამხედროების თვითნებობით აიხსნას. რუსეთის ხელისუფლებას არ სურდა ოსმალეთთან სასაზღვრო ზოლში ისლამის აღმსარებელი ქართველების დატოვება. ადრიანოპოლის ზავის დადებიდან 18 თვის განმავლობაში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია დატოვა და ოსმალეთში გადასახლდა 70.000-75.000 მუსლიმი ქართველი, ძირითადად მესხი. ცხადია, ამ პროცესს ხელი შეუწყო ოსმალეთის მიერ წარმოებულმა აგიტაციამაც. სამცხე-საათაბაგოდან ოსმალეთში ქართველთა გადასახლებით რუსეთის ხელისუფლებამ მეორე პრობლემაც გადაჭრა: ქართველთა ნასოფლარები ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომხებსა და ბერძნებს გადაეცათ.

ოსმალეთიდან სომეხთა პირველი ჯგუფები 1829 წლის შემოდგომაზე დაიძრნენ, 1830 წლის გაზაფხულიდან მათ გადმოსახლებულთა ახალი ტალღა მოჰყვა. კავკასიის კოლონიურმა ადმინისტრაციამ სომეხთა მიღებისა და განსახლების მიზნით საგანგებო კომისია შექმნა. ოსმალეთიდან შემოსული სომხები სამ ჯგუფად დაყვეს: 1. ვაჭრები; 2. ხელოსნები; 3. მიწის მუშები (გლეხები). საქართველოში კაზაკების შემოყვანა და მათი საზღვრისპირა რაიონებში ჩასახლება ვერ მოხერხდა, რის გამოც იმპერატორი ნიკოლაი I უმჯობესად მიიჩნევდა სომხები ყოფილი ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე დაესახლებინათ.

ოსმალეთის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა სომხებისა და ბერძნების რუსეთის ტერიტორიაზე გადასვლა შეეფერხებინა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. სომეხთა არქიეპისკოპოსი კარაპეტი რუსეთის ჯარის მიერ დაკავებულ არზრუმის, ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოებში მცხოვრებ სომხებს სამხრეთ კავკასიაში გადასახლებისაკენ მოუწოდებდა. ოსმალები არქიეპისკოპოს კარაპეტის საქმიანობის აღკვეთას ცდილობდნენ. ოსმალო სერასკირმა სტამბოლიდან ჩამოიყვანა სომეხთა ეპისკოპოსი ბართლომე, რომელსაც სომხებში ოსმალეთში დარჩენის სურვილი უნდა გაეღვიძებინა. ეპისკოპოს ბართლომეს თავისიანებმა განუცხადეს: „შენ კი არა, თვით ზეციდან ჩამოსულმა ქრისტემ რომ გვიქადაგოს ოსმალეთში დაბრუნება, ჩვენ მის რჩევასაც კი ყურს არ დავუგდებთ“.

ოსმალეთიდან საქართველოში სომეხთა გადმოსახლება ადვილი არ იყო. მალე ბევრმა გაუთვალისწინებელმა სირთულემ იჩინა თავი. 1831 წელს რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრმა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, სახელმწიფო მრჩეველი ადამ ვალტერ ფონ კრონეკი საქართველოში მოავლინა. მას, იმპერატორის ბრძანების თანახმად, ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა მდგომარეობა უნდა შეესწავლა. ადამ ფონ კრონეკმა ნახევარი წელი იმუშავა და საყურადღებო მოხსენებები წარუდგინა ფინანსთა სამინისტროს. რუსეთის ხელისუფლებამ 10 წლის განმავლობაში უყურადღებოდ დატოვა განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელის მოსაზრებანი. 1841 წელს მისი დასკვნები აღარ გაითვალისწინეს, რადგან 10 წლის განმავლობაში ბევრი რამ უკვე შეცვლილი იყო.

(გაგრძელება იქნება)

ანდაზები

– მელას ნუ შეეფარები, დაე, ლომმა შეგჭამოსო;
– ბოროტის ხიდზე გავლასა, სჯობს ნიაღვარმა წაგიღოსო;
– ცხენის და ქათმის საწილო ქერი ერთად არ დაწილოო;
– ახალგაზრდობა ერთი ფრინველი იყო, გაფრინდა და ვერ დავაკავეო;
– სიბერე ცუდი განძი იყო, ვატარე და ვერ გავყიდეო;
– უჭკუო თავის გამო ბაიყუში (ბუ) უდაბნოს ყარაულობსო;
– კარგო საქონელო, ცუდი პატრონი მოგიკვდესო;
– ქვეყანა როგორ მიგაჩნია და ჩემსავითაო;
– კაცი ის არის, ვინც ყველა გაჭირვებას აიტანსო;
– კეთილ გზაზე იარე, ისაა შენი მშველელი;
– კაცია, რომ კაცებსა სჯობს. კაცია, რომ ვირი სჯობსო?
– როცა თოფი გაჩნდა, გმირობა დაიშალაო.
– ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია,
ზოგსა კაცსა კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს დედაკაცი,
ზოგსა კიდევ ცაცუნაო;
– მტერი რომ მტერია, ისიც მდიდარი იყოსო;
– მეზობელთან რომ ბიში გამოცხვება, იქიდან წილი ჩვენც შეგვხვდებაო:
– ერთი არამზადას შარი ორმოც უბანს გასვრისო;
– პირში მცინარის ნდობას უნდობლობა სჯობიაო.

მომკვემი ღმერთი ერკოტის მთაზეე მომკვემსო

სამუშაოდ წასული კაცი ერთი წლის განმავლობაში ვერაფერს იშოვის და უკან მობრუნებული ერკოტის მთაზე რომ მოვა, ჩამოჯდება ქვაზე. ფეხს ითრევს, სახლში მისვლა ეძნელება ცარიელ-ტარიელს. ფიქრობს, სახლში რო მივალ, ცოლ-შვილს რა მიუტანოო, თან ჯოხით მიწას ქექავს. ერთიც ვნახოთ, ქოთნის პირი გამოჩნდა მიწაში. ამოთხარა და ქილით ოქრო ამოიღო. იყიდა ყველაფერი, რაც უნდოდა და სახლში მივიდა გახარებული. რო უთხრეს, როგორ და სად იყავი ამდენი ხანიო, მანაც ასე უთხრა: „მომცემი ღმერთი ერკოტის მთაზეც მომცემსო.“

***

დიკა წავიდა სტუმრად და სიმინდს უთხრა: – სანამ მოვბრუნდე, ხიზანს ნუ გაწყვიტამ მშიერსაო. სიმინდმა უთხრა: შენ წადი და მე ქადადაც გავკეთდები და ხინკლადაცო. მაშინ დიკამ უთხრა: – შენ გაკეთდი ხავიწი, ჭადი, ფაფაო და დიკის საქმეში ნუ გაერევიო.

***

ბაყაყს სარმია (სარჩო?) გამოელია ზამთარში, მივიდა თაგვთან და უთხრა: – სარმია გამომელიაო და ამ ზამთარში მიძმე, შემიბრალე და ზაფხულში ერთად ვიმუშაოთო. თაგვი დათანხმდა. იმდენი მაქვს, გვეყოფა, მოდი და ერთად ვიზამთროთო. არხეინად გაატარეს ზამთარი. გაზაფხულდა. ბაყაყმა რომ გუბე დაინახა, შიგ ჩახტა და დაიწყო ყიყინი. დადგა მკათათვე. მიადგა თაგვი გუბის ნაპირსა და უთხრა მზეზე მონებივრე ბაყაყს: – ძმობილო, წამოდი, მომეხმარე, სარჩო შევაგროვოთო. ბაყაყმა უთხრა: – შენი ერთი ფუთი ჩინჩილის გულისთვის, მე ხომ ხასიათს არ გამოვიცვლიო. გაბრუნდა თაგვი გაწბილებული. მარტო დაიწყო სარჩოს შეგროვება. იმ წელიწადს ცუდი მოსავალი იყო და თაგვმაც ძლივსძლივობით მოაგროვა თავისი სარჩო.

ამასობაში დაზამთრდა კიდეც. გუბე გაიყინა. ბაყაყს, ზაფხული რომ უზრუნველყოფილად გაატარა და სარჩოს შეგროვებაზე არც კი უფიქრია, ისევ მოშივდა. გაახსენდა მეგობარი თაგვი და ისევ მიადგა მის სოროს.

– თაგუნიავ, მეგობარო! – დაუძახა.

– ვინა ხარო, – გამოსძახა დაგმანული შესასვლელიდან თაგვმა.

– შენი მეგობარი ბაყაყი ვარ, შარშან რომ სიკეთე მიყავი, იქნებ წელსაც მიშველო და შენ პატივისცემას არ დავივიწყებო.

შეეცოდა თაგვს და გამოთხარა მიწა, გაათავისუფლა სოროს შესასვლელი და შეიპატიჟა სტუმარი.

მივიდა ბაყაყი სოროსთან, შედის და ვერ ეტევა. თელი ზაფხულ-შემოდგომის უზრუნველ ცხოვრებას და მხარ-თეძოზე კოტრიალს ისე გაუსუქებია, რომ თაგვის სოროში კი არა, ვირთაგვის სოროში ძლივს შეეტეოდა.

– გამოთხარე მიწა და გამიფართოვე სოროს შემოსასვლელი, ხომ ხედავ ვერ ვეტევიო, სთხოვა ბაყაყმა თაგვს.

ვერ გავაფართოვებ, ვირთაგვა, კატა და მელა ჩემზე ნადირობენ და განიერ შესასვლელს რომ დაინახავენ, ისე უცებ დამესხმიან თავს, რომ საიდუმლო ხვრელამდე მისვლასაც ვერ მოვასწრებ და თვალის დახამხამებაში გადამსანსლავენო, – უთხრა თაგვმა.

გამობრუნდა გაწბილებული ბაყაყი. ბევრი იხტუნა თუ ცოტა, ერთ სოროს მიადგა და დაუპატიჟებლად შეხოხდა.

მთქმელი სოფო დევნოსაძე-ზაზაძე, 82 წლის,
ახალციხის რაიონის სოფელი წრიოხი,
ჩაიწერა ელვარდ ზაზაძემ 1998 წელს

ზღაპარი მელიაზე

ეტლით პატარძალი მიჰყავდათ, ეშმაკი მელია ახტა ეტლზე, პატარძალს შეუძვრა კაბის ქვეშ და უთხრა:

პატარძალო, პატარძალო, ერთი ბეჭედი მომე, თორე შეგარცხვენო. პატარძალმა იფიქრა, რომ მელა ამას მართლა გააკეთებდა, გამოიძრო ერთი ბეჭედი და მისცა. მელამ კუდზე წამოიცვა ეს ბეჭედი და ასე მუქარით გამოართვა დანარჩენებიც და ეტლიდან გადახტა.

იარა, იარა და ცოტა მანძილი რომ გაიარა, გზაში შემოხვდა მგელი. მგელმა ჰკითხა: მელავ, ეს ბეჭდები საიდანო? მელამ უპასუხა: სოფლის განაპირას რომ მდინარეა, იქ ჩავყავი კუდი, მთელი ღამე მქონდა და დილა რომ გათენდა, ეს ბეჭდები კუდზე წამოცმული მქონდაო.

მგელმა დაიჯერა მელიის ნათქვამი. რომ დაღამდა, წავიდა მდინარეზე და კუდი წყალში ჩაყო. ღამე წყალი გაიყინა და მგელს კუდი დაუმძიმდა, იფიქრა, ალბათ, ბეჭდები ამომეცვა კუდზეო და გადაწყვიტა, ცოტა ხანს კიდევ ჰქონოდა კუდი წყალში.

მელა მივიდა მდინარის პირას და დაიჩხავლა, მელიის ხმაზე ძაღლები მოცვივდნენ, მგელს შეეშინდა, ამოითრია კუდი და მოსწყდა.

ასე გააბრიყვა მგელი ეშმაკმა მელიამ.

ზღაპარი ტყის კაცზე

იყო ერთი ტყის კაცი, რომელსაც ტანი ბალნით ჰქონდა დაფარული. მისი ყველას ეშინოდა, არადა ძალიან ბრიყვი ვინმე იყო. ერთხელ მას ერთი სოფლის მაცხოვრებელი შეხვდა, შეეშინდა და გადაწყვიტა, როგორმე მისგან თავი დაეღწია. დაიკვირდა მის ქცევებს და მიხვდა, რომ მისი მოტყუება ძალიან ადვილი იყო, რადგან რასაც თვითონ აკეთებდა, იგივეს იმეორებდა ტყის კაციც.

სოფლის მაცხოვრებელმა კოცონი დაანთო, ტყის კაცმაც დაანთო. სოფლის მაცხოვრებელს ქონი ჰქონდა წაღებული და ტანზე წაისვა. ტყის კაცმა გაბრაზებით უთხრა, რომ ქონი მისთვისაც მიეცა და მანაც ტანზე წაისვა. იმ კაცმა აიღო ცეცხლმოკიდებული ნაკოდალი და ვითომ ტანთნ მიიტანა, ასე მოიქცა ტყის კაციც. მას ბანალი რომ ჰქონდა, ცეცხლი მოეკიდა. გაიქცა წყლისკენ, მაგრამ ვერ მიასწრო და დაიწვა.

ასე გადაირჩინა თავი სოფლის მაცხოვრებელმა ტყის კაცისაგან.

მთქმელი შოთა ივანიძე, 60 წლის, ასპინძის რაიონის სოფ. ჭობარეთი. ჩაიწერა მაია ივანიძემ 1980 წელს.

ერთი ჯავახელი სოფლის თავგადასავალი

◀ დასაწყისი გვ. 6,7

უცბად შეყრილი უამრავი მაყურებლისგან შიკრა დიდი წრე.

ზველელმა გოლიათმა კოთელიელს მისალმებაც არ აცალა:

– ჰა, გამაგრდი ბერიძეო, მიაძახა, დაეძგერა და გაცილებით მჩატე ბიჭი უმალ ჰაერში აიტაცა. კოთელიელი არ დაიბნა, კატასავით ჩაეკრა, ისე, რომ გოლიათმა ვერც გადაგდება და ვერც დანარცხება ვერ მოუხერხა. ბოლოს, ეტყობა, დაიღალა და იძულებული გახდა მიწაზე ნამიერად დაეშვა.

ეს იყო და ეს, როგორც კი ბერიძემ ცალი ფეხი მიწაზე მყარად დადგა, ელვისებურად მოგვერდი მისცა და მიწიდან მოწყვეტილი და ჰაერში ჰორიზონტალურად გასწორებული აპოლონ ბატონი კალოზე ისე დაახეთქა, რომ საწყალს ბოყინი ამოხდა! ატყდა ერთი ყიჟინა და ერთმანეთისთვის მილოცვა. ასე გახარებული სოფელი მე მანამდე არასდროს მენახა!

წაქცეული ბარელი ფალავანი ზლაზვნით წამოდგა და დარცხვენილი იქაურობას უსიტყვოდ გაეცალა. მას მერე ბატონი აპოლონი ჩვენს სოფელში აღარ გამოჩენილა. ალბათ, მოულოდნელი მარცხი ძალიან განიცადა.

გასულ საუკუნეში სოფელში აგრეთვე კარგ ფალავნებად ითვლებოდნენ სერგო ისაკიძე, საგენტო ელიზბარაშვილი, მისი ვაჟი - მიშა ელიზბარაშვილი, მიშა, გურა, ნოდარ ბერიძეები, გიო ყავრელიშვილი (მის შუა სარმაზე დღესაც ლეგენდები დადის, თუ ვინმეს მოასწრებდა და ფეხს ჩაუყრიდა, ფეხზე აღარავის ტოვებდაო), ავთანდილ ზურაბაშვილი, შურა ყავრელიშვილი და სხვ.

1956 წელს ჩვენი სოფლის ფალავნები სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ქართული ჭიდაობის ტურნირზე ახალქალაქის გუნდის სახელით, გორში ჩასულან და იქაურ უკვე სახელმოხვეჭილ ფალავნებთან უჭიდავიათ. მაგრამ მაშინ თავი ვერაფრით გამოუჩენიათ. ერთადერთი შერკინება მხოლოდ მიშა ელიზბარაშვილს მოუგია.

ჩვენს ბავშვობაშიც საზიარო მდინარესთან ან ჭალებში, ფეხბურთის თამაშის ან სხვა შეჯიბრების დროს მეზობელი სოფლების ბიჭებთან სულ ჭიდაობა გვიწევდა. მაშინ სოფელში კინო იშვიათად მოდიოდა, კინომექანიკოსები თითქმის ყოველთვის სომხები იყვნენ მეზობელ სოფელ არაგვადან. ჯერ კინო ხომ ისედაც ზეიმი იყო და უფრო სახალისო იმითაც ხდებოდა, რომ ამ მექანიკოსებს თავიანთი სოფლიდან დარჩეული ფალავნები, დიდი თუ პატარა ბიჭები, მოჰყვებოდნენ და სეანსის დაწყებამდე არაჩვეულებრივი პაექრობა იმართებოდა. უმეტესად ჩვენ ვუგებდით, მაგრამ იმათაც ძალიან კარგი ბიჭები ჰყავდათ, მათ შორის ერთი ჯირკივით ბიჭი, ხაჩიკა განასაკუთრებით გამოირჩეოდა. ისე სპორტი მართლაც აახლოებს ადამიანებს, აჩვევს მათ ვაჟკაცობას. ჩემი დაკვირვებით, იმ სომხური სოფლების ახალგაზრდებთან უფრო ახლოს და მეგობრულად ვიყავით, ვისთანაც უფრო ხშირად გვიწევდა პაექრობა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კოთელიელებს ამ ყველაფრის გამო ჭიდაობის ნიჭი და მისდამი მიდრეკილება გენებში დღემდე მოსდევთ და ამ ერთ ამბავსაც მოგიყვებით და ვფიქრობ, აღარ გაგიკვირდებათ.

გორიდან მოჭიდავეები ყოფილან სტუმრად ჩვენებურ მელიქიძეებთან. მათ შორის ერთი ახალგაზრდა ჩემპიონატიდან ახალი დაბრუნებული, ევროპის ჩემპიონი, რომელსაც, მაინცდამაინც, დიდი თავმდაბლობა ვერ გამოუჩენია და სუფრასთან მოპირდაპირედ მჯდომი ჩვენი სოფლის სამი ახალგაზრდისთვის დაცინვა დაუწყია:

– აბა, დამეჭიდეთ, თუ ბიჭები ხართო. გნებავთ სამივეს ერთად, დაგკუჭავთ და გადაგყრითო!.. ბიჭებს სისხლი კი ადუღებიათ, მაგრამ მაინც უფრთხილიათ, ჩემპიონი კაციაო, მაგრამ სტუმარი არ ეშვებოდა-თურმე. ბოლოს ჩვენებსაც დაჭიდებაზე თანხმობა განუცხადებიათ და გარეთ სასწრაფოდ წრე გაუკეთებიათ.

ჯერ ერთი ყველაზე ჯანიანი კოთელიელი ახალგაზრდა დასჭიდებია, კარგა ხანს უჯავგაურიათ, მაგრამ ერთმანეთისთვის ვერაფერი მოუხერხებიათ და ჩვენებური გასცლია.

მერე სოფლელებს ახლა ბალახაძეების ბიჭი მამულა შეუგულიანებიათ,

– გადი, რაც მოხდება მოხდეს, ევროპის ჩემპიონთან დამარცხებას სირცხვილად მაინც არავინ ჩაგითვლისო. ისიც დათანხმებია.

დაძგერებიან ახალგაზრდები ერთმანეთს. ჯავახს ჩემპიონი თავისკენ მაგრად მოუქაჩია, ქვემოდან შევარდნია და კისრულით ისე დაუნარცხებია, რომ იქვე მყოფ სტუმრად მოსულ ასევე ცნობილ ქართველ ფალავნებს ის ბიჭი სასწრაფოდ მანქანაში ჩაუტენიათ და იქაურობისთვის მოუცილებიათ.

(გაგრძელება იქნება)

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის ახალციხელ ბიზნესმენებს **თენგიზ ხითარიშვილს** და **გიორგი ამირანაშვილს** ფინანსური დახმარებისათვის.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს.
სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com